სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 2022 წლის აქტუალურ საკითხებზე

SCIENTIFIC PRACTICAL CONFERENCE ON TOPICAL ISSUES OF 2022

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 2022 წლის აქტუალურ საკითხებზე

SCIENTIFIC PRACTICAL CONFERENCE ON TOPICAL ISSUES OF 2022

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

<u>სარედაქციო კოლეგია</u>

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი	
პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე	
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
სარედაქციო კოლეგიის წევრები	
ნიკოლოზ სამხარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
არჩილ ჩაჩხიანი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი შაიშმელაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ზურაბ აგლაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
ნინო ოხანაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასისტენტ პროფესორი
ლევან ნიკოლეიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი
ქეთევან ჩახავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ პროფესორი
შადიმან ბიწაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან მესხიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი კბილცეცხლაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
ზურაბ გარაყანიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

გიორგი დოლიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების ასისტენტ პროფესორი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი/კორექტორი

ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

მთარგმნელი

იზა ჯანიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

სალომე პოპიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის მთავარი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2022

ISBN-978-9941-8-5018-9

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Davit Razmadze	Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of the Academy

Members of the Editorial Board

Nikoloz Samkharadze Professor	Head of Defense Analysis Program of Magistrate of the Academy Professor Rector of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Archil Chachkhian	Associate Professor of Defence Analysis Program of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Shaishmelashvili	Associate Professor of Defense Analysis Program of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Agladze	Head of the program in Security Studies of Magistrate, Professor of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nino Okhanashvili	Assistant Professor of Defense Analysis Program of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Nikolaishvili	Professor of the program in Security Studies of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chakhava	Assistant Professor of the program in Security Studies of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Shadiman Bitsadze	Associate Professor of the program in Security Studies of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Ketevan Meskhidze	Associate Professor of the program in Security Studies of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Giorgi Kbiltsetsklashvili	Head of the Program of State Resource Management of Magistrate, Professor of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Zurab Garakanidze	Associate Professor of the Program of State Resource Management of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Giorgi Dolidze	Assistant Professor of the Program of State Resource Management of Magistrate of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;

Ketevan Kveselava	Chief Scientist of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Tinatin Kropadze	Chief Scientist of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
Editor/Corrector	
Zurab Mchedlishvili	Editor-in-Chief of Scientific-Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Translator	
Iza Janiashvili	Foreign Language Translator of the Academy of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Computer Designer	
Salome Popiashvili	Main Specialist of Distance Learning Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2022

სარჩევი

საქართველოს საბორნე გადასასვლელების როლი შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში
მაია ბარბაქაძე, ომარ ბაბილუა ____ 11

ინტერაქტიული სწავლების მეთოდები - პრობლემები და პერსპექტივები
რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე ____ 16

სიმართლე - სამართლიანობა
რა არის ათვლის წერტილი?!
შალვა კვეზერელი, რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე ____ 20

კიბერბულინგი - ინტერნეტ სივრცის გაუცნობიერებელი საფრთხე
გიორგი კოხრეიძე ____ 30

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა შრომის პროდუქტიულობაზე (საქართველოს მაგალითზე)
თინათინ ჟორჟოლიანი ____ 34

საინჟინრო განათლების განვითარების პერსპექტივები საქართველოს თავდაცვის სისტემაში
გივი სანაძე ____ 41

სპეცსამსახურებისა და სამხედრო ელიტების როლი რუსული პოლიტიკის ფორმირების პროცესში (თეორიული და პრაქტიკული ანალიზი)
კახა ფუტკარაძე ____ 47

მობინგი ორგანიზაციებში: ადრეული აღმოჩენის სარგებელი
ქეთევან ჭიაბრიშვილი, თინათინ კროპაძე ____ 56

სამხედრო ფსიქოლოგიის მეცნიერული ასპექტები
რამაზ ჩიჩუა ____ 61

მატრიცული გამოთვლების ზოგიერთი პარალელური ალგორითმი
ლევან ჭოლიკიძე, გიორგი საზანდრიშვილი ____ 67

Content

THE ROLE OF FERRY LINES OF GEORGIA IN THE CREATED GEOPOLITICAL SITUATION
Maya Barbakadze, Omar Babilua ____ 11

INTERACTIVE TEACHING METHODS - CHALLENGES AND PERSPECTIVES
Rusudan Dalakishvili-Chichinadze ____ 16

TRUTH – JUSTICE WHAT IS THE STARTING POINT?
Shalva Kvezereli, Rusudan Dalakishvili-Chichinadze ____ 21

CYBERBULLYING - UNHEEDED THREAT OF THE INTERNET
Giorgi Kokhreidze ____ 30

THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENT ON LABOR PRODUCTIVITY (BASED ON THE EXAMPLE OF GEORGIA)
Tinatin Zhorzholiani ____ 34

DEVELOPMENT PROSPECTS FOR ENGINEERING EDUCATION IN THE DEFENCE SYSTEM OF GEORGIA
Givi Sanadze ____ 41

THE ROLE OF SECRET SERVICES AND MILITARY ELITES IN THE FORMATION OF THE RUSSIAN POLICY (THEORETICAL AND PRACTICAL ANALYSIS)
Kakha Putkaradze ____ 48

MOBBING IN ORGANIZATIONS: BENEFITS OF EARLY IDENTIFICATION
Ketevan Chiabrishvili, Tinatin Kropadze ____ 56

SCIENTIFIC ASPECTS OF MILITARY PSYCHOLOGY
Ramaz Chichua ____ 61

CERTAIN PARALLEL ALGORITHMS FOR MATRIX COMPUTATIONS
Levan Cholikidze, Giorgi Sazandrishvili ____ 68

საქართველოს საბორნე გადასასვლელების როლი შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში

მაია ბარბაქაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის
სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი,
მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის დოქტორი

ომარ ბაბილუა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ტრანსპორტის პროგრამის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს საზღვაო-საბორნე გადასასვლელების როლი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის - „ევროპა-კავკასია-აზია“ ფუნქციონირებაში, მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით. აქცენტირებულია ის, რომ უმოკლესი გზა ჩინეთიდან ევროპამდე გადის კავკასიაზე კასპიისა და შავი ზღვების გავლით და ამ გზით ტვირთების გადაზიდვა, ეკონომიკური თვალსაზრისით, არის ყველაზე რაციონალური - ერთი კოოპერირებული სატრანსპორტო საშუალებით, უმოკლესი გზით, დიდი სიჩქარეებით, ტვირთის დაუზიანებლად, ტვირთის გამგზავნიდან ტვირთის მიმღებამდე, რაც ნიშნავს სატრანსპორტო ამოცანისადმი წაყენებული ლოგისტიკური მოთხოვნების ბრწყინვალე გადაჭრას.

საკვანძო სიტყვები:
საბორნე გადასასვლელი; ტვირთზიდვა; საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი, სატრანსპორტო საშუალება.

THE ROLE OF FERRY LINES OF GEORGIA IN THE CREATED GEOPOLITICAL SITUATION

Maya Barbakadze
Associate Professor of the Department of Construction
Machinery and Mechanisms Faculty of Construction
Georgian Technical University
PhD in Mechanical Engineering and Technology

Omar Babilua
Master’s Student in Transportation
Georgian Technical Universit

Abstract

The article discusses the role of marine ferry lines of Georgia in the functioning of the Europe-Caucasus-Asia Transport Corridor, considering the geopolitical situation created in the world. The paper emphasizes the fact that the shortest route from China to Europe passes through the Caucasus via the Caspian and Black Sea. In economic terms, transportation of goods are the most rational using this route – it has advantages such as a cooperated means of transport, the shortest way, great speed, and no damages to the cargo in the process of transportation and delivery. All this implies an excellent solution to the logistical requirements for the transport task.

Keywords:
ferry line; transportation of goods; international transport corridor, means of transport.

შესავალი

მსოფლიო სატრანსპორტო სისტემა ჩამოყალიბდა XX საუკუნეში. განვითარდა ტრანსპორტის არსებული სახეობები (საზღვაო, სარკინიგზო) და შეიქმნა ახალი (საავ-ტომობილო, ავიაცია და სხვა). სატრანსპორტო სისტემა ადამიანთა არსებობის ყოფით პირობებში ჩაეწერა.

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ მძლავრი ბიძგი მისცა მრეწველობის მრავალი დარგის განვითარებას, რამაც წარმოშვა სხვადასხვა სახეობის ჭარბი პროდუქცია, რომელიც საჭიროებდა რე-ალიზებას. შედეგად მოხდა სატრანსპორტო საშუალებების მკვეთრი გაუმჯობესება ტექნიკური თვალ-საზრისით, - სიმძლავრეების, სიჩქარეების, მზიდუნარიანობის, ტევადობის გაზრდა, შეიქმნა ტრანსპორტის ახალი სახეობები და მათი მოდიფიკაციები.

ჩვენს პლანეტაზე შეიცვალა პოლიტიკური გარემო, გაიზარდა მოთხოვნები ნედლეულზე, ენერგომატარებლებზე, მზა პროდუქციაზე, ახალ ტექნოლოგიებზე, ვითარდება ტურიზმი, ამას დაემატა ომი უკრაინაში. შექმნილმა რეალობამ ლოგიკურად მოითხოვა სხვადასხვა სახის ტრანსპორტის კოოპერირება, წარმოიშვა საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების აუცილებლობა საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო-სამდინარო, საჰაერო ტრანსპორტით, რაც დაექვემდებარა საერთაშორისო სამართალს.

არსებულმა პოლიტიკურმა რეალობამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნები (სსდ) - მაღალტექნოლოგიური სატრანსპორტო სისტემა, რომელიც კონცენტრირებულია საერთო სარგებლობის ტრანსპორტის გენერალურ მიმართულებებსა და ტელეკომუნიკაციაზე.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი განსაკუთრებით ეფექტურად ფუნქციონირებს ერთიან საბაჟო და ეკონომიკურ სივრცეში. სსდ-ს საფუძველია კლასიკური სატრანსპორტო ამოცანა. ამასთან, როგორც ცნობილია, საკომუნიკაციო ქსელის ეფექტურობა მნიშვნელოვნად იზრდება, თუ ის ჩაკეტილია.

სატრანსპორტო დერეფნების გაფართოების რეალური შანსი გაჩნდა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ. ევრაზიის კონტინენტზე შეიქმნა 10 საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი სხვადასხვა ხაზებით. ევროკავშირმა 2005 წელს მიიღო ახალი სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალებს. ბრიუსელმა რუმინეთის პორტი **კონსტანცა** გამოაცხადა ევროკავშირის აღმოსავლეთის მთავარ საზღვაო კარიბჭედ, საიდანაც არის გასასვლელი შავ ზღვაზე.

ევროკავშირის ახალ სატრანსპორტო პოლიტიკაში განსაკუთრებული როლი ეთმობა კომბინირებულ გადაზიდვებს (**Motorways of the Seas**) - სახმელეთო გზებისა და საბორნე გადასასვლელების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს გადაზიდვების ეფექტურობას.

სატრანსპორტო დერეფნის შექმნის ძირითადი მიზანია - სატრანსპორტო საშუალებების დაუ-ბრკოლებელი და ეკონომიკურად ეფექტური მოძრაობა გარკვეული მიმართულებებით. ამ დროს ძირითადად ხდება სატრანსპორტო-ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა გზების, ტერმინალების და საინფორმაციო სისტემების მოდერნიზაციით.

სატრანსპორტო დერეფნების სისტემამ განსაკუთრებით ინტენსიური განვითარება ჰპოვა ევროპაში - შეიქმნა სატრანსპორტო ქსელი TEN-T (Transeuropean Network -Transport). სატრანსპორტო დერეფნების ქსელის ფორმირება მოხდა აზიის კონტინენტზეც, ამასთან ერთ-ერთი მთავარი მიზანია ევროპისა და აზიის სატრანსპორტო დერეფნების დაკავშირება ერთმანეთთან. ამისი ნათელი მაგალითია TRACECA - აბრეშუმის გზის დერეფანი.

დღეისათვის, უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ფონზე, რომელიც შეეხო საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებსაც, განსაკუთრებით მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა საქართველოზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მოიცავს საზღვაო საბორნე გადაზიდვებსაც.

ძირითადი ნაწილი

ტვირთის გადაზიდვა გადაუტვირთველად ტრანსპორტის შერეული სახეობით - სარკინიგზო-საზღვაო, პირველად განხორციელდა 1851 წელს ჩრდილოეთის ზღვის ფერტ ოფ ფორტის ყურეში, შოტლანდიის აღმოსავლეთი მხრიდან, მსოფლიოში პირველი სარკინიგზო ბორნით. ამის შემდეგ, საბორნე გადასასვლელები გაიხსნა ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში, როგორც ქვეყნის შიგა, ისე საერთაშორისო ხაზებზე, რამაც მკვეთრად შეამცირა ტვირთის ტრანსპორტირებაზე დახარჯული დრო. მოგვიანებით ასეთი საბორნე გადასასვლელები თითქმის ყველა კონტინენტზე გავრცელდა და ზოგიერთ ხაზებზე სისტემატური ხასიათი მიიღო.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები აჩვენებს, რომ 21-ე საუკუნეში მთავარი სავაჭრო, ფინანსური და ინფორმაციული დინებები განაწილდება ამერიკის შეერთებულ შტატების, ევროპის და აზიის სამკუთხედში. ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს საზღვაო პორტები და საბორნე გადასასვლელები.

ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 1993 წლის მაისში ქ. ბრიუსელში 8 ქვეყანამ: საქართველომ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა, თურქმენეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა და უზბეკეთმა ხელი მოაწერეს ტრანსკონტინენტურ სავაჭრო-სატრანსპორტო TRACECA–ს პროექტის შექმნას, რომლის ისტორია იწყება ჩვენს წ. აღ-მდე II საუკუნიდან. მომდევნო წლებში ამ პროექტს შეუერთდნენ უკრაინა, მოლდოვა, მონღო-

ლეთი, ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი, ირანი. სულ გაერთიანებულია 15 ქვეყანა.

თავის დროზე აბრეშუმის დიდმა გზამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთსა და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას. ამ გზის გავლით მყარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის, იცვლებოდა წარმოებული პროდუქცია, ხდებოდა კულტურათა დაახლოება. აღსანიშნავია, რომ არსებობდა "აბრეშუმის გზის" რამდენიმე მაგისტრალური მარშრუტი, რომელთაგან ყველაზე მოკლეა კავკასიაზე გამავალი გზა ჩინეთიდან ევროპამდე კასპიის ზღვისა და შავი ზღვის გავლით.[1]

დღეისათვის, როცა არნახულ მასშტაბებს მიაღწია იაპონიის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის სამრეწველო ზრდამ, კვლავ აქტუალური გახდა უძველესი სავაჭრო გზის სატრანსპორტო დერეფნის - „აზია-კავკასია-ევროპა" აღდგენა. 2012 წელს შეიქმნა ფორმატი „16+1", რომელმაც ჩინეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დააკავშირა. ამ ურთიერთობამ ხელი შეუწყო მონაწილეთა შორის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობის ზრდას 44 მლრდ-დან (2010 წ.) 68 მილიარდ დოლარამდე (2017 წ.).

პეკინი გამოვიდა ინიციატივით - „ერთი სარტყელი - ერთი გზა", რომელიც გულისხმობს, ჩინეთის მიერ სატრანსპორტო კომუნიკაციების გაუმჯობესებით, ევრაზიაში სავაჭრო კავშირების დამყარებას, რაზეც ჯამში დაიხარჯება 1,2 ტრილიონი დოლარი. იტალია გახდა „დიდი შვიდეულის" პირველი ქვე-ყანა, რომელიც შეუერთდა ამ ინიციატივას. ამ პროექტს აქვს დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა იტალიისთვის, რადგანაც მისი ორი პორტი - გენუა და ტრიესტი გადაიქცევა ევროპა-ჩინეთის ვაჭრობის საკვანძო ჰაბად.

ჩინურმა სახელმწიფო კომპანიამ **„კოსკო"** 35 წლიანი არენდით აიღო ბერძნული პირეის საკონტეინერო ტერმინალების ნახევარი. (2018 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით ჩინურ კომპანიას „კოსკო" უჭირავს მეოთხე ადგილი მსოფლიოში საკონტეინერო გადაზიდვების მიხედვით!) იგი მოლაპარაკებებს აწარმოებს როტერდამისა და ჰამბურგის საპორტო ტერმინალებთანაც. აღსანიშნავია, რომ ამ კავშირის განხორციელება შესაძლებელია საოკეანო მაგისტრალითაც - ინდოეთის ოკეანის, წითელი ზღვის, სუეცის არხის და ხმელთაშუა ზღვის გავლით, რასაც დიდი დრო სჭირდება.

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირიც დაინტერესებულია ჩინეთთან სავაჭრო თანასწორუფლებიანობაზე და გამოთქვამს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს პროექტში „ერთი სარტყელი - ერთი გზა".

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დიდია მსოფლიოს დიდი მოთამაშეების დაინტერესება - შეაღწიონ და აითვისონ პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრები!

ამ სიტუაციაში არნახულად იზრდება საქართველოს შანსი - გამოიყენოს თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობა და თამაშში ჩართოს და დაინტერესოს ევროკავშირი და აზიის დიდი სახელმწიფოები საქართველოს საბორნე გადასასვლელებით, რაც საშუალებას იძლევა ტვირთები აზიიდან ევროპაში და პირიქით - ევროპიდან აზიაში მოხვდეს არა ოკეანეების გავლით, არამედ უმოკლესი, კონტინენტური გზით, მინიმალურ დროში, ნაკლები სატრანსპორტო დანახარჯებით, შუალედური გადატვირთვების და დასაწყობების გარეშე, ტვირთის ნაკლები დაზიანებით გამგზავნიდან ტვირთის მიმღებამდე.

1996 წელს TRACECA-ს ჩარჩოში გაიხსნა სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი ბულგარეთს, უკრაინასა და საქართველოს შორის, ვარნა-ილიჩევსკი-ფოთი/ბათუმი. ამ გადასასვლელს, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს მარშრუტი ემთხვევა "დიდი აბრეშუმის გზის" უმოკლეს მაგისტრალს ჩინეთიდან ევროპამდე. სპეციალისტების აზრით, ამ გზით ტვირთის გადატანის დრო, ჰონკონგის ნავსადგურიდან როტერდამამდე, მცირდება 16-17 დღე-ღამემდე.

XX საუკუნეში საბორნე გადასასვლელები გახდა ლოგისტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება საზღვაო გზით წარიმართოს ავტომობილების და სარკინიგზო ვაგონების ტრანსპორტირება ერთი ქვეყნიდან მეორეში, ისე, თითქოს ხიდზე გადასულიყოს!

საბორნე გადასასვლელების გამოყენების უპირატესობაა:

- ტვირთზიდვის წარმოება ერთი სატრანსპორტო საშუალებით, გადატვირთვების გარეშე;
- გადაზიდვის ღირებულების შემცირება დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციების და დასაწყობების აუცილებლობის ამორიცხვით;
- მიწოდების დროის მნიშვნელოვანი შემცირება;
- ტვირთის დაზიანების რისკის შემცირება;
- არ ითხოვს ღრმაწყლოვან პორტებს.

საერთაშორისო გადაზიდვებისას მაღალი ხარისხი ჩაითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია სატრანსპორტო **"ლოგისტიკის შვიდი წესი":** საჭირო ტვირთი, საჭირო ადგილას, კონკრეტულ მომხმარებელთან, საჭირო დროს, აუცილებელი რაოდენობით, აუცილებელი ხარისხით, მინიმალური დანახარჯებით.

ლოგისტიკური ჯაჭვის მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ტვირთზიდვისთვის სატრანსპორტო საშუალების შერჩევა. ამ დროს ამოსავალია ტვირთის შენახულობა და დანახარჯების შემცირება ტვირთის თავისებურებების, სატრანსპორტო საშუალებების თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

---

1 ო. გელაშვილი, მ. ბარბაქაძე. „საზღვაო პორტები და მათი მექანიკური აღჭურვა", თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2014 წ. 360 გვ. ISBN 978-9941-20-520-0.

უნდა აღინიშნოს საქართველოს საზღვაო პორტების არა მარტო კარგი გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ კარგი ჰიდროლოგიური ფაქტორებიც, როგორიცაა: ნაკლებადმღელვარე სანაპირო (მაქსიმალური ექვსბალიანი შტორმი), სანაპირო წლის არცერთ მონაკვეთში არ იყინება (საშუალო წლიური ტემპერატურა +5^{0}C), სანაპირო არ არის ნისლიანი. ეს ნიშნავს იმას, რომ საზღვაო პორტები ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში გაჩერების გარეშე. ასეთი ჰიდროლოგიური მონაცემები მრავალი პორტისთვის სანატრელია პორტის აქტიური მუშაობისათვის[2].

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პორტებში ძალიან დიდი წყალწყვის გემები ვერ შემოდის, რადგანაც აკვატორიის სიღრმე ამის საშუალებას არ იძლევა (ბათუმის პორტის აკვატორიის საშუალო სიღრმე h=10,5-11 მ; ფოთის - 8,5 მ), მნიშვნელოვანი ფაქტორია ბოსფორის და დარდანელის სრუტეების პარამეტრებიც, რაც ნიშნავს იმას, რომ ტვირთის ძალიან დიდი პარტიების ერთ გემზე მოთავსება შეუძლებელია. (მონტრეს კონფერენციით აღნიშნულ სრუტეებში შემოსული გემის წყალწყვა არ უნდა აღემატებოდეს 30000 ტ-ს).

ბორანის უპირატესობა კი არის ის, რომ არ თხოულობს ღრმაწყლოვან სანაპიროს, თუმცა აუცილებელია მისთვის სპეციალური მისადგომი - საბორნე გადასასვლელი. ბორნის გამოყენების შემთხვევაში ტვირთი რომელ სატრანსპორტო საშუალებაზეც იმყოფება (რკინიგზის ვაგონები, ავტომობილი), იმითვე პირდაპირ ადის ბორანზე აპარელის გადავლით. ბორანზე მყოფი ტვირთი გაივლის ზღვის მონაკვეთს, ვთქვათ ფოთიდან ვარნამდე, რომელიც 1138 კმ-ია. ვარნაში მიადგება საბორნე გადასავლელს, გადადის თავისივე სატრანსპორტო საშუალებით და აგრძელბს გზას კონტინენტურ ევროპაში. შავი ზღვის გადაკვეთას ბათუმიდან ბურგასამდე დატვირთული ბორანი ანდომებს 30 სთ-ს (სიჩქარე 20 კვანძი/სთ). ხოლო სარკინიგზო სიჩქარეები ხმელეთზე (საშუალოდ 320-340 კმ/სთ) ბევრად აღემატება გემის სიჩქარეს ზღვაში (20-25 კვანძი/სთ).

ბათუმის საბორნე გადასასვლელი უკრაინის ომის დაწყებამდე კურსირებდა ბურგასის და ილიჩევსკის საბორნე გადასასვლელებთან. მისი წლიური გამტარუნარიანობა 700000 ტონის ფარგლებში იყო. აღნიშნული საბორნე გადასასვლელის სისტემა სრულად ავტომატიზებულია.

დღეისათვის, ევრაზიის კონტინენტზე შექმნილი არაორდინალური სიტუაციის პირობებში, შესაძლებელია საქართველოს საბორნე გადასვლელები უფრო ინტენსიურად დაიტვირთოს, თუ მოხდება მათი ტექნიკური გადაიარაღება და დაკავშირება ქ. **კონსტანცას** საზღვაო პორტთან, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვაო კარიბჭეს. ამით დამოკლდება ტრანსპორტირების გზა და დრო და მოიმატებს ტვირთნაკადები ევროპიდან აზიაში და პირიქით - აზიიდან ევროპაში.

თუმცა, ცხადია, რომ საქართველოს საბორნე გადასასვლელების ტვირთგამტარობა უნდა შეესაბამებოდეს მიმღები პორტების ტვირთმიღების შესაძლებლობას. გარდა ამისა, საავტომობილო და სარკინიგზო არტერიები, საიდანაც ხდება პორტებისთვის ტვირთის მიწოდება, გათვლილი და გადაიარაღებული უნდა იქნან საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ქართული მხარის მიზანმიმართული საქმიანობა ტვირთების მოზიდვის და საქართველოს ტერიტორიაზე გატარების მიზნით (საქართველოსთვის ტვირთწარმომქმნელი ქვეყნებია: ყაზახეთი, უზბეკეთი, ავღანეთი, მონღოლეთი, ჩინეთი, ინდოეთი).

უხეში დათვლებითაც შეგვიძლია ვისაუბროთ იმ კოლოსალურ შემოსავლებზე, რომელიც შეიძლება მიიღოს ქვეყანამ საბორნე გადასასვლელების ინტენსიური დატვირთვით. მაგალითად, ფოთის ბორანი იტევს რკინიგზის 108 სამოცტონიან ვაგონს, 30 სატვირთო ავტომობილს და 60 მგზავრს. ერთი სამოცტონიანი ვაგონის საბორნე ტრანსპორტირების ფასი შეადგენს 3700 აშშ დოლარს (ფასი აღებულია 2019 წლის მონაცემებით), ხოლო ერთი ავტომობილის (ე.წ. „ფურის“) ტრანსპორტირების ღირებულებაა 850-1400 აშშ დოლარი. საანგარიშოდ მივიღოთ 1000 დოლარი. მგზავრის გადაყვანა საშუალოდ 100 დოლარი.

მხოლოდ ერთ გზაზე ფოთიდან გასულ ბორანს სრული დატვირთვის შემთხვევაში (რკინიგზის 108 ვაგონი, 60 ფური, 60 მგზავრი) შეუძლია მიიღოს შემოსავალი

108x3700 + 60x1000 + 60x100 = 460200 აშშ დოლარი

ცხადია, ციფრი შთამბეჭდავია!

იგი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის საბორნე გადასასვლელების ინტენსიური დატვირთვა. ამისთვის საჭიროა ტვირთნაკადების მოზიდვა, კარგი ინფრასტრუქტურის შექმნა, ხარისხიანი მომსახურების გაწევა, კონტროლის გაციფრულება, საგზაო მაგისტრალების გამტარუნარიანობის გაზრდა, კავშირების ქონა დიდ კონცერნებთან და გაერთიანებებთან, ქვეყანაში მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შექმნა და ა.შ.

---

2 M. Barbakadze, Kartvelishvili V.V, Archvadze G.G. „VALUE OF PORT ANAKLIA IN THE NEW PROJECT “SILK ROAD”. 9th Silk Road International Conference on Business, Economics, International Relations and Education. IBSU, Tbilisi. May 23-25. 2014.

დასკვნა

საქართველომ უნდა გამოიყენოს თავისი იღბლიანი რეალობა - ის, რომ ჩართულია სსდ-ში (TRACECA-ს პროექტი), აქვს საზღვაო პორტები და საზღვაო-საბორნე გადასასვლელები და იზრუნოს საბორნე გადასასვლელების გაფართოებაზე და ტექნოლოგიურ გადაიარაღებაზე, რათა ევროპას და აზიას შესთავაზოს ტვირთების ტრანსპორტირების უმოკლესი კონტინენტური გზა, რომელიც საზღვაოსთან შედარებით არის ბევრად უსაფრთხო და ჩქარი, ნაკლები სატრანსპორტო ოპერაციების გამოყენებით (ტვირთი არ საჭიროებს დატვირთვა-განტვირთვას ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეზე, დასაწყობებას და ა.შ.).

სასურველია, საბორნე გადასასვლელები იყოს საქართველოს სახელმწიფოს საკუთრება, რათა შემოსავლები შევიდეს ქვეყნის ბიუჯეტში და წაადგეს მის ეკონომიკურ გაძლიერებას. გასათვალისწინებელია ევროპის ენერგეტიკული სისტემის მდგომარეობა სანქცირებული რუსეთის პირობებში...

საქართველოს მომავალი სტაბილური ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად უკავშირდება შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროს უნიკალურ ღრმაწყლოვან სანავსადგურო და საბორნე გადასასვლელების პოტენციალის განვითარებას და გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ო. გელაშვილი, მ. ბარბაქაძე. „საზღვაო პორტები და მათი მექანიკური აღჭურვა“, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014 წ. 360 გვ. ISBN 978-9941-20-520-0;
- M. Barbakadze, Kartvelishvili V.V, Archvadze G.G. „VALUE OF PORT ANAKLIA IN THE NEW PROJECT “SILK ROAD”. 9th Silk Road International Conference on Business, Economics, International Relations and Education. IBSU, Tbilisi. May 23-25. 2014.

ინტერაქტიული სწავლების მეთოდები - პრობლემები და პერსპექტივები

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

აბსტრაქტი

ახალმა ეპოქამ უამრავი გამოწვევის წინაშე დააყენა მსოფლიო. ინტერნეტიზაციამ და თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, მეტ-ნაკლებად ყველა სფეროში საჭირო გახადა რადიკალური ცვლილებები, რომლებსაც საჭიროებდა განათლების სფეროც. მოძველებული მეთოდებით სწავლება სერიოზული ბარიერი გახდა თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების, მსოფლიო ცივილიზაციასთან ინტეგრაციის საკითხებში. ნათლად გამოიკვეთა ამერიკის და წარმატებული ევროპის კულტურული, სამეცნიერო, ინტელექტუალური გამოცდილების გაზიარების საჭიროება. ყოველივე ამან განაპირობა არსებული სწავლების მეთოდების მოდერნიზაცია და თანამედროვე ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები:
ინტერაქტიური სწავლება, სწავლების თანამედროვე მეთოდები, სწავლების ტრადიციული მეთოდები, ბოლონიის პროცესი, სტუდენტთა ჩართულობა.

INTERACTIVE TEACHING METHODS - CHALLENGES AND PERSPECTIVES

Rusudan Dalakishvili-Chichinadze
Associate Professor of Management Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Economics

Abstract

The new era has made the world face a number of challenges. Internetization and the rapid development of modern technologies necessitated radical changes in all areas to a greater or lesser extent that were needed in educational space as well. Teaching using by outdated methods has become a serious barrier both in the assimilation of modern technologies and integration with the world civilization. The need to share the cultural, scientific, and intellectual experience of America and successful Europe was clearly identified. All this led to the modernization of existing teaching methods and the necessity of integration with the modern Euro-Atlantic educational space.

Keywords:
interactive teaching, modern teaching methods, Bologna Process, student involvement.

შესავალი

2005 წელს, საქართველომ გადაწყვიტა გამხდარიყო ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრი და ბერგენის სამიტზე ხელი მოეწერა ბოლონიის დეკლარაციას. დღეის მდგომარეობით ბოლონიის პროცესში გაერთიანებულია ევროპის 47 ქვეყანა. „დეკლარაცია ხაზს უზვამს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემების ერთმანეთთან თავსებადობასა და ზოგადად, ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის აუცილებლობას“.[1] აღნიშნულმა ფაქტმა უამრავი რეფორმა განაპირობა საგანმანათლებლო სფეროში, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების მიმართულებით, კერძოდ: „ხარისხის ერთიანი სისტემა ერთმანეთთან შეთავსებადი და შედარებადი კვალიფიკაციებით; კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიანი სისტემა (ECTS); ხარისხის უზრუნველყოფა და მისი მექანიზმები; სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა; უმაღლესი განათლებისა და კვლევის მჭიდრო კავშირი; უმაღლესი განათლების კავშირი და ადაპტირების უნარი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან; სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე (უწყვეტი განათლება); სოციალური განზომილება, რაც გულისხმობს უმაღლეს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, როგორც გენდერულ, ისე ეთნიკურ-კულტურულ ჭრილში (Eurostat, 2009); ევროპული განზომილების (მობილობა და საერთაშორისო თანამშრომლობა) ინკორპორირება უმაღლეს განათლებაში.“[2] სწორედ ხარისხის უზრუნველყოფა გახდა საფუძველი სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვისა ზოგადი და უმაღლესი განათლების სფეროში, რაც უზრუნველყოფს კრიტიკულად მოაზროვნე, თავისუფალი, დამოუკიდებელი, აქტიური ადამიანების ჩამოყალიბებას.

სიტუაციის მიმოხილვა

ქვეყანაში პერიოდულად ტარდება კვლევები, რომელთა მიზანია საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს ბოლონიის პროცესი და ზოგადად საგანმანათლებლო რეფორმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რამდენად შეცვალა რეფორმებმა სწავლების და კვლევის პროცესი. ასევე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროგრამული აკრედიტაცია, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, რომელიც საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, თუმცა მიუხედავად ამისა, აქამდე არსებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ შედეგები, არც თუ ისე სახარბიელოა, ბევრი კომპონენტი მხოლოდ ფორმალურად სრულდება.[3]

იმისთვის, რომ რეფორმამ გამართულად იმუშაოს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა ლექცია-სემინარებში, რის შესაძლებლობასაც იძლევა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში. კერძოდ, აუცილებელია, სწავლების პროცესში გაიზარდოს დისკუსია-დებატების, ჯგუფური სამუშაოების, ქეისებზე მუშაობის, სიტუაციური ამოცანების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების და სხვა მეთოდების გამოყენება. მით უფრო, რომ ყველა გამოკითხვაში, სტუდენტები ითხოვენ პრაქტიკული კომპონენტის წილის გაზრდას, რისი უზრუნველყოფაც შესაძლებელია პრაქტიკული მაგალითების და სიტუაციების გამოყენებით.

სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა სრულ ინტერაქციას სალექციო პროცესში, რაც გულისხმობს მათ მაქსიმალურ ჩართულობას კითხვებით, მაგალითებით, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობით. ეს ყოველივე მასალის კარგად გაგების და ხანგრძლივად დამახსოვრების გარანტიას უზრუნველყოფს.

ჯერ კიდევ არსებობენ პედაგოგები, რომლებიც თვლიან, რომ სტუდენტმა ლექციაზე არ უნდა დასვას კითხვა, არ უნდა იყოს ჩართული, რომ ლექციის განმავლობაში მხოლოდ ლექტორი უნდა საუბრობდეს და სტუდენტი მხოლოდ პასიური მსმენელის როლს ასრულებდეს, რაც ყოვლად მიუღებელია თანამედროვე სწავლებისთვის.

თანამედროვე ლექციაზე, მეთოდებთან ერთად, აუცილებელია ვიზუალიზაცია, რაც სტუდენტებს მასალის უკეთ ათვისების შესაძლებლობას აძლევს. კვლევებით დასტურდება, რომ ადამიანების უდიდეს ნაწილს (ერთ-ერთი კვლევის თანახმად გამოკითხულთა - 86%-ს) მხედველობითი მეხსიერება გააჩნიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ბევრად უკეთ იმახსოვრებენ ყურებით, ვიდრე მოსმენით.

უკანასკნელი კვლევების თანახმად, პასიური მოსმენით სტუდენტები ინფორმაციის მხოლოდ 30%-ს იმახსოვრებენ, ხოლო ინტერაქტიული მეთოდით 90 %-ს.

---

1 ლეჟავა დ, ამაშუკელი მ. „ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში, ძირითადი მიღწევები და გამოწვევები“ - თბ, 2016 გვ 14

2 ლეჟავა დ, ამაშუკელი მ. „ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში, ძირითადი მიღწევები და გამოწვევები“ - თბ, 2016 გვ 16

3 ლეჟავა დ, ამაშუკელი მ. „ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში, ძირითადი მიღწევები და გამოწვევები“ - თბ, 2016 გვ 17



სქემა 1. ინტერაქტიული მეთოდის მნიშვნელობა
https://teachernoella.weebly.com/dales-cone-of-experience.html

თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ კვლევის შედეგებს (სქემა 1)[4]: კითხვით ხდება მხოლოდ ინ-ფორმაციის 10 %-ის დამახსოვრება, მხოლოდ მოსმენით - 20 %-ის, ყურებით - 30 %-ის, ყურებით და მოსმენით - 50 %-ის, საკუთარი აზრის გამოთქმით - 70 % და როდესაც საუბრობენ, მონაწილეობენ რეალურ პროცესში, თვითონ აკეთებენ (მუშაობენ), ან დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას - იმახსოვრებენ ინფორმაციის 90%-ს.

აუცილებელია სტუდენტებმა იცოდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა ახალი მასალის ახსნის პროცესში, დასვან თემასთან დაკავშირებული კითხვები, გამოთქვან მოსაზრებები, რათა არ დარჩეს ყურადღების მიღმა მათთვის საინტერესო საკითხები.

აუცილებელია მეთოდი ან მეთოდთა კომბინაცია შეირჩეს სწორედ, თემის მიზნებზე დაყრდნობით და იქიდან გამომდინარე, თუ რა შედეგის მიღება სურს ლექტორს, კონკრეტული მეთოდის გამოყენებით.

რაც შეეხება სემინარს, სასურველია გამოკითხვა ჩატარდეს კითხვა-პასუხის რეჟიმში, მოხდეს ქეისების და სიტუაციების განხილვა და სემინარიც იყოს მაქსიმალურად ინტერაქციული...

ხშირად ისმის კითხვა - რატომ არ უმჯობესდება სტუდენტთა განათლების ხარისხი, თუ სწავლების ახალ სისტემაზე გადასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და მიზანიც სწორედ მათი განათლების დონის ზრდაა. პასუხი მარტივია - სწავლება, შეფასების სისტემა, თანამედროვე სახელმძღვანელოები მორგებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ხოლო ხშირ შემთხვევაში, სწავლება მიმდინარეობს ძველი მეთოდებით, რომლებიც მხოლოდ დასწავლაზე და დიდი მოცულობის მასალის მიწოდებაზეა ორიენტირებული. თანამედროვე სწავლება კი, სტუდენტისთვის მხოლოდ კონკრეტული ცოდნის გადაცემას კი არ გულისხმობს, არამედ ზოგადი/ტრანსფერული უნარების გამომუშავებას უნდა ეფუძნებოდეს (მაგ. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების, პრეზენტაციის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის უნარებს და სხვა)...

იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ზემოთ თქმული შესრულდება ყველა წესის დაცვით, ლექტორი ორიენტირებული იქნება სტუდენტისთვის როგორც ცოდნის გადაცემაზე, ასევე ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე. ლექცია-სემინარები იქნება ინტერაქტიური და სტუდენტებზე ორიენტირებული, მაშინ შედეგიც არ დააყოვნებს, რაც აუცილებლად გაზრდის ცოდნის ხარისხს.

დასკვნა

ამრიგად, სტატიის მთავარი მიზანი იყო ხაზი გაგვესვა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანია ამ მეთოდების გამოყენება სწავლება-სწავლის პროცესში. რამდენად უწყობს ხელს ინტერაქტიური მეთოდები სტუდენტთა თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების, დემოკრატიული პრინციპების დაცვის, შემოქმედებითობის, ანალიზის, კომუნიკაციის, საკუთარი აზრის გამოთქმის და დაცვის უნარების განვითარებას.

4 https://teachernoella.weebly.com/dales-cone-of-experience.html

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლეჟავა დ, ამაშუკელი მ. „ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში, ძირითადი მიღწევები და გამოწვევები“ - თბ, 2016
- Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი - ბოლონიის პროცესი 15 წელი საქართველოში:მიღწევები, გამოწვევები და რეკომენდაციები. თბ.2020
- იმედაძე ნ. ავტორთა კოლექტივი ეფექტიანი სწავლება, თეორია და პრაქტიკა, თბ. 2010
- Moore, K. D. (2009). Effective Instructional Strategies. From Theory to Practice. Sage Publications
- http://sangu.ge/images/gzamk.pdf
- file:///C:/Users/kande/Downloads/157-481-1-PB%20(1).pdf
- https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4235559/

სიმართლე - სამართლიანობა
რა არის ათვლის წერტილი?!

შალვა კვეზერელი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“
შოთა რუსთაველი

აბსტრაქტი

ნაშრომში: „სიმართლე - სამართლიანობა, რა არის ათვლის წერტილი?!“ განხილული არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ორგანიზაციაში სამართლიანი სამუშაო გარემო. ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, მისი ხელმძღვანელობისათვის მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის მიღწევა, რაშიც ვთვლით, რომ საკვანძო საკითხი არის სამართლიანი, ორგანიზაციული გარემო. თუ თანამშრომელს ორგანიზაციაში დაეუფლება უსამართლობის განცდა, რაც არ უნდა მაღალი ცოდნისა და გამოცდილების იყოს ის, ვეღარ შეძლებს სრულყოფილად თავისი შესაძლებლობების წარმოჩენას, შესაბამისად ვერ შეძლებს სრულყოფილად დაეხმაროს ორგანიზაციას კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში.

ნაშრომის შესავალ ნაწილში მიმოხილულია საკითხის აქტუალურობა. გამოკვეთილია მისი ძირითადი მიზანი, რომელიც მდგომარეობს სამართლიანობის ათვლის წერტილის - მისი საყრდენის მოძიების მცდელობაში. მთავარი შეკითხვა არის: სწორსა და არასწორს შორის გადაწყვეტილების მიღების დროს, რა არის ათვლის წერტილი? იცვლება თუ არა ეს ათვლის წერტილი დროთა განმავლობაში? თუ კი- რაზე არის დამოკიდებული ეს ცვალებადობა? ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა მსჯელობას, სხვადასხვა კვლევებისა და თეორიების განხილვას სწორსა და არასწორს შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკვეთილია ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს აღნიშნული საკითხი. მის დასკვნით ნაწილში მოცემულია საკითხის შეჯამება და ის ძირითადი სიკეთეები, რომელთა მიღწევაცაა შესაძლებელი ორგანიზაციაში სამართლიანი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბების შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები:

სიმართლე, სამართლიანობა, ორგანიზაცია, შედეგიანობა.

TRUTH – JUSTICE
WHAT IS THE STARTING POINT?

Shalva Kvezereli
Associate Professor of Management Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
PhD in Business Administration

Rusudan Dalakishvili-Chichinadze
Associate Professor of Management Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Economics

"Since lying is the source of all misfortunes…"
Shota Rustaveli

Abstract

The present paper on "Truth – Justice: What is the Starting Point?!" discusses an important issue such as how to create a fair working environment in an organization. It is important for both any organization and its leadership to achieve competitiveness. We believe that a fair organizational environment is a key point in this regard. If an employee has a feeling of injustice in the organization, no matter how much knowledge and experience he/she has, he/she will not be able to fully demonstrate his/her abilities, and therefore, he/she will not be able to completely help the organization gain competitive advantage.

The introduction of the paper discusses the relevance of the problem as well as its main goal that implies an attempt to find the starting point of justice – i.e. its support. The principal question arises here: What is the starting point when you have to make a choice between right and wrong? Does this starting point change over time? If so, what does this variability depend on? The main part of the article is devoted to reasoning and discussion of various studies and theories between right and wrong when making a decision. The paper outlines the principal criteria on which the specified question should be based. The conclusion of the article provides a summary of the issue and the key advantages that can be gained in case of creating a fair working environment in the organization.

Key words:
Truth, Justice, Organization, Effectiveness

შესავალი

თითოეული ადამიანი არის პიროვნება - ინდივიდი და საკითხებთან მიმართებაში გააჩნია თავისი პიროვნული ხედვა და დამოკიდებულება. თითოეულ ადამიანს, ასაკისა და გამოცდილების მიხედვით, ჩამოყალიბებული აქვს თავისი საკუთარი - პიროვნული გამოცდილება სწორსა და არასწორს შორის და ამ თავისი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით, ყოველ კერძო მოცემულობაში ის განსაზღვრავს რა არის სწორი და რა არის არასწორი. თუმცა, ალბათ არავინ დავობს, რომ ცხოვრებისეულად მეტად გამოცდილ, ან უფრო განსწავლულ ადამიანს სწორისა და არასწორის განსასაზღვრად გააჩნია გაცილებით ვრცელი თვალთახედვა, ვიდრე ნაკლებად გამოცდილ და განსწავლულ ადამიანს. ეს ცოდნა და გამოცდილებაც იცვლება დროთა განმავლობაში. ნაშრომის მიზანია სამართლიანობის ათვლის წერტილის/საყრდენის ძიება.

ისევ და ისევ, ადამიანი არის პიროვნება-სუბიექტი-ინდივიდი. **როდესაც ის იღებს გადაწყვეტილებას სწორსა და არასწორს შორის, რა არის მისი ათვლის წერტილი? იცვლება თუ არა დროთა განმავლობაში ეს ათვლის წერტილი?** თუ იცვლება, **რაზე არის დამოკიდებული ეს ცვალებადობა?** არა აქვს მნიშვნელობა ადამიანი ქალია, თუ კაცი, ასაკის მიხედვით სრულწლოვანს, რა თქმა უნდა, მოეთხოვება პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე (პატარასაც რა თქმა უნდა, მაგრამ თავისი ასაკისდა მიხედვით). ეს ყველაფერი თუნდაც კარგად ჩანს ქვეყნის კანონმდებლობაში ადამიანის პასუხისმგებლობების შესახებ. თვითონ ქვეყნის მართვისათვის განკუთვნილი კანონებიც იცვლება დროთა განმავლობაში, ხან სწრაფად და მნიშვნელოვნად, ხან მდორედ და უმნიშვნელოდ, თუმცა იცვლება.

მოცემული ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის, **როგორ განვსაზღვროთ სწორი და არასწორი ორგანიზაციის შიგნით? რა უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნულის ათვლის წერტილად?**

მსჯელობა საკითხთან მიმართებაში

სამართლიან ადამიანს ხშირად უწოდებენ ზნეობრივ ადამიანს, ხოლო უსამართლოს უწოდებენ უზნეოს. **რა ახდენს გავლენას დასაქმებული ადამიანის ზნეობაზე?** ძირითადად იკვეთება ორი საკითხი:

- თანამშრომლები, როგორც ინდივიდები
- თვით ორგანიზაცია, როგორც ინსტიტუტი - თავისი კულტურით, წესებით, იდეოლოგიით, რაც ძირითადად ორგანიზაციის დამფუძნებლებისა და მისი ხელმძღვანელებისაგან მომდინარეობს.

ყოველი ჩვენთაგანი: რიგითი თანამშრომლები, ხელმძღვანელები, თუ ორგანიზაციის დამფუძნებლები სამსახურში მივდივართ ჩვენი შეხედულებებით სამყაროს შესახებ. თვითოეული ადამიანი თავის შეხედულებებს, როგორც წესი, იყალიბებს იმ დროისათვის მიღებული პირადი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით. ცხოვრების ეს ***„დიდი სურათი“***, რომელიც განაპირობებს ინდივიდის ქცევას, ეფუძნება მის პიროვნულ რწმენას რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძირითადად განპირობებულია მისი, როგორც ინდივიდის მიერ, იმ დროისათვის დაგროვებული გამოცდილებითა და ცოდნით. ამ ყოველივეს ხშირად უწოდებენ:

პიროვნების „მსოფლმხედველობას“!

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის ზურგზე, დღეს-დღეისობით ცხოვრობს დაახლოებით 8 მილიარდამდე ადამიანი, ***არ არსებობს ორი ზუსტად ერთნაირი ადამიანი.*** მაგალითად, ყველას ხელის ანაბეჭდი განსხვავებულია, ისევე, როგორც თვალის ფორმა და სხვა. ასევე განვსხვავდებით ადამიანები აზროვნების მხრივ. მაგალითად ადამიანს, როგორც წესი, ყავს მხოლოდ რამდენიმე მეგობარი. რაც უფრო ასაკშია ადამიანი, ნამდვილი მეგობრების რაოდენობა, როგორც წესი, მცირდება (არა ასაკის და მასთან დაკავშირებული გარდაცვალების გამო, არამედ, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ცოდნის გამო). მეგობრები ხომ არიან ის ადამიანები, რომლებიც სხვებისაგან განსხვავებით უფრო მეტად იზიარებენ ჩვენს ხედვებს, მოსაზრებებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებთან მიმართებაში, თუმცა ჩვენთვის, ამ უახლოეს ადამიანებშიც - მეგობრებშიც ვერცერთს ვერ ვნახავთ ზუსტად ჩვენისთანას. ეს ასე რომ იყოს, მაშინ ჩვენის აზრით გაქრებოდა უთანხმოება, გაუგებრობა, კამათი, რომელიც ძალიან ახლო მეგობრებს შორისაც ხდება ხანდისხან. ლაბორატორიული კვლევები ადასტურებს, რომ დედამიწის ზურგზე - ***ერთნაირი ორი წყლის წვეთიც არ არსებობს!***

ადამიანს, შეიძლება ითქვას წარმოაჩენს მისი ზნეობა. კარგი საქციელის მომხრეა იგი, თუ ცუდის:

„ადამიანი, როგორც აზროვნებს, ისე იქცევა!“

გარკვეულ, მოკლე დროზე გათვლილ თვალთმაქცობებს თუ არ ჩავთვლით, ეს გამონათქვამი მუშაობს.

როგორც წესი, დროთა განმავლობაში ადამიანთა ზნეობრივი განვითარება თანდათან იხვეწება და ***„სიმწიფეს“*** აღწევს. ***ზნეობრივ სიმწიფესთან ერთად, მრავალი ადამიანი, მაგრამ არა ყველა, ხდება უფრო სამართლიანი და წონადი შეხედულებების მიმდევარი.***

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის ზნეობაზე და მის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითონ პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა, მისი ფასეულობების სისტემა და ის წონადი შეხედულებები, რომლებიც ადამიანს ჩამოყალიბებული აქვს თავისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

პიროვნული განვითარების დონეები, მსხვილ ჯგუფებში გამოიყურება შემდეგნაირად:

√ **ზნეობრივი განვითარების პირველი დონე:** - პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს

თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. ის იცავს საზოგადო წესებს თუ ორგანიზაციის შიდა განაწეს, მხოლოდ იმის გამო, რომ თავი აარიდოს სასჯელს, მიიღოს გასამრჯელო და დაწინაურება. თუ ის დარწმუნებული იქნება, რომ საზოგადო წესების, ან ორგანიზაციის შიდა განაწესის დარღვევა მას არ დააზიანებს, როგორც წესი, ის ამას გააკეთებს. ასეთი ადამიანები ყოველი მოქმედების წინ თავის თავს უსვამენ შეკითხვას:

რა გამორჩენას მივიღებ ეს რომ გავაკეთო?

√ ***ზნეობრივი განვითარების მეორე დონე:*** - პიროვნება ამართლებს სხვების მოლოდინებს, როგორიცაა: ოჯახი, მეგობრები, უფროსი, ან საზოგადოება და ეთანხმება არა პირად, არამედ მათ მიერ შემოთავაზებულ ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს. ასეთი ადამიანები ყოველი მოქმედების წინ თავის თავს უსვამენ შეკითხვას:

რისი გაკეთება მევალება დადგენილი წესებით, ნორმებით?

√ ***ზნეობრივი განვითარების მესამე დონე:*** - პიროვნება ცხოვრობს შინაგანი ზნეობის, ფასეულობების და ეთიკის კარნახით, ყოველგვარი სასჯელის შიშისა და სხვების აზრის გათვალისწინების გარეშე. ასეთი ადამიანები ყოველი მოქმედების წინ თავის თავს უსვამენ შეკითხვას:

√

რა არის სწორი-სამართლიანი რომ გავაკეთო?[1]

გამოსახულება 1: ადამიანის ზნეობრივი განვითარების დონეები



ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორგანიზაციებში დასაქმებულ ადამიანებს შორის ჩატარებული კვლევის მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა ადამიანის განვითარების მეორე დონე (დაახლოებით 90%-ი). მეტნაკლებად თანაბარი და მცირერიცხოვანია ზნეობრივი განვითარების პირველ და მესამე დონეზე მყოფი დასაქმებული ადამიანების რიცხვი (დაახლოებით 5% ÷ 5%-ი).[2]

მოკლედ განვიხილოთ ზნეობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი თანამშრომლისაგან რას უნდა მოელოდეს ორგანიზაცია ან ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. მაშ ასე:

ზნეობრივი განვითარების პირველ დონეზე მყოფი თანამშრომლები, როგორც წესი, ყველაფერში ეძებენ პირად გამორჩენას. წარმატებას აწერენ საკუთარ თავს. ცდილობენ მათ მიერ გაკეთებული მცირედიც წარმოაჩინონ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მიღწევა, ხოლო სხვების მიერ მნიშნელოვანი წარმატებები გააუბრალონ და საერთოდაც, ზოგად გარემოებებს მიაწერონ. ასეთი ადამიანები წესებსა და კანონებს იცავენ მხოლოდ სასჯელის თავიდან აცილების მიზნით და მზად არიან დაარღვიონ ისინი, თუ კი ჩათვლიან, რომ მათ ამით საფრთხე არ ემუქრებათ. ისინი შეიძლება ჩავთვალოთ ***„ზნეობრივ მოზარდებად“***, რომელთაც ჯერ არა აქვთ ჩამოყალიბებული მტკიცე, ურყევი ფასეულობები და შესაბამისად რა არის სწორი და არასწორი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დროს ხელმძღვანელობენ პირადი გამორჩენის (ძირითად შემთხვევაში მატერიალური შეხედულებებით) მიზნით. ასეთ თანამშრომელს, როგორც იტყვიან ***„თვალი არ მოშორდება“***, მათ ხელმძღვანელებს უწევთ ყოველი მათი ნაბიჯის ყურადღებით დაკვირვება, შედეგების შეფასება. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ასეთი თანამშრომლების გარშემო არცთუ იშვიათად იქმნება დაძაბული გარემო, რადგან მათ ახასიათებთ საერთო საქმეში და მიღწევებში სხვების წარმატებებისა და მიღწევების დაკნინება, ხოლო საკუთარის

1 "ABC's of Selling" by Charles M. Futrell, 11e; გვ. 52-53

2 ABC's of Selling" by Charles M. Futrell, 11e; გვ. 53-54

გადამეტებით შეფასება, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს მეგობრული სამუშაო გუნდის ჩამოყალიბებას. ასეთი თანამშრომლები, როგორც წესი, არ უზიარებენ მენეჯერებს ღირებულ მოსაზრებებს, ორგანიზაციის განვითარება-გაძლიერების მხრივ. თუ ამას მაინც აკეთებენ, აკეთებენ საკუთარი გამორჩენის მიზნით.

ზნეობრივი განვითარების მეორე დონეზე მყოფი თანამშრომლები ამართლებენ იმ საზოგადოებრივი ჯგუფების მოლოდინებს (როგორც წესი: ოჯახი, მეგობრები, თანამშრომლები, ხელმძღვანელები), რომლებსაც მიიჩნევენ მნიშვნელოვნად. შესაბამისად ზნეობრივი განვითარების ამ დონეზე მყოფი ადამიანები მოქმედებენ საზოგადოების მოცემულ ჯგუფებში ჩამოყალიბებული წესებისა და მორალის მიხედვით. მაგრამ რა მოხდება თუ ხელმძღვანელი გვავალებს ისეთ რამეს, რაც არასწორია, ან მთლიანად ორგანიზაცია (ანდაც საზოგადოების რომელიმე სხვა ჯგუფი, სადაც ასეთი ადამიანი იმყოფება) არასწორი მიმართულებით ვითარდება? ასეთი თანამშრომლები მდგომარეობის შეცვალს-გამოსწორებას არც კი ეცდებიან და ***„მიყვებიან დინებას“.*** მათგან ხელმძღვანელებს რაიმე ღირებული რჩევის მიღების მოლოდინი, ასევე არ უნდა ჰქონდეთ, რადგან მათი მთავარი გათვლა კეთდება: ხელმძღვანელს რა მოეწონება? რას ელოდება ჩემგან? და არა საქმეს რა და როგორ სჭირდება! კვლევის მიხედვით, ასეთი თანამშრომლების ხვედრითი წილი ორგანიზაციებში ყველაზე მაღალია. მათ ახასიათებთ მაამებლური დამოკიდებულება, „ნაკლებ თავის ტკივილს წარმოადგენენ“ ხელმძღვანელებისათვის, რადგან ცდილობენ მათი მოლოდინების გამართლებას. შეიძლება ითქვას, მათ თავის თავში დათრგუნული ყავთ საკუთარი პიროვნება და მეტად არიან დამოკიდებულნი „მართვაზე“ - მათ ესაჭიროებათ მიმართულების მიმცემი.

ზნეობრივი განვითარების მესამე დონეზე მყოფი თანამშრომლები, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, მოქმედებენ პირადი ზნეობრივი ფასეულობების და ეთიკის კარნახით. მათ ძალუძთ საზოგადოებრივი, ან ორგანიზაციული წესების და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ წასვლა, თუ არიან დარწმუნებულები, რომ მათი მოქმედება დადებით შედეგს მოიტანს ისევ და ისევ ამ საზოგადოებისა ან ორგანიზაციისათვის. ასეთი თანამშრომლები ***არიან პრინციპულები,*** შესაბამისად რჩევებისა და მოსაზრებების გაზიარების დროს მათთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს პირად გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაფუძნებული შინაგანი ზნეობრივი ნორმები. ასეთი თანამშრომლები სამსახურებში, უმრავლესობისათვის (ზნეობრივი განვითარების მეორე საფეხურზე მყოფი თანამშრომლებისათვის) წარმოადგენენ ერთგვარ უხერხულობას, რადგან არ არიან „სტანდარტულები“, აქვთ პირადი შეხედულებები სწორსა და არასწორზე, შეუძლიათ დაუპირისპირდნენ ორგანიზაციაში დამკვიდრებულ წესებს, რაც უმრავლესობისათვის „ამოუხსნელი ფენომენია“.

ადამიანები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ზნეობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გადადიან. ყველაზე კარგი მოცემულობაა, როდესაც მათი ზნეობრივი განვითარება აღმავალი სახისაა, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის.

კიდევ ერთი საინტერსო რამ, რაც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, არის ის, რომ დასაქმებულების 20%-ზე ნაკლები აღწევს ცხოვრების განმავლობაში ზნეობრივი განვითარების მესამე - პრინციპულ დონეს.

როგორც ვისაუბრეთ, დასაქმებულის ზნეობრივ საკითხებზე გავლენას ახდენს ასევე ორგანიზაცია, როგორც ინსტიტუტი - თავისი კულტურით, წესებით, იდეოლოგიით. რის მიხედვით და როგორ ყალიბდება ყოველივე ეს? გადამწყვეტი, როგორც წესი, არის თვითონ დამფუძნებლებისა და მმართველების, ასევე იმ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ჯგუფების გავლენა, სადაც მოქმედებს ორგანიზაცია (განსაკუთრებით აღსანიშნავია მომხმარებელთა შეხედულებები, კონკურენტების და პარტნიორების დამოკიდებულებები). ამ შემთხვევაშიც დავდივართ კონკრეტულ პიროვნებებზე, ან საზოგადოების გავლენიან ჯგუფებზე, მათი შეხედულებები სწორსა და არასწორზე ცვალებადია.

ადამიანისათვის კონკრეტულ სიტუაციაში რაც არის „სწორი“ ისე იქცევა, ასე ვთქვათ „ყველას თავისი პირადი სიმართლე აქვს“! დღეს „ასე სჭირდება“ და ესაა მისი სიმართლე, ხვალ სხვანაირად და უკვე ეს „სხვანაირად“ ხდება მისთვის სიმართლე და ასე დაუსრულებლად. მაგრამ არის კი ეს სიმართლე, რომელზეც უნდა ავიღოთ სწორება?! „ადამიანი შეიძლება „ამტკიცებდე“, რომ ეს სიმართლეა და იმჟამადაც ისე ჩანდეს, მაგრამ სინამდვილეში შეიძლება არ იყოს მასე“.[3] როგორ არ უნდა გაგვახსენდეს დიდი შოთა რუსთაველის მიერ თქმული:

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“[4]

ესე იგი, თუ ადამიანი შეცდა და ცრუ სიმართლით იხელმძღვანელებს-ის ვერ იქნება ბედნიერი და განა ეს ასე არ არის?! ხომ შეიძლება ადამიანს ეგონოს, რომ იქცევა სწორად, მაგრამ არ იყოს სწორი?! და მასთან მიმართებაშიც გავრცელდეს ,,ვეფხისტყაოსნიდან“ ეს მცნება?!

წმიდა ყოფით ცხოვრებაში და ასევე ორგანიზაციულ საქმიანობაში ხშირად ხდება, როდესაც ადამიანი თავისი **„პირადი სიმართლით“** ხელმძღვანელობს, თუმცა მოგვიანებით აცნობიერებს, რომ მისი „პირადი სიმართლე“ მცდარი იყო, ან ყოველ შემთხვევაში რაღაც არის მასში „ჩასასწორებელი“, მაგრამ არ ყოფნის ძალა საზოგადოდ ამის აღიარების და მის მიერ დაშვებულ შეცდომას „ფუთავს“ ახალი „პირადი სიმართლით“. ასე და ამგვარად ეხვევა ადამიანი ცდომილებების ლაბირინთებში. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ასეთი „პირადი სიმართლეებით“ ორგანიზაციას განსაკუთრებით აზარალებენ მისი მაღალი იერარქიის მმართველები, რადგან მათ მიერ დაშვებული შეცდომები უფრო მძიმეა და ორგანიზაციის საერთო შედეგიანობაზეც უფრო მკვეთრად აისახება, ვიდრე რიგითი თანამშრომლების ცდომილებები. „შეიძლება უბრალო გლეხი და მუშა

3 მერაბ ცინცაძე; შალვა კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015; გვ.39

4 მერაბი ცინცაძე; „ნარკვევები ვეფხისტყაოსნის შესახებ“; გამომცემლობა თამარიონი; თბილისი 2010 გვ.184

უფრო მეტად ადამიანური იყოს, ვიდრე დიდად განვითარებული, მაგალითად მეცნიერი.“[5]

აქვე გვსურს აღვნიშნოთ **ნახევრად სიმართლის ფენომენი!** ამ საკითხზე ყურადღება მიგვაქცევინა დიდმა მამულიშვილმა, აწ განსვენებულმა არქიმანდრიტმა გიორგი ბასილაძემ. ის გვეუბნებოდა, რომ ნახევრად სიმართლე უფრო რთული ამოსაცნობია, რადგან მისი „შემოქმედი“ სიმართლის ქურქში სდებს სიცრუის მარცვალს და სანამ ის ფესვებს გაიდგამს და აღმოცენდება გულუბრყვილო და გამოუცდელი მას ვერ შეამჩნევს. როდესაც შეამჩნევს-შეიძლება უკვე ძალიან გვიან იყოს და მდგომარეობის გამოსასწორებლად დიდი მსხვერპლის გაღება იყოს საჭირო.

მაგალითის სახით მოვიყვანთ ორგანიზაციებში არც თუ ისეთ იშვიათ შემთხვევებს, როდესაც **„ჯობის გადატეხვა“** წარუმატებლობის დროს ხდება რიგით თანამშრომლებზე. ამ დროს მმართველი რგოლის წარმომადგენლები დიდი გულდასმით იშველიებენ ამა თუ იმ დადგენილებასა თუ სხვადასხვა ნორმა-ტიულ აქტებს. საკითხის სიღრმისეული განხილვა და მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში არ ხდება, ძირითადად იმ მიზეზით, რომ მმართველ რგოლს ამდენი თავისუფალი დრო არ აქვს, თანაც რაღა საჭიროა საფუძვლიანად საკითხში გარკვევა, **„დამნაშავე, ხომ უკვე დაისაჯა“.** ასეთი ნახევრად სიმართლეებისაგან ორგანიზაციაში იქმნება ის კლიმატი, რომელიც თანამშრომლებს ამყოფებს დიდ ფსიქოლოგიურ წნეხში. თანამშრომლებში ვგულისხმობთ ყველას, რიგითი თანამშრომლიდან დაწყებული უმაღლესი რგოლის მმართველით დამთავრებული, რადგან ასეთი მდგომარეობა ყველასათვის არის დამაზიანებელი.

სიცრუის დინების საპირისპიროდ ცურვის ცოდნა, ძალა და უნარი სამწუხაროდ ბევრს არა აქვს.

რა ხდება ამ დროს? თანამშრომლები განიცდიან **შემეცნებით დისონანსს და ემოციურ დისონანსს!**

„შემეცნებითი დისონანსი არის ნებისმიერი შეუსაბამობა, რომელიც ადამიანმა შეიძლება დაინახოს ორ და მეტ დამოკიდებულებასა ან დამოკიდებულებებსა და ქცევას შორის.“[6]

„მენეჯერები დაქირავებულებისაგან ელიან, რომ ისინი თანამშრომლებთან ურთიერთობისას ზრდილობიანები და კეთილგანწყობილები იქნებიან. ნამდვილი სირთულე იმაშია, რომ დაქირავებულებს უხდებათ ერთი ემოციის გამოვლენა, როცა მეორეს გრძნობენ. ეს განსხვავება **ემოციური დისონანსია,** რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს დაქირავებულებზე. იმედგაცრუების, სიბრაზის და წყენის თავშეკავებულ, გამოუვლენელ გრძნობას დაქირავებულები ბოლოს ემოციურ დაცლილობამდე და გადაწვამდე მიჰყავს.“[7]

თანამშრომლები ცდილობენ შეამცირონ დისონანსი. მაღალი ინტელექტისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლები შეიძლება ორგანიზაციამ სულაც დაკარგოს, რადგან მათზე მოთხოვნა მაღალია. შედარებით დაბალი ინტელექტისა და გამოცდილების თანამშრომლებში კი ხშირად ხდება იმ მოსაზრების განმტკიცება, რაც შესანიშნავადაა აღწერილი ქართულ ხალხურ ზღაპარში - „**მუჭანახევარა**“. ასეთი თანამშრომელი სულ სვავს შეკითხვას: როგორ უნდა მოვიქცე? მაგრამ მალე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყოველ ხელმძღვანელ პირს თავისი პირადი, განსხვავებული საზომი აქვს და შესაბამისად არის მუჭანახევარას მდგომარეობაში. სულ იმის ფიქრშია, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით გულისხეთქვაში - ვისთან რა სთქვას და როგორ მოიქცეს. ალბათ ასეთმა გარემოებებმა წარმოშვა ცნობილი გამონათქვამი **„შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველსო!“**

არც მაღალი ინტელექტისა და გამოცდილების თანამშრომლები არიან ბევრად კარგ მდგომარეობაში, რადგან **„ინტელექტი ადამიანს სამუშაოს კარგად შესრულებაში დიდ დახმარებას უწევს, მაგრამ მას არ შეუძლია ის სამუშაოთი ბედნიერი ან კმაყოფილი გახადოს.“**[8] ჩვენის აზრით, ადამიანის ბედნიერებისა და კმაყოფილების მნიშვნელოვან საფუძველს სწორედ სამართლიანობის განცდა განაპირობებს.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია არის კიდევ ერთი თვალსაჩინო მტკიცებულება იმისა, რომ სხვადასხვა მოთხოვნილებების საფეხურზე მყოფი ადამიანი/თანამშრომელი ერთი და იგივე მდგომარეობას განსხვავებულად, უფრო სწორად თავისი მოცემულობით აფასებს.

გამოსახულება 2: მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია[9]

5 მერაბი ცინცაძე; შალვა კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015; გვ.45

6 სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯა. „ორგანიზაიული ქცევის საფუძვლები“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009. გვ.21

7 სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯა. „ორგანიზაიული ქცევის საფუძვლები“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009. გვ.146

8 სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯა. „ორგანიზაიული ქცევის საფუძვლები“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009. გვ.19

9 ს. რობინსი, მ. კოულტერი „მენეჯმენტი“, მე-14 გამოცემა, 2018, ქართულ ენაზე Pearson/Prentice Hall; გვ. 608

მოთხოვნილებების რომელ საფეხურზეც იმყოფემა თანამშრომელი-მასზე შესაბამისი მოტივაცია მოქმედებს. მაგალითად, თუ თანამშრომელი იმყოფება ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების საფეხურზე და ჩვენ მას კარგად შესრულებული სამუშაოს საპატივსაცემოდ ოპერაში პრემიერაზე წასასვლელ ბილეთს ვაჩუქებთ, ის ჩვენს მიმართ დადებითად ვერ განეწყობა და მისთვის ჩვენი გადაწყვეტილება ნამდვილად არ იქნება სამართლიანი. იგივე შედეგის აღსანიშნავად აღიარების საფეხურზე მყოფი თანამშრომელი ჩვენს გადაწყეტილებას მოიწონებს.

დავსვათ შეკითხვა რასაც ეხება მოცემული ნაშრომი: ***როგორ განვსაზღვროთ სწორი და არასწორი ორგანიზაციის შიგნით? რა უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნულის ათვლის წერტილად?***

ამისათვის უნდა გაგვაჩნდეს მყარი საფუძველი/სტანდარტი. სწორსა და არასწორს შორის გადაწყვეტილებების მიღების სტანდარტი მოიცავს სამ პირობას:

1. **იგი უნდა იყოს მუდმივად უცვლელი,**
2. **გააჩნდეს ფიქსირებული ათვლის წერტილი,**
3. **იყოს ჩვენგან გამიჯნული.**

რას ნიშნავს ეს? განვიხილოთ თითოეული მათგანი. იგი უნდა იყოს მუდმივად უცვლელი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამოგვადგება. ერთი და იგივე მოცემულობაში დღეს თუ ერთი მოქმედება იქნება სწორი და სამართლიანი, ხვალ მეორე, ზეგ კიდევ მესამე-ცხადია ასეთი დასაყრდენი ვერ იქნება გამოსადეგი სამართლიანობის განსაზღვრაში. ფიქსირებული ათვლის წერტილი არის ისეთი რამ, რაც უზრუნველყოფს მართებულ ქცევებს ნებისმიერ სიტუაციაში და შეუძლებელია მისი მორგება კონკრეტულ შემთხვევაზე. გვჯერა ამის თუ არა, მოგვწონს ეს თუ არა, ვიცით ეს თუ არა, არა აქვს მნიშვნელობა, ის არის ფიქსირებული. ეს ფიქსირებული ათვლის წერტილი პიროვნებისაგან გამიჯნული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება წესების ცვლილება პირადი ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა სიტუაციებში.

ამ ყოველივეს კარგი მაგალითია ციური სხეულების - **ვარსკვლავების გამოყენება ნავიგაციაში**. სწორედ მათი საშუალებით არის შესაძლებელი უსაფრთხო ნავიგაციის განხორციელება. ეს ციური სხეულები მუდმივია, მყარი დასაყრდენია/ფიქსირებულია და გამიჯნულია ჩვენგან.

რა გააჩნია მსოფლიოში ადამიანების უმრავლესობას ისეთი, რაც აკმაყოფილებს ამ სამ კრიტერიუმს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად ნებისმიერ სიტუაციაში?!

მსოფლიოს ადამიანების უმრავლესობა სწორ თუ არასწორ გადაწყვეტილებებს ძირითადად საკუთარი რელიგიური მრწამსის მიხედვით იღებს. მსოფლიოში ყველა ძირითად რელიგიურ აღმსარებლობას გააჩნია საკუთარი წერილობითი დოქტრინა. ჩვენ ქართველებს გაგვაჩნია 2000 წლოვანი ქრისტიანული, მართლმადიდებლური ისტორია-მრწამსი. შესაბამისად, ყველა ის გადაწყვეტილება, რაც ეხება სწორსა და არასწორს, მიღბული უნდა იქნეს მართლმადიდებლური მრწამსის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, როგორც ქვეყნის კანონმდებლობა, ასევე ორგანიზაციების შიდა რეგულაციები და წესები ამოდიოდეს სწორედ აღნიშნული დოქტრინიდან. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა და შესაბამისად ორგანიზაციებში დასაქმებულთა უმრავლესობა იგრძნობს სამართლიანობას - სამართლიან გარემოს და ამის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზრდება მათი შედეგიანობა/შრომა, რაც თავის მხრივ კონკრეტული ორგანიზაციის წარმატებაც იქნება და ქვეყნისაც.

„დაქირავებულის ფასეულობების ორგანიზაციის კულტურასთან შესაბამისობა სამსახურით კმაყოფილების, ორგანიზაციისადმი ერთგულებისა და სამსახურის ნაკლებად მიტოვების პროგნოზს იძლევა.“[10]

„მენეჯერთა საქმიანობა იმ ქვეყნის ფასეულობების მიხედვით უნდა შეიცვალოს, სადაც ეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს.“[11] გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი დაკვირვება, რომ ჩვენთან ყოველი უცხო - სხვა ქვეყნების და ერების უფრო მეტად ფასობს ვიდრე ჩვენი. უნებლიედ გაგვახსენდა ეს ხალხური გამონათქვამი: **„თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასო“**. კარგია და აუცილებელიც დადებითი უცხოური გამოცდილების შესწავლა და მისი მორგება ქართულ მოცემულობაზე, ოღონდ დაუშვებლად მიგვაჩნია, რაც არ უნდა წარმატებული უცხოური გამოცდილება იყოს- მისი ერთი-ერთში გადმოღება და ჩვენთან (ანდაც სხვაგან სადმე) დანერგვა. რადგან არაერთი საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა არსებობს, რომელთა მიხედვითაც ეროვნული ხასიათი, კულტურა, მისი ფსიქოპორტრეტი განსხვავებულია და შესაბამისად აუცილებელია ამ ყველაფრის გათვალისწინება ორგანიზაციათა მართვაში. ეს საკითხი ჩვენის აზრით საკმაოდ კარგად აქვთ გააზრებული იაპონიაში. იქ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოაყალიბეს ახლებური მიდგომები, რომლებიც ძირითადად აღბული იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და წარმატებული ევროპული ქვეყნების გამოცდილებების მიხედვით, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არცერთი წარმატებული სქემა ერთ-ერთში არ გადაუტანიათ, არამედ ის ჯერ მიუსადაგეს იაპონურ კულტურას და შემდეგ დანერგეს პრაქტიკაში იქაურმა ორგანიზაციებმა. შედეგიც სახეზეა, დღეს დღეობით იაპონია ერთ-ერთი მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რაც იაპონური ორგანიზაციების და სახელმწიფოს (როგორც მმართველობის ისე ერის) ერთობლივი შრომის შედეგია.

გადავხედოთ სად და როგორ ყალიბდება ორგანიზაციებში ქცევა და შესაბამისად საჭიროა მათი შეფასება/ანალიზი. ორგანიზაციული ქცევის ანალიზის დონეები შემდეგია:

---

10 სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯა. „ორგანიზაიული ქცევის საფუძვლები“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009. გვ.62

11 სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯა. „ორგანიზაიული ქცევის საფუძვლები“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009. გვ.9

1 - ინდივიდების დონე,
2 - ჯგუფის დონე,
3 - ორგანიზაციული სისტემის დონე.

საწყისი, რა თქმა უნდა, არის ინდივიდი. შემდგომ ინდივიდებისგან იკვრება ჯგუფები და ბოლოს ორგანიზაციული სისტემა. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია შედგება ხილული და უხილავი ნაწილებისაგან/ ასპექტებისაგან, რომლებიც წარმოდგენილია გამოსახულება 3-ზე.

გამოსახულება 3: ორგანიზაცია წარმოდგენილი აისბერგის სახით[12]

ორგანიზაციის ორივე ხილული და უხილავი ასპექტები ძალზედ მგრძნობიარეა მასში არსებულ სამართლიან გარემოსთან - სამართლიანობასთან მიმართებაში. მის გარეშე შეიძლება ითქვას აისბერგი (იგივე ორგანიზაცია) „ჩაიძირება“.

მსჯელობის შეჯამება

თანამშრომლების მიერ ორგანიზაციების დატოვების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებებს განეკუთვნება: „უფროსთან ურთიერთობის ხარისხი და თანამშრომლებთან ერთობლივი სამუშაოს ხარისხი.“[13] ნაშრომში ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ყველა ადამიანი ინდივიდია და განსხვავებული, რაც ამ სამყაროს ამრავალფეროვნებს. ადამიანისათვის ეს არ არის უცხო და მოულოდნელი მოცემულობა. შესაბამისად, ორგანიზაციებშიც რომ იქნება ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში განსხვავებული ხედვები და დამოკიდებულებები საერთოდ არ არის მოულოდნელობა. ხოლო მოულოდნელობასა და შეუსაბამობას, ჩვენის აზრით, ორგანიზაციებში (და არა მარტო) ქმნის უსამართლო გარემო, სხვანაირად შეიძლება ვთქვათის „პრადი სიმართლეები“, რომლებიც ყველა სუბიექტს გააჩნია და ცდილობენ მის დაცვას უსამართლოდ/ძალმომრეობით. რატომ არის კვლევების მიხედვით პირველ ადგილზე თანამშრომლების მიერ ორგანიზაციის დატოვების ნაწილში მისი ურთიერთობა ხელმძღვანელთან?! ალბათ იმიტომ, რომ პირადი სიმართლის „დაცვის“ ბერკეტები ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფთ გაცილებით მეტი გააჩნიათ ვიდრე რიგით თანამშრომლებს. ასევე სხვა თანამშრომლებთან ერთობლივი სამუშაოს ხარისხში ამოსავალ წერტილად მიგვაჩნია სამართლიანობის განცდა. თუ სამუშაოზე დასაქმებული ხედავს, რომ თანასწორი და სამართლიანი გარემო არის შექმნილი, მაშინ ცდილობს თავისი შესაძლებლობების სრულ გამოვლენას, ასევე ადამიანურად ახერხებს ურთიერთობების აწყობას და მართვას თავის კოლეგებთან. საპირისპიროდ, როდესაც უსამართლო გარემოა, თანამშრომელი ცდილობს მხოლოდ სავალდებულო სამუშაოს შესრულებას. არანაირი დამატებითი მონდომება და ორგანიზაციის განვითარების სურვილი არ გააჩნია და შესაძლებლობის მიხედვით ცდილობს მოიძიოს მისთვის უფრო მისაღები სამუშაო გარემო.

12 ს. რობინსი, მ. კოულტერი „მენეჯმენტი“, მე-14 გამოცემა, 2018, ქართულ ენაზე Pearson/Prentice Hall; გვ. 534
13 შალვა კვეზერელი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; რიდერი; დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია; სალექციო კურსი 2015; გვ.30-31

კოლეგებთან ურთიერთობა დაძაბულ და სავალდებულო სახეს ღებულობს.

თუმცა ჩვენი ნაშრომის ძირითადი შეკითხვა იყო: როგორ განვსაზღვროთ სწორი და არასწორი ორგანიზაციის შიგნით? რა უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნულის ათვლის წერტილად? ნაშრომის მსჯელობით ნაწილში მიმოვიხილეთ სხვადასხვა თეორია და შეხედულება იმსათან დაკავშირებით თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული სიმართლედ. მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ სიმართლე აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა იყოს უცვლელი, გააჩნდეს ფიქსირებული ათვლის წერტილი და იყოს ჩვენგან გამიჯნული, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მხოლოდ და მხოლოდ „პირად და დროებით სიმართლეს“. ასეთად, რაც აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს, მივიჩნიეთ რელიგიურ მრწამსი და მისი წერილობითი დოქტრინა. სხვისი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ, ქართველებს გაგვაჩნია ჩვენი ქრისტიანული, მართლმადიდებლური 2000 წლოვანი სარწმუნოება, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისა და კულტურის საყრდენ ქვაკუთხედს. რატომ არ უნდა ავირჩიოთ სწორისა და არაწორის გარჩევის საკითხში სწორედ ჩვენი სარწმუნოება და მისი დოქტრინა? არ გვაქვს იმის წარმოდგენა, რომ ამით ყველა იქნება კმაყოფილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ დიდი უმრავლესობა იქნება კმაყოფილი, ან ყოველ შემთხვევაში მიიღებს აღნიშნულ მოცემულობას როგორც სწორს/სამართლიანს. ჩვენის აზრით, ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიზანიც უნდა იყოს, რომ თანამშრომელთა უმრავლესობა იყოს კმაყოფილი და არა მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, ხოლო უმეტესობა უკმაყოფილო.

„სასჯელის ის ზომები, რომლებიც მოქმედებენ სამართლის კანონების სახით, დააწესეს და შემოსაზღვრეს თვითონ ადამიანებმა. ადამიანი კი ადამიანს ადვილად იმეტებს.“[14] „ჩვენი მწირი შეხედულებით საზოგადოების უკეთესი ცხოვრებისათვის საჭიროა ალბათ სხვანაირი მოაზრება სამართლებრივი სირთულისა. სამართლებრივი სირთულე არ ექნება საზოგადოებას იმ შემთხვევაში, თუ მისი კანონები თანხვედრაში, ანუ თანაფარდობაში იქნება ღმერთის სამართალთან.“[15] „ცნობილია, რომ სამართალი სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველია და რამდენადაც იგი მიახლოებული იქნება ღმერთის სამართალთან, იმდენად ვარგისი იქნება სახელმწიფოსთვის. მტკიცე იქნება იგი, როდესაც ყოველ ადამიანს ექნება იმედი იმისა, რომ უსამართლოდ არავინ დაჩაგრავს და სხვა თუ არა, სახელმწიფო დაიცავს მას.“[16] ზუსტად იგივე ითქმის მცირე ორგანიზაციებზე (სახელმწიფო თავის მხრივ წარმოადგენს შედარებით დიდ ორგანიზაციას) და მათში დადგენილ წესებზე და რეგულაციებზე.

„ყოველი საზოგადოებრივი წყობილება (მათ შორის ორგანიზაცია) წარმოადგენს საფეხურებიან პირამიდას. ზემოთ მყოფი ადამიანი ხელქვეითს ავალებს რაღაცას, რომელიც მან უნდა შეასრულოს მიუხედავად იმისა ეთანხმება თუ არა ამ დავალებას. თუ არ ეთანხმება ამ დავალების შესრულების აზრიანობას, მაშინ გამოდის, რომ ზემდგომი ქვემდგომის მიმართ ახორციელებს ძალადობას... ცხადია, რომ ზემდგომები რაოდენობრივად თანდათან მცირდებიან და პირიქით, ქვემოთ მყოფი ადამიანების რაოდენობა იზრდება. თავის მხრივ, ისინი ცდილობენ ზემოთ მდგომის არასასურველი დავალების არ შესრულებას, ანუ ახდენენ ზემოთ მყოფზე ზეწოლას, რაც თავისთავად ზემოთ მყოფის დაჩაგვრას წარმოადგენს, ანუ ძალადობა წარმოიშობა ორივე მიმართულებით, თუ უთანხმოებას ექნება ადგილი. ცხადია, რომ საზოგადოებრივი (ორგანიზაციის) წყობის სიმტკიცისათვის აუცილებელია წესრიგი.“[17] წესრიგი ორგანიზაციაში, როგორც წესი, იქმნება წესებისა და რეგულაციების საშუალებით, თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „ყოველი კანონი (რეგულაცია) წარმოადგენს რაღაცის აკრძალვას. ესე იგი ადამიანის შეზღუდვას რაღაც მიმართულებით და თუ ეს შეზღუდვა განხორციელდა ყველა მხრივ, გამოდის, რომ ადამიანი იქნება გაკოჭილი. ესე იგი ადამიანის თავისუფალი ნება იქნება უაღრესად შეზღუდული და პიროვნებას არ ექნება თავისი შესაძლებლობების (ფიზიკური და გონებრივი) გამოვლენის საშუალება.“[18] მაშასადამე კანონებისა და რეგულაციების გაზრდა ორგანიზაციაში იწვევს თანამშრომლების შესაძლებლობების (თავისუფალი ნების) შემცირებას და პირიქით. ამიტომ საჭიროა ოქროს შუალედის გამოძებნა, რათა თითოეული თანამშრომელი ორგანიზაციაში თავს გრძნობდეს ბედნიერად და შეეძლოს თავისი შესაძლებელობების სრულყოფილად წარმოჩენა.

14 მერაბი ცინცაძე; შალვა კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015; გვ.23
15 მერაბ ცინცაძე; შალვა კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015; გვ.25
16 მერაბ ცინცაძე; შალვა კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015; გვ.30
17 მერაბ ცინცაძე; შალვა კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015; გვ.31-32
18 მერაბ ცინცაძე; შალვა კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015; გვ.32

გამოყენებული ლიტერატურა:

- სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯა. „ორგანიზაიული ქცევის საფუძვლები“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009;
- ს. რობინსი, მ. კოულტერი „მენეჯმენტი“, მე-14 გამოცემა, Pearson/Prentice Hall, 2018 წელი, ქართულ ენაზე;
- მერაბი სამუელის ძე ცინცაძე; შალვა ტარიელის ძე კვეზერელი „სასწორი და სამართალი“; გამომცემლობა სვეტი+; თბილისი 2015;
- მერაბი სამუელის ძე ცინცაძე; „ნარკვევები ვეფხისტყაოსნის შესახებ“; გამომცემლობა თამარიონი; თბილისი 2010;
- შალვა კვეზერელი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; რიდერი; დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია; სალექციო კურსი 2015;
- Charles M. Futrell „ABC’s of Selling“; 11e.

კიბერბულინგი - ინტერნეტ სივრცის გაუცნობიერებელი საფრთხე

გიორგი კოხრეიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების
ასისტენტ-პროფესორი,
კომპიუტერული ინჟინერიის მაგისტრი

აბსტრაქტი

ინტერნეტი 21-ე საუკუნის მთავარი საკომუნიკაციო, გასართობი თუ სამუშაო სივრცე არც ისე უწყინარი და უსაფრთხოა. გარდა ვირუსული შეტევებისა, ინტერნეტის განვითარებასა და გავრცელებასთან ერთად გავრცელდა ბულინგის ახალი ფორმა - კიბერბულინგი.

კიბერბულინგის სწრაფად ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის მისი ანონიმურად გავცელება. ნაშრომში განხილულია ის საფრთხეები, რომლებიც კიბერბულინგის საშუალებით ემუქრება როგორც ზრდასრულებს, ისე ბავშვებს. საფრთხეების თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად მოყვანილია სხვადასხვა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ინტერნეტ მომხმარებლების აბსოლიტური უმრავლესობა ან თავად არის კიბერბულინგის მსხვერპლი, ან შესწრებია მას სხვადასხვა სოციალურ ქსელებში.

ნაშრომში მოყვანილია კიბერბულინგისგან დაცვის სხვადასხვა საშუალება. და წარმოდგენილია მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორიის რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ დავიცვათ თავი და ახლობელი ადამიანები კიბერბულინგისგან.

საკვანძო სიტყვები:
კიბერსივრცე, კიბერბულინგი, ბულინგი, უსაფრთხოება

CYBERBULLYING - UNHEEDED THREAT OF THE INTERNET

Giorgi Kokhreidze
Assistant Professor of Informatics Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master's Degree in Computer Engineering

Abstract

The Internet as the main communications, entertaining and working space of the 21st century is not harmless and safe. In addition to virus attacks, a new form of bullying called cyberbullying has become widespread along with the development and spread of the Internet.

One of the basic factors in the rapid growth of cyberbullying is its anonymous diffusion. The article discusses the threats posed by cyberbullying to both adults and children. For a visual representation of the threats, the results of various studies are provided. They indicate that the vast majority of Internet users are either victims of cyberbullying themselves or have witnessed it in various social networks.

The paper provides various means of protection against cyberbullying and suggests recommendations made by the Media and Information Literacy Lab on how to protect yourself and your relatives from cyberbullying.

Keywords:
cyberspace, cyberbullying, bullying, security

შესავალი

მიმდინარე საუკუნე მიჩნეულია ტექნოლოგიების და ინტერნეტის ერად. ინტერნეტი ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანისთვის. ამასთან ინტერნეტსივრცე ნეგატიურ გარემოსაც აჩენს; გარემოს, სადაც ძალადობა შეუზღუდავია. ინტერნეტში ძალადობის უფრო მეტად გავრცელებული სივრცე კი სოციალური ქსელებია, სადაც ხდება დამცინავი, შეურაცმყოფელი თუ დამამცირებელი შინაარსის მქონე პოსტების, კომენტარებისა თუ ვიდეობის გავრცელება.

ბულინგი ეს არის ქმედება, რომლის მიზნია მსხვერპლისთვის ემოციური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება. სპეციალისტები გამოყოფენ ბულინგის სამ ძირითადი ტიპს: **ვერბალური ბულინგი, ფიზიკური ბულინგი და კიბერ ბულინგი.**

millab.ge[1]-ის განმარტებით „კიბერბულინგი (Cyber Bullying) არის ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ, ციფრული კომუნიკაციის საშუალებით სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფსიქოლოგიური და ემოციური ჩაგვრა, სადაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ცრუ, ასევე რეალური ინფორმაცია, დაცინვა, შეურაცხყოფა, მუქარა, დაშინება". ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება დამანგრეველ გავლენას ახდენს მსხვერპლზე - მიუხედავად მსხვერპლის ასაკისა.

კიბერბულინგის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სივრცეები:

- ელ.ფოსტა;
- ტექსტური შეტყობინება;
- სოციალური ქსელების საიტები;
- Youtobe;
- ონლაინ თამაშები;
- და სხვა.

კიბერბულინგში არსებობს მსხვერპლი, დამბულინგებელი და ბულინგის შემსწრე . ეს უკანასკნელი არის ადამიანი, რომელიც შეესწრო კიბერბულინგს, მაგრამ დაიკავა პასიური პოზიცია ან დაეთანხმა (მოიწონა) ქმედება.

კიბერ უსაფრთხოების კომპანიის McAfee[2] კვლევის თანახმად, კიბერბულინგის მსხვერპლი ამე-რიკულ საშუალო სკოლებში მოსწავლეების თითქმის 30% ხდება.

ამავე გამოკითხვის მიხედვით, რესპოდენტთა 71% Facebook-ზე , 61% ინსტაგრამზე, ხოლო Youtobe-ზე- 26% და whatsup-ზე-21% რესპოდენტებისა სწორედ კიბერბულინგის მსხვერპლი ხდება.



McAfee-ის სტატისტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით სხვა კვლევებშიც პრაქტიკულად იგივე მდგომარეობაა. თითქმის ყველა სტატისტიკაში პლატფორმები Facebook და instagram პირველ და მეორე ადგილებს ინაწილებენ[3].



სოციალურ მედიაში კიბერბულინგის სტატისტიკა

1 http://millab.ge/ka/mil-resources/exercises/28/any/any/

2 საიტი- https://www.the74million.org/new-teen-survey-reveals-cyberbullying-moving-beyond-social-media-to-email-messaging-apps-youtube/

3 https://www.security.org/resources/cyberbullying-facts-statistics/

ბავშვები კიბერბულინგის ყველაზე მეტად გავრცელებული სამიზნეები არიან, ასევე მოზარდები, განსაკუთრებით კი გოგონები, სტუდენტები, ცნობილი ადამიანები და სხვადასხვა უმცირესობების წარმომადგენლები.

კვლევის თანახმად, რომელიც გამოაქვეყნა პედიატრთა აკადემიურმა საზოგადოებამ 2017 წელს, მოზარდებში 2008 წლიდან 2015 წლამდე გაორმაგებულია ბავშვების მიერ სუიციდის მცდელობისთვის ან თვითმკვლელობაზე ფიქრისთვის საავადმყოფოში არასრულწლოვანთა მოხვედრის მაჩვენებელი.

შემაშფოთებელია კიბერბულინგით მიღებული დაზიანებების სტატისტიკა, რომლის მიხედვით კიბერბულინგის მსხვერპლი გამოკითხული ადამიანების 37 %-ს განუვითარდა სოციალური შფოთვა, 26%-ს სუიციდური აშლილობა, 26%-მა გააუქმა „ექაუნთი“ სოციალური მედიაში. 25%-მა მიიყენა სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება, 20%-მა შეწყვიტა სწავლა, 14%-ს კვების რეჟიმის დარღვევა განუვითარდა, 9% კი გახდა ნარკო ან(და) ალკო დამოკიდებული.

თანამედროვე ადამიანებში, განსაკუთრებით კი მოზარდებში გართობის ყველაზე პოპულარულ სივრცედ გადაქცეული კიბერსივრცე განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს კიბერბულინგის თვალსაზრისით. იმის გამო, რომ არასრულწლოვნები სულ უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა ინტერნეტ პლატფორმებს და სოციალურ ქსელებს. მაგალითად: Facebook, YouTube, Instagram, TikTok, Whatsapp. შესაბამისად ხდება ინტერნეტში მათი პერსონალური მონაცემების დაგროვება დიდი რაოდენობით. აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით დამაფიქრებელი უნდა იყოს თითოეული მშობლისთვის, რადგან ინ-ტერნეტში ერთხელ ატვირთული ინფორმაცია არასოდეს ქრება და მომავალში შესაძლოა გამოყენებულ იქნას კიბერბულინგის, შანტაჟის თუ სხვა სახის დანაშაულისთვის.

ონლაინ თამშ-გამოწვევები წარმოდგენს კიდევ უფრო დიდ საფრთხეს მოზარდებისთვის. ეს არის თამაშები, როდესაც მოძალადე მხარე ჯერ მსხვერპლთან ნდობაში შედის და შემდეგ სხვადასხვა სირთულის დავალებებს აძლევს. დავალებები რა თქმა უნდა ნელნელა რთულდება და მათ შესრულებას მსხვერპლს შანტაჟის საშუალებით აიძულებენ. ასეთი თამაშებია:

1. **ლურჯი ვეშაპი;**
2. **ჩარლი-ჩარლი;**
3. **მარილისა და ყინულის გამოწვევა;**
4. **მომო და ა. შ.**

ასეთი თამაშებიდან საქართველოში ყველაზე გავრცელებული ლურჯი ვეშაპია, რომელიც რუსმა ფილიპ გუდნიაკმა შექმნა. იგი 2016 წელს დააკავეს, თუმცა თამაშს ქსელში მისი მიმდევრები მაინც აგრძელებენ. თამაშის მსხვერპლთა სუიციდური ფაქტები რამდენიმე ასეულს აჭარბებს. სამწუხაროდ, საქართველოშიც გვაქვს შემთხვევები, როდესაც მოზარდმა თავი მოიკლა.

თამაშის პროცესში გაიცემა ისეთი დავალებები, როგორიცაა:

- **საშიში ვიდეოების ყურება;**
- **მაღალსართულიანი შენობის სახურავზე ასვლა და კიდეზე ჩამოჯდომა;**
- **სხეულზე ლურჯი ვეშაპის გამოსახულების გამოსახვა (ამოკაწვრა);**
- **ყოველ დილით ადრე 4:20 სთ-ზე გაღვიძება.**

ასეთი თამაშების ამოსაცნობად რამოდენიმე მახასიათებელი არსებობს:

- **თამაშის დასაწყებად რეგისტრაცია საჭირო არ არის, რაც ნიშნავს რომ თამაში ანონიმურია;**
- **თამაშის მონაწილეების მოზიდვა სხვადასხვა სოციალური ქსელებით ხდება;**
- **თამაშში არ არსებობს წესები;**
- **თითოეული დავალება საკმაოდ მისტიურია.**

რა თქმა უნდა თამაშში მონაწილეობის ყველა მსურველისთვის თამაშის კარი ღიაა არაა. პირველ რიგში ახდენენ კანდიდატის შესწავლას და თუ კანდიდატს გააჩნია შესაბამისი ემოციური ფონი- მასთან იწყება თამაში.

როგორც წარმოჩენილი საფრთხეებიდად ჩანს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდების დაცვას კიბერბულინგისგან და ზოგადად კიბერსივრცისგან მომავალი საფრთხეებისგან. ბავშვების დასაცავად, პირველ რიგში, მათთან მეგობრული ურთიერთობაა საჭირო, ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მას არ გაკიცხავენ და არ დასჯიან, არამედ პირიქიით- გვერდში დაუდგებიან, დაეხმარებიან, რჩევას მისცემენ და დაიცავენ.

ასევე არსებობს სხვადასხვა პლატფორმები და პროგრამები, როგორიცაა მაგალითად „Google family link“, რომელიც ეხმარება მშობლებს გაიგონ რას ნახულობს შვილი და ძირითადი წესების დაყენების საშუალებას აძლევს მათ, რაც გულისხმობს შემდეგს:

მშობელს შეუძლია შვილის ანგარიშის ინფორმაციის გადამოწმება, შეცვლა ან წაშლა; აპლიკაციების დაბლოკვა ან დროითი შეზღუდვა; ისტორიის გადამოწმება; ინტერნეტ და დროითი ლიმიტის დაყენება; მოწყობილობის ადგილმდებარეობაზე თვალის დევნება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ რეალობაში კომპანია ,,სილქნეტმაც“ შექმნა მსგავსი პლატფორმა ანალოგიური ფუნქციებით.

აღსანიშნავია, რომ კიბერბულინგი მხოლოდ ბავშვებისთვის არ წარმოადგენს საფრთხეს და მისგან თავდაცვა ზრდასრული ადამიანებისთვისაც მნიშვნელოვანია. ამიტომ აუცილებელია, რომ დავიცვათ ის წესები, რომლებსაც დარგის ექსპერტები გვიზიარებენ. ქვემოთ მოცემულია მედია და ინფორმაციული

წიგნიერების ლაბორატორიის (MilLab)[4]-ის რეკომენდაციები, რომელთა ცოდნა და ცხოვრებაში გათვალისწინება ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც ზრდასრული, ისე არასრულწლოვანი ინტერნეტ მომხმარებლებისთვის.

დასკვნა

1. დაიცავით კიბერუსაფრთხოების წესები;
2. სიფრთხილით მოეკიდეთ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებას (ოჯახის წევრების სახელები, სკოლა, რომელშიც სწავლობთ, ტელეფონის ნომერი, მისამართი, იმწუთიერი ადგილსამყოფელი და სხვა);
3. ტელეფონის, ტაბლეტის, აპლიკაციის, სოციალური მედიის (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტვიტერი, სნაპჩატი და ა.შ.) კონფიდენციალურობის პარამეტრები (Privacy Settings) დააყენეთ ისე, რომ აკონტროლოთ, ვის შეუძლია თქვენთან დაკონტაქტება, თქვენს პირად სივრცეში (კედელზე) პოსტის ან კომენტარის დატოვება ან მისი გაზიარება. ასევე ყურადღებით აირჩიეთ, ვის ანიჭებთ თქვენს მიერ გავრცელებულ ფოტოებზე, ვიდეოებსა თუ სხვა კონტენტზე წვდომას;
4. ყურადღებით მოეკიდეთ, ვის უმეგობრდებით ონლაინ. დაიმეგობრეთ მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც პირადად იცნობთ და ენდობით;
5. დაფიქრდით, სანამ რამეს დაპოსტავთ ან დააკომენტარებთ. გახსოვდეთ, ონლაინ სივრცეში არაფერი იკარგება. ერთხელ დაპოსტილი ან დატოვებული კომენტარი სამუდამოდ რჩება და ის შეიძლება თქვენთვის არასასურველმა პიროვნებამ ნახოს;
6. კიბერადევნების თავიდან აცილების მიზნით, თავი შეიკავეთ თქვენი ადგილსამყოფელის გაზიარებისგან. მოგზაურობასთან, კონცერტებთან და ა.შ. დაკავშირებული პოსტები და სურათები მოგვიანებით გააზიარეთ, უმჯობესია სახლში დაბრუნების შემდეგ. გამორთეთ ლოკაციის ფუნქცია (GPS Location Service) და ვიდეოკამერა, როდესაც მას არ იყენებთ.

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია რეაგირება, როდესაც კიბერსივრცეში ვხვდებით. ასე დროს მნიშვნელოვანია:

1. არასდროს არ გაავრცელოთ ან მოიწონოთ/დაალაიქოთ კიბერბულინგის შემცველი პოსტი, სურათი, ვიდეო, კომენტარი და ა.შ. ამით თქვენ ბულინგის შემსწრე და შესაძლოა, მონაწილეც ხდებით;
2. თუ ინტერნეტსივრცეში თქვენთვის რაიმე მიუღებელს ნახავთ ან წაიკითხავთ, აუცილებლად განაცხადეთ ამის შესახებ(არ დამალოთ);
3. არ უპასუხოთ კიბერბულინგს. როდესაც საქმე ეხება შედარებით მსუბუქი ხასიათის კიბერბულლინგს, როგორიცაა სასაცილო სახელის შერქმევა, მსუბუქი შეურაცხყოფა, მწარე ხუმრობა, დაცინვის მარტივი მცდელობა, შეეცადეთ უპასუხოდ დატოვოთ ასეთი გზავნილები. კიბერ-ბულინგის გამტარებლის/ მოძალადის მიზანი ხომ სწორედ თქვენთვის წყენის და ემოციური ზიანის მოყენებაა. თქვენი პასუხი კი მისთვის ნიშანი იქნება, რომ მან მიზანს მიაღწია. უპასუხოდ დარჩენილი მცდელობები მოძალადეს ბულინგის გაგრძელების სურვილს უკარგავს;
4. არ წაშალოთ კიბერბულინგის შემცველი მესიჯები და მათი ე.წ. სქრინშოთები შეინახეთ. მნიშვნელოვანია პოსტების, კომენტარების, მესიჯების, თარიღების და თანმიმდევრობის დოკუმენტირებაც, რაც საბოლოო ჯამში გამოძიებას სიმართლის და დამნაშავის დადგენაში დაეხმარება, საიტის ადმინისტრაციას კი - ანგარიშის დაბლოკვაში ან სხვა სახის რეაგირებაში;
5. გამოიყენეთ კონტაქტის დაბლოკვის ფუნქცია ტელეფონში, სოციალურ მედიაში თუ ე.წ. ჩათის სივრცეებში;
6. განაცხადეთ პრობლემის შესახებ. სერვისს პროვაიდერებს, სოციალურ მედიას და ვებგვერდებს მსგავსი პრობლემის გაცხადებისთვის სპეციალური საკომუნიკაციო არხები აქვთ;
7. კიბერბულინგის შესახებ აცნობეთ მშობელს, სკოლას, სკოლის უსაფრთხოების სამსახურს (მანდატური), პოლიციას (112).

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://www.the74million.org/new-teen-survey-reveals-cyberbullying-moving-beyond-social-media-to-email-messaging-apps-youtube/
- http://millab.ge/ka/mil-resources/any/28/any/any/
- https://www.security.org/resources/cyberbullying-facts-statistics/
- https://www.stopbullying.gov/cyberbullying/cyberbullying-tactics
- https://www.kaspersky.com/resource-center/preemptive-safety/cyberbullying-effects
- https://www.verywellfamily.com/what-are-the-effects-of-cyberbullying-460558
- Skilbred-Fjeld, S., Reme, S. E., & Mossige, S. (2020). Cyberbullying involvement and mental health problems among late adolescents. Cyberpsychology: Journal of Psychosocial Research on Cyberspace, 14(1), Article 5. https://doi.org/10.5817/CP2020-1-5

4 http://millab.ge/ka/mil-resources/any/28/any/

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა შრომის პროდუქტიულობაზე (საქართველოს მაგალითზე)

თინათინ ჟორჟოლიანი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) გავლენის შესწავლას შრომის პროდუქტიულობაზე საქართველოში. პუი ნაკადების შემოდინება აუმჯობესებს შრომის პროდუქტიულობას, რაც იწვევს რესურსების უფრო ეფექტურ განაწილებას და წარმოებისა და ეკონომიკის ზრდას. მეთოდოლოგიურად, კვლევა ანალიზისათვის იყენებს ARDL მოდელის მიდგომის ეკონომეტრიკულ მეთოდს. კვლევის პროცესში გამოყენებულია დროითი მწკრივების რეგრესიული ანალიზი, რათა დადგენილი და შესწავლილი ყოფილიყო ცვლადების ერთმანეთთან დამოკიდებულება. კვლევაში გამოყენებული 2012-2021 წ.წ. მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდებიდან. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პუი ნაკადების ზრდა დადებით გავლენას ახდენს შრომის პროდუქტიულობაზე. დასკვნები ასევე აჩვენებს, რომ საუნივერსიტეტო განათლების ფაქტორი დადებით გავლენას ახდენს შრომის პროდუქტიულობაზე გრძელვადიან პერიოდში და პოზიტიურ კავშირს წარმოადგენს პუი ნაკადებს, შრომის პროდუქტიულობის და ეკონომიკურ ზრდას შორის, რაც მხარს უჭერს ქვეყანაში პუი ნაკადების ზრდის ჰიპოთეზას.

საკვანძო სიტყვები:
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი), შრომის პროდუქტიულობა, ARDL (Auto Regressive Distributed Lag) მიდგომა.

THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENT ON LABOR PRODUCTIVITY (BASED ON THE EXAMPLE OF GEORGIA)

Tinatin Zhorzholiani
Associate Professor of Management Program of Baccalaureate
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
PhD in Business Administration

Abstract

The present study aims to investigate the impact of foreign direct investment (FDI) on labor productivity in Georgia. FDI inflows improves the labor productivity that leads to a more efficient distribution of resources and growth in production and economy. Methodologically, the study applied econometric method called the autoregressive distributed lag (ARDL) model. The regression analysis of time series was used in the research process in order to establish and study the relationship between the variables. The 2012-2021 data used in the study was collected from the websites of National Statistics Office of Georgia and the World Bank. The results of the study reveal the positive impact of growth in FDI inflows on labor productivity. The findings also indicate that the university education has a positive effect on labor productivity in the long run and builds a positive relationship between FDI inflows, labor productivity and economic growth, thus supporting the hypothesis of growth in FDI inflows in the country.

Key words:
Foreign direct investment (FDI); Labour productivity; Autoregressive distributed lag (ARDL) model.

შესავალი

შრომის პროდუქტიულობის გაუმჯობესება და ხელშეწყობა დღეს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მაღალი შრომის პროდუქტიულობა არის სწრაფი და მდგრადი განვითარების სინონიმი. მზარდი შრომის პროდუქტიულობა არის გადამწყვეტი ფაქტორი ბიზნესისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისთვის. ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინდიკატორია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ზრდასთან, კონკურენციასთან და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტთან. შრომის პროდუქტიულობა განისაზღვრება, როგორც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე[1] და აჩვენებს, რა წვლილი აქვს თითოეულ მომუშავეს მთლიან შიდა პროდუქტში, რომელიც იზომება დასაქმებულთა რაოდენობის ან მათ მიერ ნამუშევარი საათების მიხედვით. რაც უფრო მაღალია შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, მით უფრო მაღალია პროდუქტიულობა, რადგან ადამიანებს აქვთ მეტი სამუშაო გამოცდილება, უნარები, განათლება, რაც იწვევს შემოსავლის მაღალ დონეს (შიდა ფაქტორები), ეკონომიკურ ზრდას და უკეთეს სამუშაო შესაძლებლობებს (გარე ფაქტორები). შრომის პროდუქტიულობა მთელი ეკონომიკისთვის მიმდინარე ფასებში 2020 წელს საქართველოში შეფასებულია 39667 აშშ დოლარად, რაც მეზობელ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია. საქართველოზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება სომხეთში, სადაც თითოეული დასაქმებულის საშუალო შრომის პროდუქტიულობა წელიწადში 40 000 აშშ დოლარს აღემატება. ასევე მკვეთრად მაღალია შრომის პროდუქტიულობა თურქეთში (81 000 დოლარს აღემატება) და რუსეთში (56 000 აშშ დოლარს აღემატება). შრომის პროდუქტიულობის უარესი მაჩვენებელი აზერბაიჯანს აქვს- 29 659 აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც აფასებენ ინვესტორები. კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში დასაქმების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსია. ასევე საქართველოს უმსხვილესი ბიზნეს ასოციაციის - BAG-ის წევრებმა ერთ-ერთი მთავარ პრობლემად დაასახელეს სპეციალისტების და სამუშაო ძალის ნაკლებობა[2]. საქართველოს ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი და მთავრობის მიერ ინვესტორების მხარდაჭერაზე ორიენტირებული მთელი რიგი მექანიზმები არის მიმზიდველი პუი-ის ნაკადებისათვის. ქვეყანაში ვაჭრობისა და ინვესტიციების ლიბერალიზაციის ხელშეწყობამ გააფართოვა ხელმისაწვდომობა მოწინავე კაპიტალის საქონელზე, ტექნოლოგიებსა და მენეჯერულ უნარებზე. კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში 2012-2021 წწ. პუის მნიშვნელოვანი და დადებითი გავლენა ჰქონდა ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, სარგებელი არ იყო თანაბრად განაწილებული ინდუსტრიებს შორის.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული პუი და შრომის პროდუქტიულობის ზრდის თაობაზე განსხვავებული შეხედულებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ პუი ნაკადების გავლენა შრომის პროდუქტიულობაზე კონკრეტული ქვეყნის ანალიზის საშუალებით. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა საქართველოს გამოცდილების შესწავლა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბევრი კვლევა არსებობს დასაქმების ბაზრის, პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირი კავშირის გასაზომად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე არცერთ კვლევაში არ შეფასებულა პუი ნაკადების გავლენა შრომის პროდუქტიულობაზე. ეს სტატია მიზნად ისახავს ამ საკითხების განხილვას. ანალიზისათვის გამოყენებულია ARDL მოდელის მიდგომის ეკონომეტრიკული მეთოდი, დროითი მწკრივების რეგრესიული ანალიზი, რათა დადგენილი და შესწავლილი ყოფილიყო ცვლადების ერთმანეთთან დამოკიდებულება.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის აღიარებული, რომ პუი განიხილება, როგორც გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ელემენტი. როგორ შეიძლება პუი ნაკადებმა გაზარდოს შრომის პროდუქტიულობა? ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი თეორიული და ემპირიული კვლევა არსებობს. მკვლევარები, რომლებიც ხაზს უსვამენ პუი-ის ნაკადების წვლილს მწარმოებლურობის ზრდაში აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში პუი-ის ნაკადების შემოდინების პოტენციური სარგებელია უახლესი ტექნოლოგიების გადაცემა, თანამედროვე წარმოების პროცესების დანერგვა, მენეჯერულ უნარებზე, შიდა ბაზრის ცოდნაზე, გლობალური ღირებულების ჯაჭვებში ინტეგრაციასა და ახალ ბაზრებზე წვდომა. ეს უპირატესობები ქმნის ისეთ პოზიტიურ გარე ფაქტორებს, როგორებიცაა თანამედროვე ტექნოლოგია და მენეჯერული უნარების გავრცელება[3]. თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიების შექმნით და სამუშაო პროცესებით, პუი ნაკადები ხელს უწყობენ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. პუი გულისხმობს კაპიტალის, ტექნოლოგიის ან ნებისმიერი აქტივის ტრანსფერს საზღვარგარეთიდან, რომელიც ინვესტირდება მიმღებ ქვეყანაში საწარმოს შექმნის ან ოპერირების მიზნით კომერციული მიზნებისთვის[4]. იგი ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის მოგვარებას და ასევე მასპინძელი ქვეყნების, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას[5], საინვესტიციო კაპიტალის ნაკ-

1 Li & Tanna, 2018, 93-100.
2 https://bag.ge/ge/media/print?n=1682
3 Alfaro et al. 2004, 89-112; Hale and Long 2006.
4 Duy et al. 2014.
5 Duy et al. 2014.

ლებობის პრობლემის გადაჭრას, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას[6], თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდებას და მენეჯერული გამოცდილების გადაცემას ადგილობრივ საწარმოებზე[7].

თუმცა, მიუხედავად მრავალი კვლევისა, რომლებიც მხარს უჭერენ პუი პოზიტიურ გავლენას მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის და შრომის პროდუქტიულობის ზრდაზე, როგორც ზემოთ იყო განხილული, მრავალი კვლევა იძლევა ემპირიულ მტკიცებულებას, რომ მხოლოდ ინვესტიციების ლიბერალიზაცია არ იწვევს ეკონომიკისა და შრომის პროდუქტიულობის ზრდას. აღსანიშნავია მასპინძელი ქვეყნის შესაძლებლობების შთანთქმა, რაც მოიცავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, მაკროეკონომიკური მართვის შესაძლებლობას, ფინანსური განვითარების ხარისხს, შიდა ინვესტიციებს, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, შრომის ბაზრის სტრუქტურას და ინსტიტუციურ ხარისხს[8]. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გლობალიზაციის სარგებლის მატერიალიზაციის დრო. მეცნიერები მალავი და ალ-მანსი[9] ამტკიცებდნენ - ინვესტიციების ლიბერალიზაციით გამოწვეული ეკონომიკური გლობალიზაცია დადებით და უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა იორდანიის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასა და შრომის პროდუქტიულობაზე 1980-2010 წწ., მაგრამ ეს ეფექტი მოკლევადიან პერიოდში უარყოფითი აღმოჩნდა. ეკონომიკური გლობალიზაციის ამ ორ ეფექტს შორის წინააღმდეგობა შეიძლება იყოს იმის გამო, რომ გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს კვალიფიკაციის ამაღლება/უნარების გაუმჯობესება მოწინავე წარმოების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების იმპორტით ან დანერგვით, რასაც ჩვეულებრივ უფრო მეტი დრო სჭირდება[10].

მონაცემთა წყაროები

კვლევაში გამოყენებული მონაცემები 2012-2021 წწ. აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდიდან. თითოეული ცვლადის წყაროები შემდეგია:

შრომის პროდუქტიულობა (შპ): შპ არის წლიური დამატებული ღირებულება ერთ მუშაკზე, გამოითვლება - რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) გაყოფილი დასაქმებულთა რაოდენობაზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას შრომის პროდუქტიულობის დათვლის შემდეგი მეთოდოლოგია აქვს: მშპ მიმდინარე ფასებში გაყოფილი დასაქმებულთა რიცხოვნობაზე (იგულისხმება, როგორც დაქირავებით დასაქმებული, ისე თვითდასაქმებული) - ასე ითვლება თითოეული დასაქმებულის წვლილი. ამრიგად, შრომის პროდუქტიულობა მოცემულ დროის მონაკვეთში იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენი ლარის დამატებულ ღირებულებას ქმნის დასაქმებული ადამიანი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ 2021 წ. 3.69 მლნ-ს მიაღწია, უმუშევრობის დონე გაიზარდა 20.62%-მდე, ყოველთვიური შემოსავალი 2022 წლის ივნისში 514,29 აშშ დოლარი იყო, ქვეყნის სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი გაიზარდა 50,95%-მდე, 2021 წლის დეკემბერში შრომის პროდუქტიულობა გაუმჯობესდა 12,57%-ით (იხ. გრაფიკი 1.)

გრაფიკი 1. შრომის პროდუქტიულობა საქართველოში 2012-2021 წწ[11].



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები (FDI): LP-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გამოყენებულია მონაცემები პუი ნაკადების შემოდინების შესახებ რეალური ღირებულებით (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 1. უპი ნაკადები საქართველოში 2012-2021 წწ[12].



6 Bloomstrom and Kokko 1998, 247-277.
7 Zhorzholiani 2020, 166-167.
8 Barro 1996; Blomstrom and Kokko 1998, 247-277; Baldwin 2003; Thangavelu and Rajaguru 2004; Mallick 2015, 141; Li and Tanna 2019, 453-466.
9 Malawi and Al Mansi 2014, 49-55
10 (Malawi and Al Mansi 2014, 49-55)
11 წყარო: https://www.geostat.ge
12 წყარო: https://www.geostat.ge

უმაღლესი განათლება (UE): კვლევაში განიხილება საქართველოს უნივერსიტეტების (განათლების უმაღლესი დონე) სტუდენტების და დოქტორანტების რაოდენობიდან გამომდინარე (იხ. გრაფიკი 3), რაც არის ეკონომიკური განვითარების წყარო, ასევე უფრო მაღალი პროდუქტიულობა გრძელვადიან პერსპექტივაში[13] (Chang et al. 2016; Nelson & Phelps, 1966). უმაღლესი განათლება ზრდის ზღვრულ ღირებულებას დაბალ ან საშუალო ადამიანურ რესურსებთან შედარებით და უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას საწარმოო ღირებულების შესაქმნელად, ასევე ზრდის კრეატიულობას სამუშაო პროცესში.

გრაფიკი 1. სტუდენტებისა და დოქტორანტების რაოდენობა საქართველოში 2016-2021 წწ.



წყარო: https://www.geostat.ge

მეთოდოლოგია

ნაშრომი იყენებს ARDL (Auto Regressive Distributed Lag) საზღვრების ტესტირების მიდგომას, რომელიც შემუშავებულია მეცნიერების მ. ჰაშემ პესარანის, იონჩეოლი შინისა და რიჩარდ ჯეი სმითის მიერ (ხშირად გამოიყენება დროის სერიების მონაცემებთან დინამიური ურთიერთობების გასაანალიზებლად), რათა შეფასდეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ურთიერთობები პუი-სა და შრომის პროდუქტიულობის ზრდას შორის საქართველოში. ARDL მიდგომას რამდენიმე უპირატესობა აქვს:

- √ შესაძლებელია ცვლადებს შორის კოინტეგრაციული ურთიერთობის ტესტირება, მიუხედავად ინტეგრაციის სხვადასხვა რიგისა თუ ურთიერთ კოინტეგრაციისა.
- √ ჩამორჩენილი ცვლადების ჩართვამ შეიძლება შეამციროს ენდოგენურობა.
- √ მიზანშეწონილია ცვლადებს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის ტესტირება მაშინაც კი, თუ ნიმუშის ზომა მცირეა.

კვლევის მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$\Delta LP_t = \beta_0 + \beta_1 \Delta FDI_{t-i} + \beta_2 \Delta UE_{t-i} + \beta_3 \Delta LP_{t-i} + \beta_4 \Delta FDI_{t-i} + \beta_5 \Delta UE_{t-i} + e_t$$

სადაც, LP არის შრომის პროდუქტიულობა, FDI-პუი ნაკადები, UE-უმაღლესი განათლება, In-ნატურალური ლოგარითმის ფუნქციაა, α-მუდმივი, β-მოდელის უცნობი პარამეტრები, e_t-შეცდომის წევრი, რომელიც უნდა იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდე. ჰიპოთეზა: H1: პუი დადებითად აისახება შრომის პროდუქტიულობაზე. H2: უმაღლესი განათლება დადებითად მოქმედებს შრომის პროდუქტიულობაზე.

სტაციონარული ტესტები - ARDL მოდელის კერძო შემთხვევას წარმოადგენს FDL მოდელი - სასრული განაწილებულლაგიანი მოდელი (Finite Distributed Lag Model). ARDL მოდელის აგებამდე აუცილებელია, შემოწმდეს სტაციონარული მდგომარეობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ყალბი რეგრესია, რომელიც იწვევს მიკერძოებას[14]. კვლევაში ერთეული ტესტები (კონკრეტულად გაფართოებული დიკი-ფულერის ტესტი ADF) გამოიყენება იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მონაცემთა სერია სტაციონარული. ADF ტესტირების მეთოდები აღწერილია შემდეგნაირად:

$$\Delta Y_t = \alpha_0 + \beta Y_{t-i} + \sum_{j-1}^{k} \varphi \Delta Y_{t-i} + e_t$$

სადაც: Yt -დროის სერია; k-ჩამორჩენილების რაოდენობა; ADF ტესტის შედეგები საკმაოდ მგრძნობიარეა k ჩამორჩენების შერჩევის მიმართ. ტესტის ჰიპოთეზებია:

H0: β = 0 (Yt სერია არ არის სტაციონარული); H1: β <0 (Yt სერია სტაციონარულია). ცვლადები ხშირად დაკავშირებულია არა მხოლოდ აწმყოსთან, არამედ წარსულთან, ამიტომ დროის სერიას სჭირდება ოპტიმალური შეფერხების პოვნა (რომლის დროსაც ცვლადები ყველაზე მეტად ურთიერთდაკავშირებულია). კვლევაში გრძელვადიანი ურთიერთობები შემოწმებულია იოჰანსენის ტესტი: მარტივი განმარტება - სტატისტიკით[15], ტესტის ჰიპოთეზა შემდეგია:

H0: არ არსებობს გრძელვადიანი ურთიერთობა; H1: გრძელვადიანი ურთიერთობა არსებობს.

შედეგი - დეტალური ინდიკატორები ნაჩვენებია აღწერითი სტატისტიკის ცხრილი 1.

13 Pesaran et al. 2001, 289-326.
14 Thanh et al. 2016, 132-139.
15 Gujarati 2003)

ცხრილში 1. აღწერითი სტატისტიკა

	შრომის პროდუქტიულობა (მილიონი აშშ დოლარი/ რაოდენობასთან)	უპი (მილიონი აშშ. დოლარი)	უმაღლესი განათლება (ერთეული)
მნიშვნელობა	31625,7	1383	153521,6
MIN	22045	590	144376
MAX	49492	1990	163679
დაკვირვება	26	26	26

სტაციონარული ტესტის შედეგი მიუთითებს, რომ ცვლადები არასტაციონარულია (ADF ტესტის p მნიშვნელობა მეტია 0,05-ზე), მაგრამ ცვლადების პირველი განსხვავება სტაციონარულია (დიფერენციალური ADF ტესტის p მნიშვნელობა ნაკლებია 0,05-ზე).

ცხრილი 2. სტაციონარული ტესტის შედეგი

	ADF-სტატისტიკა	p-მნიშვნელობა
FDI	**-2.0827**	**0.3122**
UE	**0.4353**	**0.9971**
LP	**-1.7981**	**0.8233**
ADF–სტატისტიკა (განსხვავება)		
FDI	**-3.9827**	**0.0186**
UE	**-4.4325**	**0.0056**
LP	**-5.9547**	**0.0066**

რეგრესია - შედეგი გვიჩვენებს მოკლევადიან და გრძელვადიან ურთიერთობას ცვლადებს შორის შრომის პროდუქტიულობაზე. მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში პუი ნაკადები დადებით გავლენას ახდენს შრომის პროდუქტიულობაზე (p მნიშვნელობა მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში 0,05-ზე ნაკლებია) მაშინ, როცა უმაღლესი განათლების ფაქტორი გავლენას არ ახდენს მოკლევადიან პერიოდში შრომის პროდუქტიულობაზე (p ღირებულების მნიშვნელობა მოკლევადიან პერიოდში 0,05-ზე მეტია), თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, უმაღლესი განათლება დადებითად აისახება შრომის პროდუქტიულობაზე (p მნიშვნელობა გრძელვადიან პერიოდში 0,05-ზე ნაკლები).

ცხრილი 5. ARDL მოდელის შედეგი

ცვლადი	კოეფიციენტი	სტანდარტული შეცდომა	t-სტატისტიკა	p-მნიშვნელობა
კოეფიციენტები გრძელვადიან პერიოდში				
D(LFDI)	0.1897	0.0404	3.4190	0.0039
D(UE)	0.0177	0.0225	0.8786	0.5260
CointEq(-1)	-0.3005	0.1456	-2.3706	0.0457
კოეფიციენტები გრძელვადიან პერიოდში				
LFDI	0.4675	0.1075	3.4190	0.0039
EU	0.0567	0.0125	0.8786	0.0008
C	-1.9485	3.1678	-2.3706	0.4039

ARDL რეგრესიის შედეგი აჩვენებს პუი მნიშვნელოვან როლს საქართველოში შრომის პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობაში, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერიოდში. ჩანს, რომ უცხოური საწარმოები, რომლებიც უფრო მეტ ინვესტიციას განახორციელებენ საქართველოში მოწინავე ტექნოლოგიებით, გაზრდიან საქართველოს მშპ-ს გაუმჯობესებული სამუშაო ადგილების გამო. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების ფაქტორი გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითად მოქმედებს შრომის პროდუქტიულობაზე.

დასკვნა

კვლევამ შეისწავლა პუი ნაკადების გავლენა შრომის პროდუქტიულობის ზრდაზე საქართველოში გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში. სტატისტიკური მონაცემებისა და ARDL რეგრესიის მოდელის ანალიზის გამოყენებით მიღებულმა შედეგებმა მოგვცა მნიშნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. კერძოდ, საქართველოში 2012-2021 წლებში პუი-ის ნაკადების პოზიტიური და მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირის შესახებ, როგორც შრომის პროდუქტიულობის ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში. შედეგები ადასტურებს თეორიულ ჩარჩოს, რომელიც აძლიერებს პოზიტიურ კავშირს, რომელიც არსებობს პუი-სა და შრომის პროდუქტიულობის ზრდას შორის. შედეგები ასევე გულისხმობს, რომ საქართველოს განვითარების სტრატეგია, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს გლობალურ ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხელშეწყობას, ასევე ხელი უწყობს მის ზრდას და სტრუქტურულ ტრანსფორმაციას უფრო მაღალი ღირებულების მქონე ინდუსტრიულ სტრუქტურაში. საქართველოს გამოცდილება მნიშვნელოვან გაკვეთილს მისცემს სხვა განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც გლობალიზაციის მიმართ მზარდი სკეპტიციზმის შედეგად გამოწვეული გაურკვევლობის წინაშე დგანან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Alfaro L., Areendam Ch., Sebnem KO, and Selin S. 2004. “FDI and Economic Growth: The Role of Local Financial Markets.” Journal of International Economics 64 Journal of International Economics;
- Alvarado, R., Iñiguez, M., & Ponce, P. 2017. “Foreign direct investment and economic growth in Latin America. .” Economic Analysis and Policy, 56. https://doi.org/10.1016/j.eap.2017.09.006 176-187;
- Baldwin, R. 2003. Openness and Growth: What’s the Empirical Relationship. National Bureau of Economic Research., Cambridge: NBER Working Paper;
- Barro, R. 1996. Determinants of Economic Growth: A Cross-Country Empirical Study. NBER Working Paper. National Bureau of Economic Research, Cambridge: NBER Working Paper;
- Blomstrom , M, and A Kokko. 1998. “Multinational Corporations and Spillovers.” Journal of Economic Surveys 12 247-277;
- Chang, C. F., Wang, P., & Liu, J. T. 2016. “Knowledge spillovers, human capital and productivity.” Journal of Macroeconomics, 47. https://doi.org/10.1016/j.jmacro. 2015.11.003 214-232;
- Duy, N. V., Kien, T. D., & Tuyen, B. Q. 2014. “Ảnh hưởng của đầu tư trực tiếp nước ngoài đến tăng trưởng kinh tế Việt Nam giai đoạn 1990-2013 bằng mô hình ARDL.” Retrieved February 28, 2019, from http://nghiencuudinhluong.com/anh-huong-cua-dau-tu-truc-tiep-nuoc-ngoai-den-tang-truong-kinh-te-viet-nam-giai-doan-1990-2013/;
- Gui-Diby, S. L. 2019. “Impact of foreign direct investments on economic growth in Africa: Evidence from three decades of panel data analyses .” Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1090944314000192, February 24: ;
- Gujarati, D. N. 2003. Basic econometrics (4th ed). Boston: McGraw Hill;
- Hale , G, and L Cheryl. 2006. “What Determines Technological Spillovers of Foreign Direct Investment: Evidence from China.” Economic Growth Center Yale University Discussion Paper. Yale: Economic Growth Center at EliScholar, April;
- Lam, N. B. 2019. “Labor productivity in Vietnam and the main solution to boostlabor productivity.” Retrieved from http://www.gso.gov.vn/ItemPreview.aspx?ItemID = 18808, February 24;
- Li, C, and T and Sailesh. 2019. “The Impact of Foreign Direct Investment on Productivity: New Evidence for Developing Countries.” Economic Modelling 453-466;
- Li, C., & Tanna, S. 2018. “The impact of foreign direct investment on productivity: New evidence for developing countries”, Economic Modelling, 53. https://doi.org/10.1016/j.econmod.2018.11.028 83-100;
- Malawi, AI, and AM and Mattia . 2014. “Economic Globalization and Labor Productivity: An application of Autoregressive Distributed Lag (ARDL) Bounds Testing Approach.” International Journal of Business and Statistical Analysis 49-55;
- Mallick , J. 2015. Globalisation, Structural Change and Labour Productivity Growth in BRICS Economy. FIWWorking Paper No. 141, Vienna: FIW—Research Centre International Economics;
- Nelson, R. R., & Phelps, E. S. 1966. “Investment in Humans, Technological Diffusion, and Economic Growth. .” The American Economic Review, 56(1/2) 69-75;
- Pesaran, M.H, S Yongcheol , and J. and Richard. 2001. “Bounds Testing Approaches to the Analysis of Level Relationships.” Journal of Applied Econometrics 289–326;
- Thangavelu S., and Gulasekaran R. 2004. “Is There an Export or Import-Led Productivity Growth in Rapidly Developing Asian Countries? AMultivariate VAR Analysis.” Economics 1083-1093;
- Thanh, N. T, Linh, D. T, & Duy, N. V. 2016. “Impacts of Monetary Policy and Information Shock on Stock Market: Case Study in Vietnam.” International Journal of Economics and Finance, 8(7). https://doi.org/10.5539/

ijef.v8n7p132 132-139;
- Zhorzholiani, T. 2020. "Assessment of Corruption's Impact on the Inflow of Foreign Direct Investment (in the Case of Georgia, Armenia and Azerbaijan)." Journal "Torun International Studies" ISSN: 2391-7601 DOI: 10.12775/TIS 161-174.

საინჟინრო განათლების განვითარების პერსპექტივები საქართველოს თავდაცვის სისტემაში

გივი სანაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მექანიკის ინჟინერიის მიმართულების პროფესორი,
ინჟინერიის დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საინჟინრო განათლების როლი, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოს თავდაცვის სისტემაში. შესწავლილია მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში საინჟინრო პროგრამების სტრუქტურა. განხილულია სამხედრო სასწავლებლებში საინჟინრო პროგრამების წილი სხვა პროგრამებთან მიმართებაში, რომელთა თანახმად პროგრამების 24% საინჟინროა. ევროპისა და აშშ-ს და წამყვანი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების შესწავლის და მონაცემების დამუშავების შედეგად იკვეთება მოთხოვნა ხუთ ძირითად მიმართულებაზე: სამოქალაქო ინჟინერია, ელექტრული ინჟინერია და ელექტრონიკა, მექანიკის ინჟინერია, საავიაციო ინჟინერია და კომპიუტერული ინჟინერია. გაანალიზებულია საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სუსტი მხარეები. წარმოდგენილია პროგრამის გაუმჯობესების შესაძლებლობები. შემოთავაზებულია ეგრეთწოდებული ინტეგრირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს შიდა მოხმარების კრედიტების არსებობას. ასეთი პროგრამა იძლევა როგორც საინჟინრო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, ისე სამხედრო პროფესიული მომზადების სრულყოფის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები:
ინჟინერია, ინჟინრის ფუნქციები, საინჟინრო განათლება, მექანიკის ინჟინერია, საბაკალავრო პროგრამა, თავდაცვის სისტემა.

DEVELOPMENT PROSPECTS FOR ENGINEERING EDUCATION IN THE DEFENCE SYSTEM OF GEORGIA

Givi Sanadze
Professor of Mechanical Engineering
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
PhD in Engineering

Abstract

The paper discusses the role, problems and development prospects of engineering education in the defence system of Georgia. It also examines the structure of engineering programs in the leading education institutions of the world as well as the share of engineering programs in military schools in relation to other programs, according to which 24% of the programs are engineering ones. As a result of the study and data processing of the programs at the leading higher military education institutions in Europe and the USA, the demand for five principal fields is identified. These fields are civil engineering, electrical engineering and electronics, mechanical engineering, aeronautical engineering and computer engineering. The paper also analyzes the weaknesses of the Bachelor Degree Program in Mechanical Engineering at National Defence Academy of Georgia and presents the opportunities for program improvement. The article proposes the concept of the so-called integrated Bachelor Degree Program that takes into account the credits of internal use. This type of program provides an opportunity to upgrade the qualification of engineering personnel as well as to improve military professional training.

Key words:
Engineering, Engineer functions, Engineering education, Mechanical engineering, Bachelor Degree Program, Defence system.

შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამხედრო სფეროზე. სულ უფრო აუცილებელია ხდება ისეთი სამხედრო კადრების აღზრდა, რომლებიც ფეხს აუწყობენ თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებს და აითვისებენ თანამედროვე რთულ სამხედრო ტექნიკას. საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს საინჟინრო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების საჭიროებას. ამ ხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 2019 წელს საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში პირველია საინჟინრო საბაკალავრო პროგრამის ამოქმედება. პროგრამის ამოქმედებას წინ უძღოდა საფუძვლიანი კვლევა და საქართველოს თავდაცვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისი მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ფორმირება. თუმცა თანამედროვე სწრაფად ცვლად გარემოში მუდამ იკვეთება გამოცდილებაზე დაყრდნობით პროგრამის შემდგომი განვითარების საჭიროება.

ძირითადი ნაწილი

ინჟინერია ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. იგი წარმოადგენს სფეროს, რომელიც მიმართულია ბუნებრივი რესურსების ადამიანის სასარგებლოდ გამოყენებაზე. ინჟინრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება[1]: კვლევა და ინოვაციები, პროექტირება და კონსტრუირება, შექმნა, გამოცდა და დანერგვა, პროექტის მენეჯმენტი, მომსახურება და ოპერირება, სწავლება და კონსულტირება.

ინჟინერიის განვითარებასთან ერთად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მთელი რიგი მიმართულებები: მექანიკის ინჟინერია, სამრეწველო ინჟინერია, სამოქალაქო ინჟინერია, ქიმიური ინჟინერია, ბიოსამედიცინო ინჟინერია, გარემოს ინჟინერია, ჰიდროინჟინერია, წყლის რესურსების ინჟინერია, მასალათა ინჟინერია, მეტალურგია, გეოინჟინერია, სამთო ინჟინერია, საავიაციო ინჟინერია, აეროკოსმოსური ინჟინერია, ტელეკომუნიკაცია, ენერგეტიკა, კომპიუტერული ინჟინერია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, აგრარული ინჟინერია, სურსათის წარმოების ტექნოლოგია, ბირთვული ინჟინერია, ტექსტილის ტექნოლოგია, საზღვაო ინჟინერია, სატრანსპორტო ინჟინერია, ოპტიკის ინჟინერია, თერმული ინჟინერია, ნანოტექნოლოგია, ნავთობის ინჟინერია და სხვა. ინჟინერიის მიმართულებების ამგვარი ფართო სპექტრის ბაზაზე იკვეთება ახალი მიმართულებებით განვითარების ტენდენციები, რაც ინჟინერიის დარგის მნიშვნელობასა და საჭიროებას განსაზღვრავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე საინჟინრო საგანმანათლებლო პროგრამებს მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებელებში მნიშვნელოვანი წილი უკავიათ[2]. გავეცნოთ და გავაანალიზოთ საინჟინრო პროგრამების აქტუალობა მსოფლიოს წამყვან სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში. წარმოგიდგენთ ევროპის და აშშ-ს წამვანი სამხედრო მიმართულების უმაღლესი სასწავლებლების საბაკალვრო პროგრამების შესწავლის შედეგად მიღებულ შედეგებს (ცხრილი 1).

ცხრილი 1

N	საგანმანათლებლო დაწესებულება	საბაკალვრო პროგრამები		
		ინჟინერია, %	ზუსტი და საბუნებისმეტყ. მეცნიერებები,%	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, %
1	ვესტ-პოინტი (West Point US Military Academy)	22 %	40 %	38 %
2	აშშ-ს საჰაერო ძალების აკადემია (United States Air Force Academy)	24 %	30 %	46 %

1 Engineering Fundamentals: An Introduction to Engineering. By Saeed Moaveni. Cengage Learning. 4 edition. June 17, 2010. 720 pages. ISBN-10: 1439062080, ISBN-13: 978-1439062081;

2 https://www.westpoint.edu/academics/majors-and-minors
https://www.usafa.edu/academics/majors-minors/
https://www.usna.edu/Admissions/Academics/index.php#AcademicsindexPanel1

3	აშშ-ს სამხედრო-საზღვაო აკადემია (United States Naval Academy)	36 %	40 %	24 %
4	აშშ-ს სანაპირო დაცვის აკადემია (United States Coast Guard Academy)	45 %	22 %	33 %
5	კანადის სამეფო სამხედრო კოლეჯი (Royal Military College of Canada)	42 %	24 %	34 %
6	ციტადელი-სამხრეთ კაროლინას სამხედრო კოლეჯი (The Citadel The Military College of South Carolina)	19 %	37 %	44 %
7	ვირჯინიის სამხედრო ინსტიტუტი (Virginia Military Institute)	30 %	26 %	44 %
8	მიუნხენის ბუნდესვერის უნივერსიტეტი (Universität der Bundeswehr München)	50 %	19 %	31 %

სტატისტიკური შედეგების დამუშავების შედეგად ევროპის და აშშ-ს და წამყვანი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების საინჟინრო პროგრამების საშუალო წილმა შეადგინა 24 %.



საინჟინრო პროგრამების საკამაოდ ფართო სპექტრიდან მნიშვნელოვანია სამხედრო სფეროში ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებების განსაზღვრა. კვლევის შედეგად იკვეთება მოთხოვნა ხუთ ძირითად მიმართულებაზე: სამოქალაქო ინჟინერია, ელექტრული ინჟინერია და ელექტრონიკა, მექანიკის ინჟინერია, საავიაციო ინჟინერია და კომპიუტერული ინჟინერია.



ქართული თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკის ათვისების მიზნით შეირჩა მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო მიმართულება, მისი უნივერსალობისა და სამხედრო გვარეობების (სამხედრო ინჟინერია, ავიაცია, საჰაერო თავდაცვა, არტილერია, კავშირგაბმულობა, სატანკო და მექანიზებული ტექნიკა, ლოჯისტიკა) პრიორიტეტული მოთხოვნების შესაბამისად.

მექანიკის ინჟინერიის პროფესია ინჟინერიის სფეროს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და მოთხოვნადი პროფესიაა. იგი თავისი საკითხების გადაწყვეტაში მოცავს ტექნიკის ისეთ სფეროებს, როგორიცაა: თბოტექნიკა და ენერგეტიკა, საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, აეროჰიდრომექანიკა, ტრანსპორტი, ძალური დანადგარები, მანაქანათა კონსტრუირება, მასალათმცოდნეობა და მეტალურგია, სამშენებლო კონსტრუქციები და მოწყობილობები, ბიოსამედიცინო მოწყობილობები, რობოტული ტექნოლოგიები, გარემოს ინჟინერია, იარაღი და სამხედრო ტექნიკა, ნანოტექნოლოგიები და სხვა. მექანიკის ინჟინერია იყენებს ინჟინერიის პრინციპებს მანქანებისა და მექანიკური სისიტემების ანალიზის, დიზაინის, წარმოებისა და მომსახურებისთვის[3]. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში პრიორიტეტულად ტექნიკური გვარეობების მიმართულებებით: სატანკო, მექანიზებული, საინჟინრო, ავიაცია, საჰაერო თავდაცვა, არტილერია, კავშირგაბმულობა, ლოჯისტიკა. აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამრეწველო, ანალიტიკურ-კვლევით და სხვა სამსახურებში.

მიუხედავად იმისა, რო მექანიკის ინჟინერიის საბაკალვრო პროგრამა შეიქმნა დასავლური უმაღლესი დაწესებულებების სტანდარტების გათვალისწინებით, მასში ასახულია ადგილობრივი მოთხოვნებიც. ეს პირველ რიგში ეხება პროგრამაში სპეციალობის და თავისუფალი კომპონენტის კურსების თანაფარდობას. ჩატარებული სტატისტიკური შედეგების დამუშავების შედეგად იკვეთება, რომ წამყვანი უცხოური უმაღლესი სასწავლებლების საინჟინრო პროგრამებში სპეციალობის (საინჟინრო სასწავლო კურსების) სწავლებაზე გამოიყოფა საშუალოდ 85%, შედარებით ნაკლები დროა დათმობილი სპეციალობის სწავლებაზე სამხედრო საგანმანათლებლო სასწავლებლებში - საშუალოდ 75 %, რაც სამხედრო სასწავლებლების სპეციფიკით არის განპირობებული. ამის ფონზე მნიშვნელოვნად დაბალია სპეციალობის სასწავლო კურსების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მექანიკის ინჟინერიის პროგრამაზე - 43 %. დანარჩენი სასწავლო საათები დათმობილი აქვს ინგლისური ენის - 22% და სამხედრო საქმის 35% შესწავლას. მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამაში თავად სპეციალობის სასწავლო კურსების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი მოითხოვს სპეციალობის სრულფასოვანად ათვისების შესაძლებლობის სიღრმისეულ ანალიზს. გარკვეულ კითხვებს ბადებს სამხედრო საქმის (საერთო საჯარისო მართვა) სასწავლო კურსების სტატუსი, სადაც იკვეთება სამხედრო პროფესიული უნარჩვევების განმავითარებელი სწავლის შედეგები და ცილდება აკადემიური განათლების მოთხოვნებს. გარდა ამისა სამხედრო საქმის სასწავლო კურსების საჯარობის შეზღუდვა ეწინააღმდეგება აკადემიური განათლების გამჭვირვალობის და საჯაროობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხების მოგვარების ლოგიკური გადაწყვეტილება უნდა იყოს საბაკალავრო პროგრამიდან სამხედრო საქმის სასწავლო კურსების გამოყოფა და დამოუკიდებელ სამხედრო პროფესიულ პროგრამად ჩამოყალიბება. მექანიკის ინჟინერიის საბაკალვრო პროგრამის აკადემიურ და სამხედრო პროფესიულ პროგრამებად გამიჯვნა იმავდროულად მოაწესრიგებს პროგრამების კონტროლის მექანიზმს. აკადემიური პროგრამა მთლიანად დაექვემდებარება განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული სტანდარტების შესრულებას, ხოლო სამხედრო პროფესული პროგრამა კი - საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებს.

ასეთი მიდგომა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის მოდელებს,

3 https://eta.edu.ge/uploads/katalogebi_axali/bakalavriati-katalogi_2022.pdf

რომელთა აკადემიურ პროგრამებში წარმოდგენილია მხოლოდ ისეთი სამხედრო აკადემიური კურსები, როგორიცაა: ლიდერობა, სამხედრო ისტორია, სამხედრო სამართალი და სხვა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2.

სასწავლო კურსი	აშშ-ს ვესტპოინტის სამხედრო აკადემია	აშშ-ს სანაპირო დაცვის აკადემია	აშშ-ს საზღვაო აკადემია	აშშ-ს საჰაერო ძალების აკადემია	კანადის სამეფო სამხედრო კოლეჯი	თავდაცვის უნივერსიტეტი ბრნომი	ბელგიის სამეფო სამხედრო აკადემია	ვირჯინიის სამხედრო ინსტიტუტი	ციტადელი- სამხრეთ კაროლინას სამხედრო კოლეჯი	თურქეთის სამხედრო აკადემია	თურქეთის საჰაერო ძალების აკადემია	იაპონიის თავდაცვის აკადემია	ბუნდესვერის უნივერსიტეტი
ოპერაციები/ სამხ. სტრატეგია				●							●	●	
სამხედრო ისტორია	●			●	●		●				●	●	
სამხედრო სამართალი	●			●									
გეოგრაფია/ კარტოგრაფია	●										●		
ლიდერობა	●		●	●	●							●	
სამხედრო ფსიქოლოგია					●		●						

საინტერესო მიგნებაა საგანმანათლებლო სისტემაში ეგრეთწოდებული უკრედიტო (non-credit) სისტემის გამოყენება. ეს სისტემა გამოყენებულია მაგალითად თურქეთის სამხედრო აკადემიის, ასევე ვესტპოინტის სამხედრო აკადემიის საბაკალავრო პროგრამებში[4]. სადაც სამხედრო სასაწავლო კურსები შეყვანილია მთლიანი პროგრამის სტრუქტურაში. მაგარამ მათ არ აქვთ მინიჭებული კრედიტები, რადგან ისინი არ გადიან ძირითადი სპეციალობის უნარების ფორმირებაში. ასეთი სისტემა ავალდებულებს სტუ-დენტს სასწავლო კურსის გავლას, თუმცა არ ხდება კრედიტების დარიცხვა საბაკალავრო პროგრამაში. ასეთი პრაქტიკის გამოცდილება გვაძლევს საშუალებას შევქმნათ ისეთი საბაკალავრო პროგრამა რომელშიც ინტეგრირებული იქნება სამხედრო სასწავლო კურსები და შესაძლებელია ინგლისური ენის გაძლიერებული მოდულებიც, თუმცა ისინი არ აღირიცხებიან ECTS-კრედიტებში. პროგრამის განხორციელების მოხე-რხებულობისათვის სასწავლო დაწესებულების ფარგლებში შესაძლებელია შემოღებულ იქნას შიდა მოხმარების საკრედიტო სისტემა (მაგ. NDA-კრედიტი), რომელის საშუალებითაც ყველა სასწავლო კურს განესაზღვრება ე.წ. შიდა კრედიტი. ასეთ ე.წ. ინტეგრირებული საბაკალავრო პროგრამის უპირატესობებს შორის აღსანიშნავია შემდეგი ფაქტორები:

- ითვალისწინებს წამყვანი დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილებას;
- იძლევა საინჟინრო სპეციალობის სრულყოფილად ათვისების შესაძლებლობას და საინჟინრო კადრების ხარისხის ამაღლებას;
- გამიჯვნის შედეგად ჩამოყალიბდება დამოუკიდებელი სამხედრო პროფესიული პროგრამა, საიდუმლოების დაცვის მაღალი ხარისხით.

დასკვნა

ჩატარებული ანალიზსა და კვლევებზე დაყრდნობით წარმოდგენილია საინჟინრო საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესების შესაძლებლობები. შემოთავაზებული ე.წ. ინტეგრირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს შიდა მოხმარების კრედიტების არსებობას. ასეთი პროგრამა იძლევა როგორც საინჟინრო კადრების ხარისხის ამაღლებას, ისე სამხედრო პროფესიული მომზადების სრულყოფას.

4 https://www.msu.edu.tr/erasmus/TurkishMilitaryAcademyCourse%20Catalogues.pdf
https://courses.westpoint.edu/static/index.htm#t=CL2022-Majors.htm

გამოყენებული ლიტერატურა:

- Engineering Fundamentals: An Introduction to Engineering. By Saeed Moaveni. Cengage Learning. 4 edition. June 17, 2010. 720 pages. ISBN-10: 1439062080, ISBN-13: 978-1439062081;
- Jonathan Wickert, Kemper Lewis. An Introduction to Mechanical Engineering. Third Edition. 449p. 2013. ISBN-13: 978-1-111-57680-6, ISBN-10: 1-111-57680-7;
- Paul h. Wright. Introduction to engineering. Third edition. John Wiley & Sons, inc. 290 p. ISBN 0-471-05920-2;
- Pravin Kumar. Basic Mechanical Engineering. Second Edition. Pearson. 784p. 2018. ISBN 9789386873293;
- https://www.westpoint.edu/academics/majors-and-minors;
- https://www.usafa.edu/academics/majors-minors/;
- https://www.usna.edu/Admissions/Academics/index.php#AcademicsindexPanel1;
- https://eta.edu.ge/uploads/katalogebi_axali/bakalavriati-katalogi_2022.pdf;
- https://www.msu.edu.tr/erasmus/TurkishMilitaryAcademyCourse%20Catalogues.pdf;
- https://courses.westpoint.edu/static/index.htm#t=CL2022-Majors.htm.

სპეცსამსახურებისა და სამხედრო ელიტების როლი რუსული პოლიტიკის ფორმირების პროცესში (თეორიული და პრაქტიკული ანალიზი)

კახა ფუტკარაძე
სსიპ - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს რუსული პოლიტიკური კურსის ფორმირების პრაქტიკულ ანალიზს. კვლევაში განხილულია ცივი ომის შემდგომი რუსული პოლიტიკური ელიტების სახელმწიფოებრივი ხედვები და პოლიტიკური კონცეფციები. ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს რუსული პოლიტიკის ახსნის მცდელობა საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული თეორიების საფუძველზე. კვლევაში მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილებულია რუსულ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიებზე პოლიტიკურ ელიტებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სამხედრო და სპეცსამსახურების ელიტების როლზე.

რუსული საგარეო პოლიტიკური ორიენტირების ასახსნელად ნაჩვენებია რუსულ ელიტებში გაბატონებული თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიური კონცეფციები. გაანალიზებულია 5 პო-ლიტიკური იდეოლოგიური თეორია, რომელიც გვთავაზობს რუსეთის სახელმწიფოს მოწყობის მათეულ მოსაზრებებს. აღნიშნული მსჯელობები ყურადღებას ამახვილებს ახალი რუსული სახელწმიფოს სლავური ეთნოსის ირგვლივ გაერთიანების მნიშვნელობაზე, დასავლეთთან ურთიერთობის გაღრმავების აუცილებლობაზე, ევრაზიული კურსის გატარებაზე, საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ფაქტორებზე დამყარებასა და ცენტრისტული, დაბალანსებული, ზომიერი პოლიტიკური კურსის გატარების მნი-შვნელობაზე.

კვლევაში გაანალიზებულია რუსულ პოლიტიკური ელიტებში არსებული განწყობები, ქვეყანაში არსებული ინსტიტუციონალური მექანიზმები, სპეცსამსახურების რეორგანიზაციის საკითხები და მათი როლი ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში მინდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

საკვანძო სიტყვები:
პოლიტიკა, უსაფრთხოება, სახელმწიფო, თავდაცვა, სპეცსამსახურები

THE ROLE OF SECRET SERVICES AND MILITARY ELITES IN THE FORMATION OF THE RUSSIAN POLICY (THEORETICAL AND PRACTICAL ANALYSIS)

Kakha Putkaradze
Associate Professor of Defence and Security Program
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Social Science

Abstract

The present paper aims at making a practical analysis of the formation of the Russian political course. The research discusses the national visions and political concepts of the post-Cold War Russian political elites. The practical value of the paper is the attempt to explain Russian policy based on the prevailing theories in international relations. The study focuses on the strategies of the Russian foreign policy in the political elites as well as the role of military and secret service elites in decision-making processes.

In order to explain the Russian foreign policy orientation, the modern political ideological concepts prevailing in the Russian elites are shown. 5 political ideogological theories are analyzed, which offer us different opinions on the organization of the Russian state. These discussions focus on the importance of uniting the new Russian state around the Slavic ethnos, the need to deepen relations with the West, pursuing a Eurasian course, basing foreign policy on economic factors, and the importance of pursuing a centrist, balanced, moderate political course.

The research analyzes the attitudes of the Russian political elites, the institutional mechanisms in the country, the issues of reorganization of the special services and their role in the ongoing political processes in the former allied republics.

Keywords:
politics, security, state, defense, secret services

შესავალი

სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები, სამხედრო კონფლიქტები და ეკონომიკური კავშირები უძველესი დროიდან იყო საერთაშორისო ურთიერთობების, კონფლიქტოლოგიისა თუ ისტორიის მეცნიერებათა დარგების მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. დიპლომატიისა თუ ომების მსოფლიო ისტორიის ფაქტების ანალიზი იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას სახელმწიფოთა ლოკალური, რეგიონული და გლობალური პოლიტიკური პროცესების დინამიკური ანალიზისათვის. სახელმწიფო მეთაურთა პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საგარეო და საშინაო სტრატეგიული დოკუმენტების კრიტიკული ანალიზი მნიშვნელოვნად გვეხმარება განვსაზღვროთ ერთი კონკრეტული ქვეყნისა თუ სახელმწიფოთა ჯგუფის საგარეო პოლიტიკური/გეოპოლიტიკური ორიენტირები. ამ კონტექსტში აუცილებელია კრიტიკულად იქნას გაანალიზებული სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა/ჯგუფთა ინტერესები, პოლიტიკური ხედვები და ზოგადად საზოგადოებისა თუ პოლიტიკური ელიტების სტრატეგიული კულტურა და სახელმწიფოებრივი მოწყობის მათეული ხედვები. სწორედ ამიტომ მიზნად დავისახეთ კრიტიკულად განვიხილოთ და შევაფასოთ რუსული პოლიტიკის ფორმირების პროცესი და მასში მონაწილე სპეცსამსახურებისა და სამხედრო ელიტების როლი და ადგილი.

თეორიული ანალიზი

რუსული პოლიტიკური პროცესისა და ზოგადად რუსული ელიტების შეხედულება რუსეთის როლზე მსოფლიო პოლიტიკური მოწყობის პირობებში მნიშვნელოვნად ემყარება საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებულ რეალიზმის თეორიულ მოძღვრებას. ამ თეორიული სკოლის მნიშვნელოვანი დაშვება ის არის, რომ ანარქიულ საერთაშორისო გარემოში არ არსებობს ერთი გლობალური დომინანტური ძალა, რომელსაც შეუძლია მსოფლიო სტაბილურობის უზრუნველყოფა და პოლიტიკური დღის წესრიგის კარნახი. სახელმწიფო გამოდის, როგორც გლობალურ პროცესებში მთავარი აქტორი. თანამედროვე რეალისტური მიდგომები საერთაშორისო ურთიერთობებში არ გამორიცხავენ ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისა თუ ინდივიდების მონაწილეობას, მაგრამ მათი შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით ისინი სრულფასოვან საერთაშორისო აქტორებად ვერ ჩაითვლებიან. ვინაიდან სახელმწიფო არის უნიტარული აქტორი და გააჩნია ძალაუფლების ცენტრი, მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს და დაიცვას ქვეყნის ეროვნული ინტერესები. ამ დროს ის პოლიტიკური ელიტები, რომლებიც გვევლინებიან გადაწყვეტილების მიმღებ პირებად, გამოდიან რაციონალურ აქტორებად, რომელთა მიერ მიღებული ,,რაციონალური გადაწყვეტილებები" ემსახურება ეროვნული ინტერესების მიღწევას. რეალისტური მოძღვრებით პოლიტიკური ელიტები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ კონკურენტულ გარემოში სახელმწიფოთა თვითგადარჩენისათვის, ეგზისტენციალური საფრთხის თავის არიდებასა და პრევენციაში. შესაბამისად ელიტების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს უფროს სუსტად და დაუცველად წარმოაჩენს, ვერ ჩაითვლება რაციონალურ გადაწყვეტილებად და ვერც მსგავსი ელიტები მიიჩნევა რაციონალურ აქტორებად[1]. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები ახდენს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა წრეზე ზეგავლენას. საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი მეცნიერის ჰანს მორგენთაუს შეფასებით, ეს არის სახელმწიფოს მეთაურთა და ელიტათა მუდმივი ეჭვი, შიში, ერთის მხრივ განპირობებული პოლიტიკური ძალაულების დაკარგვით, მეორეს მხრივ კი სხვა სახელმწიფოთა მეთაურთა განზრახვებითა და იმ სავარაუდო საფრთხეებით, რაც შეიძლება დაემუქროს საკუთრივ ქვეყანას. როგორც ნიკოლო მაკიაველი ამბობს-მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურის პიროვნული, ფსიქოლოგიური მახასიათებლების ზეგავლენის ხარისხი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე[2]. წარსული გამოცდილება, სტრატეგიული კულტურა, ჩამოყალიბებული რწმენები გავლენას ახდენს სახელმწიფოს მეთაურთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და მეტ წილად განსაზღვრავენ კიდეც მათ შემდგომ პოლიტიკურ ნაბიჯებს.

თუ იმ დებულებიდან ამოვალთ, რომ პოლიტიკურ ელიტათა გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს როგორც სუბიექტური, პიროვნული განწყობები, ასევე გამოცდილება, მაშინ მნი–შვნელოვანია განისაზღროს ის ობიექტური საწყისი, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს როგორც სახელმწიფოს, ასევე პოლიტიკური ელიტების ძლიერებას. ასეთ დროს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მთავარი საზრუნავი ქვეყნის შედარებითი ძალაუფლებისა და უსაფრთხოების მიღწევის სურვილია, ეს კი სახელმწიფოს მუდმივად ძალაუფლებისათვის ბრძოლისკენ განაწყობს. იგი გულისხმობს სახელმწიფოს მეთაურთა მხრიდან ძალაუფლების მოპოვების, მისი გადანაწილების, გამოყენებისა და დემონსტრირების უწყვეტ პროცესს. ამ დროს ქვეყნის ძლიერებას და შესაბამისად პოლიტიკურ ელიტათა ძალაუფლების სათავეში ყოფნას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: ა) სახელმწიფოს გეოგრაფიული ფაქტორები; ბ) მის ხელთ არსებული ბუნებრივი რესურსები; გ) ტექნოლოგიები, სამრეწველო პოტენციალი და ამ უკანასკნელის მიერ უახლესი შეიარაღების წარმოების უწყვეტი პროცესის უნარი; დ) ქვეყნის მოსახლეობა ე) ქვეყნის

1 S. McGLINCHEY, ROSIE WALTERS & CHRISTIAN SCHEINPFLUG, International Relations Theory, ISBN 978-1-910814-19-2, Bristol, England 2017:15

2 STEPHEN McGLINCHEY, ROSIE WALTERS & CHRISTIAN SCHEINPFLUG, International Relations Theory, ISBN 978-1-910814-19-2, Bristol, England 2017:17

პოლიტიკური ხელმძღვანელობა/მთავრობა[3]. სახელმწიფოს ძალაუფლება პოლიტიკური ძალაუფლების კატეგორიას განეკუთვნება. კარლ ფონ კლაუზევიცის შეფასებით ძალაუფლება ეს შესაძლებლობაა, რო–დესაც შენ შეგიძლია შენს ნებელობას დაუმორჩილო სავარაუდო მოწინააღმდეგის ქმედებანი. ასეთ დროს სახელმწიფოს ძალაუფლებას კლაუზევიცისვე შეფასებით ომის წმინდა სამება ,,მთავრობა, არმია და საზოგადოება"[4] განაპირობებს, სადაც მთავრობა პოლიტიკის გამტარებელ სუბიექტად გვევლინება, არმია პოლიტიკური ნების განმახროციელებელ ძალისმიერ ინსტრუმენტად, ხოლო საზოგადოება ძალა–უფლებისა და სრულიად პოლიტიკური, ემოციური განწყობების ძირითად წყაროდ. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების არსებობა და მათი კომბინირებული გამოყენების უნარია.

თანამედროვე რუსეთის მოწყობის პოლიტიკური კონცეფციები

ცივი ომის დასრულებამ მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა წარმოქმნა, ხელი შეუწყო საერთაშორისო უსაფრთხოების პრინციპების განმტკიცებას. კომუნისტური ბანაკის დაშლამ ახალი სუვერენული სახელმწიფოების შექმნა განაპირობა, ხოლო საბჭოთა რუსეთის სამართალმემკვიდრეს - რუსეთის ფედერაციას მიეცა დასავლეთთან ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ენერგეტიკულ და უსაფრთხოების სექტორში აქამდე არნახული კავშირების დამყარების შესაძლებლობები. სსრკ-ს დაშლამ რუსეთის პო-ლიტიკურ და სამეცნიერო წრეებს ახალი სიცოცხლე შესძინა და აქტიურად დაიწყო მეცნიერული კვლევები რუსეთის სავარაუდო ადგილისა და როლის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ სსრკ-ს პერიოდში შეზღუდული იყო პოლიტიკურ იდეოლოგიებზე და მასზედ რუსეთის მიკუთვნებადობაზე მსჯელობა, 1992 წლიდან ქვეყნის საპარლამენტო, სამეცნიერო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გამოჩნდნენ ახალი იდეოლოგიური კურსის მომხრენი. **დასავლური იდეოლოგიის მომხრეები** საუბრობდნენ რუსეთის დასავლურ სტურქტურებთან გაერთიანებისა და შერწყმის თაობაზე. ვინაიდან რუსეთი ისტორიულად დასავლური კულტურისა და აზრის მატარებელ სახელმწიფოდ მიაჩნდათ. ამავდროულად უარყოფდნენ რუსეთის განსაკუთრებული მესიანური მისიის შესახებ არსე-ბულ მოსაზრებებს[5]. ამავე მოსაზრებას იზიარებს ცნობილი რუსი მეცნიერი და პოლიტოლოგი იგორ მაქსიმევიჩი. მისი შეფასებით, თანამედროვე სამყაროში, სადაც გაძლიერებულია სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაციისა და ეკონომიკური დაახლოების პროცესები, მნიშვნელოვანია რუსეთმა განსაზღვროს თავისი ცივილიზაციური სივრცე, რომელიც ისტორიულად საერთო ევროპული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი იყო[6]. **მეორე ჯგუფისათვის რუსული პოლიტიკის ფორმირების საყრდენს საერთო სლავური ეთნოსი წარმოადგენს**. ამ იდეის მთავარი აზრი მდგომარეობს ახალი რუსეთის, ახალი რუსული ცივილიზაციის შექმნაში, რომელიც გააერთიანებს სლავური ეთნოსის ხალხებს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთი წარმომადგენელი სერგეი ბაბურინი აღიშნავდა, რომ სსრკ-ს დაშლამ ხელი შეუწყო მოკავშირე რესპუბლიკებში სლავური ეთნოსის დანაწევრებას. რუსეთი-ეს არის აღმოსავლურ-ბიზანტიური და ელინური ცივილიზაციის მემკვიდრე და იმისათვის, რომ რუსეთმა შეინარჩუნოს ეროვნული იდენტობა აუცილებელია ახალ რუსეთში გაერთიანებული იყოს სსრკ-სა და რუსეთის იმპერიის საუკეთესო თვი-სებები. ამ გაერთიანების შემადგენლობაში კი უპირველესად სლავური ეთნოსით დასახლებული ქვეყ-ნები უნდა გაწევრიანდნენ, როგორებიც რუსეთი, უკრაინა, ბელარუსია და ჩრდილოეთ ყაზახეთია[7]. **მე-სამე ჯგუფს ევრაზიული იდეის მიმდევრები წარმოადგენენ.** ამ იდეის დამცველები აქცენტს აკეთებენ რუსეთის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, უფრო კონკრეტულად რუსეთი წარმოადგენს ევროპისა და აზიას შორის მდებარე მატერიკს, ნაწილს. იგი ეყრდნობა ბრიტანელი მეცნიერის სერ ჰალფორდ მაკინდერის თეორიებს, რომელიც საუბრობს მსოფლიო ''ჰართლენდზე'', ''ისტორიის/დედამიწის ღერძზე'', მსოფლიოს კუნძულზე. მათი შეფასებით რუსეთი მსოფლიოს გული/ღერძია (ჰართლენდი), რომლის კონტროლიც მას საშუალებას აძლევს უკარნახოს დღის წესრიგი დანარჩენ მსოფლიოს. ამ იდეის მომხრეები, რომლებიც დღეს მრავლად არიან რუსეთის პოლიტიკურ და ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურებში მომუშავე ელიტებში, ყურადღებას ამახვილებენ დასავლეთთან და აღმოსავლეთთან რუსეთის დაბალანსებული ურთიერთობების აუცილებლობის შესახებ. მათი შეფასებით რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოდგენილი უნდა იყოს არა მხოლოდ ევროპული ან აზიური მხარე, არამედ როგორც ევრაზიული, ვინაიდან სხვა შემთხვევაში იგი არ იქნება მიმზიდველი არც ევროპისათვის და არც აღმოსავლეთისათვის. ცნობილი რუსი იდეოლოგი ალექსანდრე დუგინი, რომელიც ევრაზიული იდეის რადიკალურ ფრთას წარმოადგენს, ხაზს უსვამს რუსეთის ძლიერების აღდგენაზე, ყაზახეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის რუსეთთან შერწყმაზე, ლათინურ ამერიკაში რუსეთის წამვან როლზე და იქ აშშ-ს გავლენის

3 რონდელი, ა. საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 2000:31/32

4 ანთაძე, გ. ჰიბრიდული ომის გააზრებისათვის, GC ანალიზი, გვ. 5/7

5 ურუშაძე, ე., ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში, თბილისი, 2006:16

6 И.Ф. Максимычев, Россия как составная часть общеевропейского цивилизационного пространства. Общественные науки и современность, №6, 1997, 85-96.

7 С. Н. Бабурин, Территория государства: првовые и геополитические проблемы. http://www.univer.omsk.su/graduates/baburin/BOOKS/26.htm (accessed: 17.12.2006), ასევე ურუშაძე, ე., ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში, თბილისი, 2006: გვ.24

შემცირებაზე, ევროკავშირის აშშ-ს გავლენისაგან გათავისუფლებაზე[8]. **აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების კურსს წარმოადგენენ ატლანტისტები,** რომლის ცნობილი წარმომადგენელიც ალექსანდრე ჩუბაისია. ამ კურსის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ პოსსაბჭოთა სივრცეში და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში ეკონომიკური კავშირების გაძლიერების მნიშვნელობაზე. რუსული კომპანიები აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა გეოპოლიტიკურ სივრცეში, რაც რუსეთს ბუნებრივად დაახლოებს შესაბამის სახელმწიფოებთან და შექმნის რბილი ძალის გამოყენების ინსტრუმენტს. ამ იდეის მომხრეები ხაზს უსვამენ რუსეთის თანამშრომლობის აუცილებლობაზე აშშ-სა და ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან. დასავლურ სამყაროსთან და მის ინსტიტუტებთან ინტეგრაციის მხარდაჭერას თან ახლავს ლიბერალური, ანუ დემოკრატიული და ბაზარზე ორიენტირებული შიდა პრიორიტეტებიც. ატლანტისტური საგარეო პოლიტიკის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ საერთაშორისო ნორმების დაცვა მისცემს რუსეთს საშუალებას მიაღწიოს დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციას. ატლანტისტები საუბრობენ რუსეთის საერთო ინტერესებზე და მსგავსებებზე შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის და მიიჩნევენ, რომ რუსეთმა უნდა ითანამშრომლოს ორივესთან მეტ-ნაკლებად თანასწორი პოზიციების გათვალისწინებით[9].

თანამედროვე რუსული ხელისუფლება, სხვადასხვა მეცნიერთა შეფასებით, ნაწილობრივ წარმოადგენს ცენტრისტული იდეოლოგიის გამტარებელ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში აერთიანებს ევრაზიული ხედვის განწყობებსაც. ამ იდეის გამტარებლები აქცენტს აკეთებენ რუსეთის წამყვან როლზე პოსსაბჭოთა სივრცეში, დასავლეთთან არაკონფრონტაციული ურთიერთობების მნიშვნელობაზე. მათი შეფასებით, რუსული პოლიტიკა დასავლეთთან დაბალანსებული უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილდეს აღმოსავლეთის სივრცეში რუსული პოზიციების გაძლიერებაზე. ისინი თვლიან, რომ დასავლეთთან რუსეთის პროდუქტიული ურთიერთობები აუცილებელია რუსეთის ეკონომიკური მომავლისათვის, მაგრამ ამავდროულად მოსკოვს არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ აზიაში მისი ტერიტორიული მდებარეობის გამო მან აქტიური როლი უნდა შეასრულოს. შესაბამისად, რუსეთის საგარეო პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს აზიასა და ევროპაში რუსეთის თანმიმდევრულ, დაბალანსებულ ურთიერთობას, ხოლო დსთ-ს სივრცეში მის განსაკუთრებულ პასუხისგებლობას. რუსეთი არასოდეს უნდა მოხვდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მას არჩევანის გაკეთება მოუწიოს დასავლეთს, აღმოსავლეთსა და მის სამხრეთ მეზობლებს შორის[10]. ამავე იდეის მომხრეა ცნობილი რუსი პოლიტიკოსი და იდეოლოგი ვლადიმერ ლუკინი. იგი აქცენტს აკეთებდა რუსეთისა და დასავლეთის თანაშრომლობისა და დაახლოების აუცილილებლობაზე, მაგრამ იმ ფორმით, რომ შენარჩუნებულიყო რუსეთის ეროვნული იდენტობა და რუსი ხალხის ხასიათის განსაკუთრებული თავისებურებები. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე რუსეთმა უნდა გაატაროს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული პრინციპების მხარდამჭერი რეფორმები სახელმწიფოებრივ დონეზე, იმ დოზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება რუსი ერის იდენტობას. ამ გზით რუსეთი თანდათანობით შეურთდება დასავლურ სტრუქტურებს, როგორც თანაბარი ძალის მქონე პარტნიორი. დასავლეთმა რუსეთი უნდა მიიღოს და აღიაროს როგორც თანაბარი პარტნიორი. ლუკინის აზრით, რუსეთი მრავალი თვალსაზრისით უნიკალურია. „მე ვარ პროევროპული და ვფიქრობ, რომ რუსეთი ევროპის ნაწილი უნდა იყოს“, - წერს ლუკინი, „მაგრამ არა იმ გაგებით, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს რუსეთად ყოფნა[11].

სპეცსამსახურები რუსული პოლიტიკური ძალაუფლების სათავეებში

თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებს ამერიკის შეერთებული შტატები, ახლო აღმოსავლეთი, აზია - წყნარი ოკეანე და ჩინეთი, ცენტრალური აზია, ევროკავშირი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია და არქტიკა წარმოადგენენ. პოლიტიკური ძალაუფლება განაწილებულია ქვეყნის აღმასრულებელი, საპარლამენტო და სასამართლო შტოების დონეზე, თუმცა მნიშვნელოვან გავლენიან აქტორებად სპეცსამსახურები, სამხედრო ელიტა და სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსები და ფინანსური წრეები გვევლინებიან. კვლევის ფარგლებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო სპეცსამსახურების და მათგან წამოსული პირების პოლიტიკურ ძალაუფლებაში მოსვლის საკითხებმა, მათ სავარაუდო როლზე რუსული პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს რუსეთის უშიშროების საბჭო, რომელიც შეიქმნა 1992 წელს. ამჟამად მოქმედებს რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის 6 მაისის ბრძანებულება - „რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს შესახებ“. ეს არის საკონსტიტუციო სათათბირო ორგანო, რომელიც ამზადებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისათვის გადაწყვეტილებებს სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის უსაფრთხოების

8 Mankoff, J.m Russian Foreign Policy The Return of Great Power Politics, ROWMAN & LITTLEFIELD PUBLISHERS, INC. Lanham • Boulder • New York • Toronto • Plymouth, UK, 2009: გვ.65-68

9 A. B. Chubais, ‘‘Missiya Rossii v XXI veke,’’ Nezavisimaya Gazeta, 1 Oct 2003. Yu. Arkhangel’sky and P. Yermolaev, ‘‘Politicheskaya elita i strategicheskie prioritety, RF: Mezhdu ‘metologicheskim idealizmom’ i ‘naivnym realizmom,’ ’’ Mirovaya ekonomika i mezhdunarodnye otnosheniya, Nov 2006 (11): 100. Chubais’s idea is similar to the superimperialism advocated by Karaganov and Vladislav Inozemtsev. See Inozemtsev and Karaganov, ‘‘Imperialism of the Fittest.’’

10 Karaganov, S., ‘‘Russia Pulled East and West,’’ trans. Project Syndicate, Feb 1997, http://www.project-syndicate.org/commentary/kar5

11 Lukin, V., ‘‘New Century, Greater Concerns,’’ International Affairs: A Russian Journal of World Politics, Diplomacy and International Relations, 2002, 48(2):

შესახებ საკითხებზე, მათ შორის თავდაცვითი მიმართულებით, სამხედრო მშენებლობის, სამხედრო წარმოების შესახებ, რუსეთის ფედერაციის სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის თა-ობაზე უცხო სახელმწიფოებთან. კონსტიტუციური წესრიგის, რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან, ასევე უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე[12]. მსოფლიოში არსებული პრაქ-ტიკის გათვალისწინებით, ხელისუფლების წამყვან პოზიციებზე დანიშნული პირების ბიოგრაფია, საქმ-იანობის ისტორია და მათი კავშირები სახელმწიფოს მეთაურთან, მეტწილად განსაზღვრავს ქვეყნის სა-გარეო პოლიტიკურ კურსსა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ ხედვებს. პუტინის მმართველობის საწყის ეტაპზე უშიშროების საბჭოს ხელმძანელის მოვალეობას მისი ძველი კოლეგა და მეგობარი სა-გარეო დაზვერვიდან სერგეი ივანოვი ასრულებდა. მოგვიანებით, მედვედევის პრეზიდენტობის პე-რიოდში, აღნიშნულ უწყებაში ასევე სპეცსამსახურებიდან წამოსული ერთ-ერთი გავლენიანი პირი ნი-კოლაი პატრუშევი დაინიშნა. მას სპეცამსახურებში 4 ვარსკვლავიან გენერლადაც მოიხსენიებენ[13], რო-მელიც უშიშროების საბჭოში დანიშვნამდე, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის დი-რექტორის მოვალეობას ასრულებდა. მის მოადგილედ თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი იური ბალუევსკი დაინიშნა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე მეცნიერების შეფასებით, პუტინი ბოლომდე არ ენდობოდა სამხედრო ელიტას, რის გამოც სხვადასხვა პერიოდში თავდაცვის მინისტრად მან მისი უახლოესი გარემოცვის წევრები დანიშნა, რომელთა უმეტესობასაც არ ჰქონდა აქტიური სამსახურეობრივი შემხებლობა თავდაცვის უწყებასთან. ყოფილი და მოქმედი თავდაცვის მინისტრებია - სერგეი ივანოვი, ანატოლი სერდიუკოვი და სერგეი შოიგუ. რუსული პოლიტიკურ ელიტაში სამხედრო ფრთას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა. სამხედრო ელიტების მნიშვნელოვანი ნაწილი ლობირებდა რუსეთის დასავლეთთან დისტანცირებული ურთიერთობის აუცილებლობას. მეტიც, ცალკეული მაღალი რანგის სამხედრო პირები მხარს უჭერდნენ რუსეთის მიერ დასავლეთთან ე.წ. წითელი ზონების შემოღებას, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი გავლენა ჰპოვა რუსულ-უკრაინული ომის დაწყებასა და შემდგომ განვითარებულ პროცესებში. იური ბალუევსკის უშიშროების საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ დანიშვნაც, ერგვარად სამხედრო ელიტების პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების ერთგვარ ნაბიჯად შეიძლება ჩაი-თვა-ლოს. ბალუევსკის მეთაურობით ცალკეულ სამხედროთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული სამხედრო დოქტრინა აქცენტს აკეთებდა დასავლეთის მხრიდან და სახელმწიფო აქტორებისაგან წამოსულ სამ-ხედრო, კონვენციურ საფრთხეებზე, ტერორიზმიდან და არშემდგარი სახელმწიფოებიდან მომდინარე გამოწვევებზე. ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩნდება კითხვა-თუ რა როლი ეკისრება უშიშროების საბჭოს, არის კი ის დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტორი, თუ მხოლოდ საკოორდინაციო ფუნქციას ასრულებს. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას უშიშროების საბჭოს როლზე რუსული პოლიტიკის პროცესში. საყურადღებია საკუთრივ ნიკალაი პატრუშევის პირადი და სამსახურეობრივი ურთიერთობები ქვეყნის პრეზიდენტთან. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იგი არ განეკუთვნებოდეს პუტინის უახლოესი პირადი სამეგობრო წრეს, პრეზიდენტთან მისი სიახლოვე და ურთიერთობა ეფუძნება ,,ლოიალობას, იდეოლოგიურ სიახლოვეს, სპეცსამსახურებში საქმიანობის ისტორიას, უსაფრთხოების სფეროში არსებულ ხედვებს და რაც მთავარია - პრეზიდენტის ნდობას სპეცსამსახურების ნომენკლატურასთან მიმართებით[14]. ეს ფაქტი, თავის მხრივ ხელს, უწყობს უშიშროების საბჭოს როლის და გავლენის ზრდას. ხაზგასასმელია ე.წ. ,,სილოვიკების" შეხედულება - აშშ-ს სურვილზე რუსეთის დასუსტებისა და დაშლის შესახებ. შესაბამისად, უშიშროების საბჭო პრეზიდენტთან და უშიშროების საბჭოს წევრებთან შეთანხმებით ამზადებს მიკუთვნებულ სფე-როებში შესაბამის საკანონმდებლო და პოლიტიკურ ინიციატივებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყირიმის ანექსიისა და შემდგომში უკრაინაში შეჭრის შესახებ წინადადებებიც, ისევე როგორც სირიის ოპერაცია მხარდაჭერილი და მოწონებული იქნა უშიშროების საბჭოს მიერ[15]. რუსეთის უშიშროების საბჭოს შე-მადგენლობა შედგება შემდეგი მუდმივმოქმედი წევრებისაგან: პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი - საბჭოს თავჯდომარე, ნიკოლაი პატრუშევი - საბჭოს მდივანი, დიმიტრი მედვედევი - საბჭოს მდივნის მოადგილე, მიხაილ მიშუსტინი, პრემიერ მინისტრი - საბჭოს წევრი, მატვიენკო ვალენტინა, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე-საბჭოს წევრი, სერგეი ნარიშკინი, საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი, ვოლოდინი ვიაჩესლავ , სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი- საბჭოს წევრი, ვაინო ანტონი, პრეზიდენტის აღმასრულებელი ოფისის აპარატის უფროსი- საბჭოს წევრი, სერგეი ივანოვი, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და ტრანსპორტის საკითხებში-საბჭოს წევრი, სერგეი შოიგუ, თავდაცვის მინისტრი-საბჭოს წევრი, სერგეი ლავროვი, საგარეო საქმეთა მინისტრი-საბჭოს წე-ვრი, ვლადიმერ კოლოკოლცევი, შინაგან საქმეთა მინისტრი-საბჭოს წევრი, ალექსანდრე ბორტნიკოვი, ფე-დერალური უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი - საბჭოს წევრი.

12 Medvedev, D., "On the Security Council of the Russian Federation," May 6, 2011.

13 Piontkovskii, A., "Zhizn' posle smerti. Andrei Piontkovskii—o Putine u vlasti," Radio Svoboda, August 14, 2019, https://www.svoboda.org/a/30106033.html.

14 Garleotti, M., "Russia's Security Council: Where Policy, Personality, and Process Meet," Marshall Center Security Insight, no. 41, October 2019,
https://www.marshallcenter.org/en/publications/security-insights/russias-security-council-where-policy-personality-and-process-meet-0.

15 Ibid

აგრეთვე საბჭოს წევრები არიან: ბულავინი ვლადიმერი - ფედერალური საბაჟო სამსახურის უფროსი, ბეგლოვი ალექსანდრე - პეტერბურგის გუბერნატორი, ჩაიკა იური - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში, ჩუიჩენკო კონსტანტინე - იუსტიციის მინისტრი, გერასიმოვი ვალერი - რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გუცანი ალექსანდრე - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილო-დასავლეთის ფედერალურ ოლქში, კომაროვი იგორი - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვოლგის ფედერალურ ოლქში, კრასნოვი იგორი - გენერალური პროკურორი, ნურგალიევი რაშიდი - უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, სერიშევი ანატოლი - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ციმბირის ფედერალურ ოლქში, შჩეგოლევი იგორი - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცენტრალურ ფედერალურ ოლქში, ტრუტნევი იური, ვიცე-პრემიერი - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შორეული აღმოსავლეთის ფედერალურ ოლქში, სობიანინი სერგეი - მოსკოვის მერი, სულეიმანი ანტონი - ფინანსთა მინისტრი, ზოლოტოვი ვიქტორი - ეროვნული გვარდიის ჯარების ფედერალური სამსახურის დირექტორი და ეროვნული გვარდიის ჯარების მეთაური, იაკუშევი ვლადიმერი - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ურალის ფედერალურ ოლქში, უსტინოვი ვლადიმერი - პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სამხრეთ ფედერალურ ოლქში[16].

გლობალურ და რეგიონულ პროცესებში პოლიტიკური ელიტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი პოლიტიკური გადაწყვეტილებები საერთაშორისო ასპარზე მეტწილად ემყარება ძალისა და სამხედრო კომპონენტის გამოყენების მუქარას. ამგვარი სტრატეგიით რუსეთი ცდილობს ზეგავლენა იქონიოს და დაარწმუნოს მოწინააღმდეგე რუსეთის მხიდან ძალისმიერი კომპონენტის გამოყენების შესაძლებლობაზე თუ ამისი მიზანშეწონილობა შეიქმნება. აღნიშნული სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ასევე გამოყენებულ იქნას მცირე რესურსები, რათა არ მოხდეს არსებული სტრატეგიული მარაგების შემცირება, მეორეს მხრივ კი ეს საშუალებას მისცემს პოლიტიკურ ხელისუფლებას საჭიროებისამებ გაზარდოს ძალისმიერი კომპონენტი არსებული დაზოგილი რესურსების საფუძველზე. ზემოხსენებული სტრატეგიის რეალური მიზანი სავარაუდო მოწინააღმდეგის დარწუმენებაა, უარი თქვას ესკალაციაზე და დათანხმდეს რუსეთის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე. ძალის დემონსტირების ჩვენება კი ერთგვარი პოლიტიკური მეთოდია სასურველი მიზნების ან თუნდაც ფართომასშტაბიანი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად[17]. ამ სტრატეგიის ნაკლი ის გახლავთ, რომ რუსული სამხედრო ელიტები მიყვებიან სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს დასავლეთთან წითელი ხაზების არსებობას. ძალის გამოყენების მუქარა და მისი დემონსტრირება თუ უკრაინის კონფლიქტის საწყის ეტაპზე მიზნად ისახავდა ფართომასშტაბიანი კონფლიქტის თავიდან არიდებას და დასავლეთის მხრიდან რუსეთის პრივილეგირებული გავლენის სფეროს ოფიციალურად ცნობას, აღნიშნული სტრატეგიის ნაკლებ შედეგიანობის შემთხვევაში პოლიტიკური წონის და სახის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება უშუალოდ სამხედრო კომპონენტის გამოყენებაა. ეს კი სწორედ იმავე მიზნის საპირისპიროა, რაც ჩვენ თავდაპირვრლად ფართომასშტაბიანი ესკალაციის აცილების სურვილის მაგალითით აღვნიშნეთ. უკრაინის კონფლიქტის შემთხვევაშიც მეტნაკლებად მსგავსი სურათი იკვეთება.

სპეცსამსახურების როლი პოლიტიკურ პროცესებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ჯერ კიდევ ვლადიმერ პუტინის ეფესბეს დირექტორისა და უშიშროების საბჭოს მდივნის პოზიციაზე ყოფნის პერიოდში შეიმჩნეოდა ცალკეულოი მცდელობები სპეცსამსახურების ყოფილი და მოქმედი წარმომადგენლების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის სურვილის შესახებ. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის დროს, რუსეთი განიცდიდა მძლავ ეკონომიკურ კრიზისს, ჩეჩნურ სეპარატიზმს, შიდა და გარე გამოწვევებს. პუტინის მოწოდებამ, რომ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების საქმიანობა წარმოადგენდა, ნათლად წარმოაჩინა ის უნდობლობა, რაც მას, როგორც ყოფილ სპეცსამსახურების ოფიცერს გააჩნდა დასავლურ თუ ზოგადად სახელმწიფოთა თანამეგობრობათა მიმართ. მისი შეფასებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასუსტებული რუსეთის მდგომარეობით ისარგებლეს რიგმა სახელმწიფოებმა და ეკონომიკური, ენერგეტიკული, ჰუმანიტარული თუ დიპლომატიური რესურსების გამოყენებით გააქტიურეს რუსეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა. რუსული პოლიტიკური კურსის ერთგვარი მაჩვენებელი იყო 2003 წელს ეფესბეს საგამოძიებო ნაწილის დირექტორის მოადგილედ ნიკოლაი ოლეშოს დანიშვნაც. აღნიშნული პიროვნება იმით იყო საინტერესო, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა არმიის გერმანიაში დისლოკაციის დროს, პასუხისმგებელი იყო არმიის რიგებში მტრის მზვერავებისა და მათ მიერ გადაბირებული საბჭოთა ოფიცრებისა თუ ჯარისკაცების აღმოჩენა/განეიტრალებაზე. შემდგომში იგი ცნობილი გახდა დასახელებულ სფეროში მოღვაწე მაღალი რანგის ექსპერტად. მისი დანიშვნის შემდეგ, მან მოახდინა ქვედანაყოფის რესტრუქტურიზაცია და შეიქმნა სამსახური, რომლის მთავარი ფუნქცია ,,მტრის მზვერავებისა და აგენტურული ქსელის გამოვლენა“ იყო. სამსახურის პრიორიტეტი იყო ქვეყნის მასშტაბით აქტიური კონტრსადაზვერვო საქმიანობის განხორციელება[18]. შესაბამისად ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ე.წ. გამოვლენილი თუ დაკავებული

16 Security Council Structure, http://en.kremlin.ru/structure/security-council/members

17 Gorenburg, D., "Russian Strategic Decision-Making in a Nordic Crisis," **Marshall Center Security Insight,** no. 37,July 2019, https://www.marshallcenter.org/en/ publications/security-insights/russian-strategic-decision-making-nordic-crisis-0.

18 Soldatov, A., and Borogan, I., the restoration of the Russia's security state and the enduring legacy of the KGB, The New Nobility, Pp. 36-38

პირების ვინაობა, წარმომავლობა, ოპერატიული ინტერესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რუსული პოლიტიკური ელიტის შეხედულებებზე ცალკეულ ქვეყნებთან მიმართებით, რაც შემდგომში უკვე გამოიხატებოდა საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირების საკითხზეც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკუთრივ ფედერალური უსაფრთხოების სამსახურს აქვს ერთგვარი სადაზვერვო ფუნქციების შესრულების უფლებამოსილება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში. 1999 წლის პრეზიდენტ ბორის ელცინის განკარგულებით, ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლითაც ეფესბეს შიგნით ინფორმაციის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის რიგებში შეიქმნა ოპერატიული ინფორმაციის კოორდინირების დირექტორატი, ხოლო საკუთრივ დეპარტამენტს ნიკოლაი პატრუშევის კოლეგა - გენერალ-მაიორი ვიაჩესლავ უშაკოვი ხელმძღვანელობდა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, 1992 წლის აპრილში, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა დსთ-ს ქვეყნებთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ხელმომწერი მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებში არ განეხორციელებინათ სადაზვერვო საქმიანობები. სისტემატიურად ხდებოდა დსთ-ს ქვეყნების სადაზვერვო სამსახურთა ხელმძღვანელების სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილებოდა საერთო უსაფრთხოების, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები. აღნიშნული ხელშეკრულება რუსული საგარეო დაზვერვის სამსახურისათვის გახდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დაბრკოლება, რომელიც არ აძლევდა სადაზვერვო ოპერატიულ-ოპერაციული აქტივობების გაფართოების შესაძლებლობას დსთ-ს წევრ ქვეყნებში. 2003, 2004 და 2005 წლებში საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში მომხდარმა რევოლუციებმა რუსულ პოლიტიკურ ელიტაში გაამყარა განწყობა უცხო ქვეყნის სადაზვერვო ორგანოების აქტიური საქმიანობის შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში, შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახალი ძალით ეწარმოებინათ სადაზვერვო საქმიანობა სსრკ-ს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელსაც კრემლი ყოველთვის განსაკუთრებული პრივილიგირებული გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. შესაბამისად, კითხვის მატარებელი იყო თუ ვის უნდა განეხორციელებინა ამდაგვარი აქტივობები, საგარეო დაზვერვის სამსახურს, რომელსაც ხელშეკრულების შესაბამისად შეზღუდული ჰქონდა მსგავსი აქციების ჩატარების უფლებამოსილება თუ მის მსგავს ორგანიზაციას. ეფესბეს, რომელსაც ანალოგიურ ხელშეკრულებაზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი, არანაირი სამართლებრივი ვალდებულება არ გააჩნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შეეზღუდა თავისი ოპერატიული საქმიანობა. ახლად შექმნილ დირექტორატს დაევალა პოსტსაბჭოთა რეგიონის ოპერატიული კონტროლი, დირექტორატში შემავალ თანაშრომლებს კი უფლება მიეცათ სამსახურეობრივი მიზნებით ემოგზაურათ მათთვის საპასუხისმგებლო ტერიტორიებზე, შესაბამის ქვეყნებში. 2003 წლის 30 ივნისს შევიდა ცვლილება კანონში „უშიშროების ფედერალური სამსახურის ორგანოების შესახებ“[19], რომელიც ითვალისწინებდა ეფესბეს შიგნით სპეციალურ ორგანოს შექმნის საკითხს და რომლის საპასუხისმგებლო სფერო დაკავშირებული იქნებოდა დაზვერვით საქმიანობასთან. 2004 წელს დირექტორატი დეპარტამენტად გადაკეთდა, რომელსაც ოპერატიული ინფორმაციის დეპარტამენტი ეწოდა, ხოლო მისი უფროსი, ვიაჩესლავ უშაკოვი ეფესბეს დირექტორის მოადგილედ გადაინიშნა. ახლადშექმნილ დანაყოფში უშაკოვი შეცვალა გენერალმა სერგეი ბესედამ, რომელიც მანამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურში საქმიანობდა[20]. ჩვენი შეფასებით საქართველოში, კერძოდ კი ბათუმში, რუსული მხარის მიერ შემოთავაზებული იდეა ერთობლივი ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის შესახებ, სადაც რუსული მხარიდან წარმოდგენილი იქნებოდნენ ეფესბეს შესაბამისი დანაყოფის თანამშრომლები, მნიშვნელოვანწილად დაკომპლექტებული იქნებოდა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული დეპარტამენტის აპარტიდან, რომლის უშუალო საპასუხიმგებლო სფეროს ყოფილ სსრკ-ს ქვეყნებში სადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენს. აღნიშნული დეპარტამენტი იყო ასევე პასუხისმგებელი 2004 წ. აფხაზეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე, სადაც იგი კურირებდა კონკრეტულ საპრეზიდენტო კანდიდატს, ხოლო მეტი ზეგავლენისათვის დანაყოფის ერთ-ერთი გენერალი სამსახურეობრივი მიზნით მივლინებული იქნა ქ. სოხუმში. ამ სამსახურის აქტივობები შემდგომში შემჩნეული იქნა ბელოლუსიაში, უკრაინაში, მოლდავეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, პაკისტანსა თუ ავღანეთში[21].

დასკვნა

ჩვენს მიერ მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და პოლიტიკური ელიტებში გაბატონებულ შეხედულებებს. ის ფაქტი, რომ რუსული საგარეო პოლიტიკა კვლავაც რეალისტური ძალის პრიმატს ეფუძნება, სადაც პოლიტიკური ძალის, ზეგავლენის ვერტიკალი მეტწილად სამხედრო და სპეცსამსახურების კომპონენტებზეა აგებული, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს მხრიდან გასატარებელ აუცილებელ სიფრთხილესა და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის რუსული ჰიბრიდული თუ კონვენციური საფრთხეების არიდებასა ან/და მოსალოდნელი ზიანის მინიმიზაციას. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ნათლად აჩვენებს რუსული პოლიტიკური ელიტების განწყობებს დასავლეთთან და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან მიმართებით, შესაბამისად იზრდება რუსული საფრთხეები საქართველოსთან მიმართებითაც.

19 Law no. 86-FZ, June 30, 2003.

20 Soldatov, A., and Borogan, I., the restoration of the Russia's security state and the enduring legacy of the KGB, The New Nobility, Pp. 172-174

21 Andrei Soldatov and Irina Borogan, the restoration of the Russia's security state and the enduring legacy of the KGB, The New Nobility, Pp. 176-177

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსანდრე რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 2000;
- გიორგი ანთაძე, ჰიბრიდული ომის გააზრებისათვის, GC ანალიზი;
- ერეკლე ურუშაძე, ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში, თბილისი, 2006;
- STEPHEN McGLINCHEY, ROSIE WALTERS & CHRISTIAN SCHEINPFLUG, International Relations Theory, ISBN 978-1-910814-19-2, Bristol, England 2017;
- И.Ф. Максимычев, Россия как составная часть общеевропейского цивилизационного пространства. Общественные науки и современность, №6, 1997;
- С. Н. Бабурин, Территория государства: првовые и геополитические проблемы. http://www.univer.omsk.su/graduates/baburin/BOOKS/26.htm (accessed: 17.12.2006);
- Jeffrey Mankoff, Russian Foreign Policy The Return of Great Power Politics, ROWMAN & LITTLEFIELD PUBLISHERS, INC. Lanham • Boulder • New York • Toronto • Plymouth, UK, 2009;
- A. B. Chubais, ‘‘Missiya Rossii v XXI veke,’’ Nezavisimaya Gazeta, 1 Oct 2003. Yu. Arkhangel’sky and P. Yermolaev, ‘‘Politicheskaya elita i strategicheskie prioritety, RF: Mezhdu ‘metologicheskim idealizmom’ i ‘naivnym realizmom,’ ’’ Mirovaya ekonomika i mezhdunarodnye otnosheniya, Nov 2006 (11): 100. Chubais’s idea is similar to the superimperialism advocated by Karaganov and Vladislav Inozemtsev. See Inozemtsev and Karaganov, ‘‘Imperialism of the Fittest.’’
- Sergei Karaganov, ‘‘Russia Pulled East and West,’’ trans. Project Syndicate, Feb 1997, http://www.project-syndicate.org/commentary/kar5;
- Vladimir Lukin, ‘‘New Century, Greater Concerns,’’ International Affairs: A Russian Journal of World Politics, Diplomacy and International Relations, 2002, 48(2);
- Dmitri Medvedev, “On the Security Council of the Russian Federation,” May 6, 2011;
- Andrei Piontkovskii, “Zhizn’ posle smerti. Andrei Piontkovskii—o Putine u vlasti,” Radio Svoboda, August 14, 2019, https://www.svoboda.org/a/30106033.html;
- Mark Garleotti, “Russia’s Security Council: Where Policy, Personality, and Process Meet,” Marshall Center Security Insight, no. 41, October 2019, https://www.marshallcenter.org/en/publications/security-insights/russias-security-council-where-policy-personality-and-process-meet-0;
- Security Council Structure, http://en.kremlin.ru/structure/security-council/members;
- Dmitry Gorenburg, “Russian Strategic Decision-Making in a Nordic Crisis,” Marshall Center Security Insight, no. 37,July 2019, https://www.marshallcenter.org/en/ publications/security-insights/russian-strategic-decision-making-nordic-crisis-0;
- Andrei Soldatov and Irina Borogan, the restoration of the Russia’s security state and the enduring legacy of the KGB, The New Nobility;
- Law no. 86-FZ, June 30, 2003.

მობინგი ორგანიზაციებში: ადრეული აღმოჩენის სარგებელი

ქეთევან ჭიაბრიშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

თინათინ კროპაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

საზოგადოების სულ უფრო მეტად ფენებად დაყოფის თანამედროვე პირობებში გავრცელდა სამუშაო გარემოში ურთიერთობების ნორმების რღვევა, რასაც თან სდევს კომპანიებში მორალური ძალადობა და წნეხი. მობინგი განსაზღვრულია, როგორც რეგულარული ბულინგის, დამცირების, წნეხის. ტერორის, უარყოფის და იზოლაციის ფორმა, რასაც შეიძლება მიმართავდეს ხელმძღვანელი, კოლეგა ან სამუშაო ჯგუფი. პრობლემა რეალურია და მეცნიერებისა და პერსონალის მენეჯერების აქტიური განხილვის საგნად იქცა.

მეცნიერები მუშაობენ რეკომენდაციებზე მობინგის დასაძლევად. იქმნება სახელმძღვანელოები სამუშაო ადგილზე გამოვლენილი აგრესიისა და ბულინგის დასაძლევად (Duffy, Sperry, 2014).

ნაშრომის მიზანია თეორიულად გააანალიზოს მობინგზე არსებული ლიტერატურა და კომპანიებს დაეხმაროს მათ გარემოში დაწყებული დევნის და შევიწროების ნიშნების ადრეულ აღმოჩენაში და რეაგირებაში.

საკვანძო სიტყვები:
მობინგი, მობინგის ფაზები, მენეჯმენტი, კომპანიის ეფექტიანობა

MOBBING IN ORGANIZATIONS: BENEFITS OF EARLY IDENTIFICATION

Ketevan Chiabrishvili
Professor of Management Program of Baccalaureate
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Economics

Tinatin Kropadze
Chief Scientists of the Scientific Research Center, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Social Science

Abstract

In the contemporary context where the society is increasingly stratified, violation of the norms of relations in the working environment has evolved that is followed by moral violence and pressure in companies. Mobbing is defined as a form of regular bullying, humiliation, pressure, terror, denial and isolation, which may be applied by a leader, colleague or working group. The problem is noteworthy and has become the subject of active discussion among scholars and personnel managers.

Scientists are working on recommendations to fight mobbing and the guidelines are being developed to deal with aggression and bullying in the workplace (Duffy, Sperry, 2014).

The paper aims to theoretically analyze the literature available on mobbing and to help companies identify and respond to early signs of persecution and harassment in their working environment.

Keywords:
mobbing, mobbing stages, management, company efficiency

შესავალი

მობინგი ორგანიზაციულ კონტექსტში განიხილება და ვლინდება თანამშრომლებს შორის მტრული ქმედებებით, სიტყვიერი, ფიზიკური, სექსუალური აგრესიით, ძალადობით, პროფესიული დისკრედიტაციით, ზიზღით, გარიყვით. მობინგს შეიძლება ეწეოდეს ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი და შეიძლება მიმართული იყოს ცალკეული ინდივიდის ან მათი გჯუფის საწინააღმდეგოდ. საბოლოო მიზანი, უმეტეს შემთხვევაში, ინდივიდების/ჯგუფის გარიყვა და გამორიცხვაა ორგანიზაციიდან. ამგვარ ქმედებებს არამარტო მყისიერი, არამედ გრძელვადიანი შედეგიც აქვს, რაც გამოიხატება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შერყევაში.

ნაშრომში განიხილავს მობინგს, როგორც მტრული მოქმედების გამოხატულებას, მის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს, და მისი გამოვლენის ნიშნებს.

ორგანიზაციის წარმატებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია თანამშრომლებისთვის საქმიანი გარემოს და დადებითი ატმოსფეროს შექმნა. თანამშრომლობის სურვილი და ურთიერთპატივისცემა ორგანიზაციის ეფექტიანობას ამაღლებს. თუმცა, თუ თანამშრომლობა და ურთიერთობები მანკიერების ზღვარს უახლოვდება, ამან შეიძლება ორგანიზაცია დაასუსტოს და პრობლემები შეუქმნას. ცხადია, ასეთ შემთხვევებში, თანამშრომლობის არარსებობა სჯობს. ცუდი თანამშრომლობით იღრევა ფუნქციები და ღებულობს მობინგის, ბულინგის ან აგრესიის სხვა ფორმებს, რაც თანდათანობით ქმნის დაძაბულ და უარყოფით სამუშაო ატმოსფეროს, იწვევს პატივისცემის ნაკლებობას. თავს იჩენს უარყოფითი შეფასებები და დამოკიდებულებები, ქვეითდება

თანამშრომელთა ენთუზიაზმი და შედეგად ზარალდება ორგანიზაცია.

ზლეიტის მიხედვით (Zlate, 2007) სამუშაოს ხარისხიანად შესასრულებლად წარმატებულ ორგანიზაციებში შეცდომას იყენებენ შემდგომი წინსვლისთვის, აქვთ მოტივაცია თავიანთი შესრულებული საქმის დაფასებით, აინტერესებთ და მუდამ სწავლობენ ახალს და აანალიზებენ ორგანიზაციაში გაჩენილ გამოწვევებს, კონკურენციას უწევენ სხვებს და მომთხოვნები არიან საკუთარი თავის მიმართ.

1. მობინგის დახასიათება

მობინგის მიზეზები შეიძლება შექმნას როგორც სუსტმა ლიდერობამ, ისე მითუფრო თანამშრომლების პიროვნულმა თვისებებმა, რომლებიც ერთს პასიურ ან აგრესიულ მოძალადედ აქცევს, ხოლო მეორეს დაჩაგრულ მსხვერპლად. მდგომარეობა ადრე თუ გვიან გადავა უარყოფითი შედეგების მომტან ურთიერთობებში, რაც აუცილებლად აისახება ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე.

მობინგის განსაზღვრის მცდელობა ჯერ კიდევ 1990 წელს იყო ნაშრომებში. ის გაგებულია, როგორც თანამშრომლისკენ განზრახ და განმეორებით მიმართული სიტყვიერი აგრესია, შევიწროება, ბულინგი, იგნორირება. თუ ამას სისტემატური ხასიათი ეძლევა პრაქტიკაში, მობინგი დამღუპველი ხდება პიროვნებისთვის და სერიოზული უარყოფოთი განვითარება მოსდევს ორგანიზაციაში. მობინგი პირველად განიმარტა, როგორც კომუნიკაციური სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას და შეუძლია სერიოზული ზიანის მიყენება. მობინგი არის მტრული ქმედებებით ნაშენები. ცალკე აღებული ასეთი დამოკიდებულება შეიძლება არ ჩანდეს საშიში, მაგრამ მუდმივად განმეორდებად ასეთ ქმედებებს დამანგრეველი შედეგები მოსდევს (Leymann, 1990).

2. მობინგისთვის დამახასიათებელი ქცევების კატეგორიები

1990 წელს ლეიმანმა 300 ინტერვიუს მეშვეობით აღმოაჩინა 45 სპეციფიკური ქცევა, რომელსაც მოძალადეები იყენებენ თავიანთი მსხვერპლის მიმართ.

მან ეს ქცევები ხუთ კატეგორიად დაყო:

- ქმედებები, რომლებმაც შეიძლება დაბლოკოს მსხვერპლის გამოხატვა: მას არ შეუძლია თავისი შეხედულებების გამოხატვა უფროსის წინაშე,
- მას აწყვეტინებენ საუბრისას, შეზღუდული აქვს უფლება გამოიყენოს არგუმენტები თავისი აზრის დასასაბუთებლად.
- მის გამონათქვამებზე, საქმიანობის წესზე, ჩაცმის სტილზე ავი შენიშვნები კეთდება,
- მას შეურაცხყოფენ, ამცირებენ, აკრიტიკებენ, როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად.
- მისი იდეები მიიჩნევა მიამიტურად, სულელურად და შეუსრულებლად, მაშინაც კი, თუ რეალურად განხორციელების პოტენციალი აქვთ.

ორგანიზებულად იგეგმება ქმედებები მსხვერპლის იზოლირებისთვის. „თავდამსხმელები“ არასოდეს ელაპარაკებიან „მსხვერპლს“. თუ “მსხვერპლი” ცდილობს საუბრის დაწყებას, ორ სიტყვას მიუგდებენ მტრულად, აგრძნობინებენ, რომ არ სურთ საუბარში მისი ჩართვა. მსხვერპლს არ ეძლევა საშუალება და უფლება ელაპარაკოს სხვა ადამიანს. „მსხვერპლს“ მიუჩენენ ისეთ ადგილს, რომელიც განაცალკევებს კოლეგებისგან და იგნორირებულია მსხვერპლის ფიზიკური არსებობაც კი.

ზიზღნარევი ქმედებები თანამშრომელი მსხვერპლის მიმართ: მსხვერპლზე ჭორაობენ და იწყებენ არაკეთილმოსურნე ქმედებებს, დასცინიან და თვლიან ფსიქიკურად დაავადებულად, აგდებით საუბრობენ მსხვერპლის პოლიტიკურ ან რელიგიურ შეხედულებებზე. თავს ესხმიან, უხეშად ხუმრობენ მსხვერპლის წარმომავლობის, ეროვნებისა და პირადი ცხოვრების თაობაზე, ყოველგვარი რეაქცია არის უსამართლო;

მსხვერპლის პროფესიონალური დისკრედიტაცია: მსხვერპლს არ ეძლევა დავალებები ან დაკისრებული ამოცანები არის შეუსაბამო მის კვალიფიკაციის დონესთან - ან მისი დონის ქვემოთაა, ან პირიქით გადაჭარბებული და მისთვის შეუსრულებადია, ზოგიერთი მათგანი არასაჭირო ან აბსურდულია; დავალებები ხშირად იცვლება და მას მოეთხოვება დამამცირებელი ამოცანების შესრულება;

მოქმედებები მსხვერპლის ჯანმრთელობის საზიანოდ: ამოცანები, რომლებიც საშიში და მავნეა მისი ჯანმრთელობისთვის, ფიზიკური ძალადობით მუქარა, ხშირი ფიზიკური აგრესია, როგორც გაფრთხილება, სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა, უსიამოვნება სამსახურში ან სახლში, მსხვერპლზე სექსუალური ძალადობა.

დადგენილია, რომ ყველა მობინგური ქცევიდან ყველაზე მძიმე აგრესიული ქცევაა (ფიზიკური აგრესია, სექსუალური ძალადობა) (Tomescu, 2010).

ხშირად მტრული დამოკიდებულება პირდაპირ მსხვერპლისადმი კი არ გამოიხატება, არამედ სხვების თანხლებითაც. ცხადია, რამდენიმე მტრული ქცევის კომბინაციამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო სერიოზული მძიმე ეფექტები. მობინგური ქცევის სიხშირე (კვირაში ერთხელ, ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში) ითვლება მობინგის დიაგნოზის ზღვრულ მნიშვნელობად.

3. მობინგის ფაზები

თეორიაში აღწერილია მობინგის პროცესის ოთხი ეტაპი:

პირველი ეტაპი: თანამშრომლებს შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ან დავა ბუნებრივია დინამიური და პროგრესული ორგანიზაციისთვის. თუმცა, არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც კომუნიკაცია სცდება პროფესიულ ზღვრებს სიტუაცია შეიძლება გარდაიქმნას ჯერ კონფლიქტად და შემდეგ, უარეს შემთხვევებში - მობინგად.

მეორე ფაზაში კონფლიქტები ზემოქმედებას იწყებს მსხვერპლის ფსიქოლოგიურ წონასწორობაზე. გახანგრძლივებული სტრესის პირობებში თავს იჩენს პირველი უარყოფითი შედეგები: შფოთვა, უძილობა, პანიკის შეტევებიც კი.

მესამე ეტაპზე, როგორც წესი, ირღვევა მსხვერპლის უფლებები, იქმნება მობინგისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება, მართვის რგოლი თვალს ხუჭავს და არ რეაგირებს, რაც კონფლიქტს მოუგვარებლად ტოვებს. როგორც წესი, ხელმძღვანელობა ცდილობს მსხვერპლის დადანაშაულებას და მის თავდაპირველ ქცევას წინასწარგანზრახვად წარმოადგენს. დეპარტამენტის ხელმძღვანელი და დასაქმებულთა უმრავლესობა ხელშეუხებელი რჩება. არავინ ამართლებს მობინგის ობიექტს და არ დგება მის მხარეს.

მეოთხე ფაზა არის ყველაზე სასტიკი, რომელიც ხასიათდება სტიგმით, სოციალური იზოლაციით და მსხვერპლის სამსახურიდან გათავისუფლებითაც კი.

ზემოაღნიშნული ფაზები ასე ჩამოაყალიბა ჰაინც ლეიმანმა (1990).

მობინგის კიდევ ერთმა მკვლევარმა, ჰარალდ ეგემ, დაამატა კულტურული განზომილება. მისი აზრით, ლეიმანის მოდელი შეეფერება შვედურ რეალობას და ძირითადად, ეს შეიძლება გავრცელდეს სკანდინავიურ სფეროზე. თუმცა, ლეიმანმა დაასაბუთა, რომ მისი აღწერილი ოთხი ფაზა სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს. ეგემ შეისწავლა მობინგის ფენომენი იტალიაში და დაადგინა, რომ მობინგი შესაძლოა 6-ფაზიანიც იყოს. ამით შესაძლებელი გახდა ახალი მოდელის შექმნა. ამ მოდელს ორგანიზაციული ქცევის თეორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

4. **მობინგის ფაზები ეგეს მიხედვით**

ეს მოდელი ექვსფაზიანია და იტალიურ მოდელად არის ცნობილი (Ege, 2000 წ.)

1. <u>ნულოვანი ეტაპი</u> განიხილება მობინგის გამოვლინებამდე არსებულ ეტაპად. ესაა საწყისი ვითარების იდენტიფიცირება და დადასტურება. ადგილი ჰქონდა ორგანიზაციებში იტალიაში და ჯერ კიდევ არ იყო დაფიქსირებული და გამოკვლეული ჩრდილოეთის ქვეყნებში. ამ წინა ეტაპზე ჯერ არ არის განადგურების სურვილი, არამედ უბრალოდ ჩნდება სხვებზე მაღლა დგომის სურვილი და განცდა.
2. <u>პირველი ეტაპი: მიმართული კონფლიქტი.</u> ამ ეტაპზე ხდება მსხვერპლის იდენტიფიცირება და კონფლიქტი მიმართული ხდება კონკრეტული პირის მიმართ. კონფლიქტი, რომელსაც აქამდე ზოგადი ხასიათი ჰქონდა, ახლა მიზანმიმართულია. აგრესორის მიზანი ჯერ კიდევ არ არის „მწვერვალის“ დაპყრობა, ანუ მოწინააღმდეგის განადგურება. ამ ეტაპზე კონფლიქტი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესიული საქმიანობით, ის უკვე კერძო საკითხებზე გადავიდა.
3. <u>მეორე ეტაპი: მობინგის გამოვლინება.</u> შეტევები ჯერ არ იწვევს ფსიქოსომატურ სიმპტომებს ან დაზარალებულის ავადმყოფობას, მაგრამ ქმნის დისკომფორტს, შფოთვას, რისხვას. კოლეგებთან ურთიერთობა უარესდება და მსხვერპლი ცდილობს გართულების მიზეზების გამოკვლევას.
4. <u>მესამე ეტაპი: პირველი ფსიქოსომატური სიმპტომები.</u> მსხვერპლს ეწყება ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემების გამოვლინება. ეს შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. საერთო სიმპტომებია: დაუცველობის განცდა, უძილობა, საჭმლის მონელების პრობლემები.
5. <u>მეოთხე ეტაპი: ადამიანური რესურსების მართვის შეცდომები და მობინგის ობიექტის ბოროტად გამოყენება.</u> მობინგი საჯარო ხდება და უკვე ხშირად ვლინდება დეპარტამენტის თანამშრომლების შეცდომებით შეფასებაში. წინა ფაზა იწვევს მსხვერპლის ავადმყოფობას და დაავადების სიხშირეს მისი კოლეგები ეჭვით უწყებენ ყურებას.
6. <u>მეხუთე ეტაპი: ინდივიდუალური ფსიქოფიზიკური მდგომარეობის გაუარესება.</u> ამ ეტაპზე მსხვერპლი რეალურ სასოწარკვეთილებაში და უიმედო მდგომარეობაშია. ვლინდება მსუბუქი ან

მძიმე დეპრესია, ფსიქოტროპული მკურნალობა შედგება ფსიქოთერაპიისგან, რომელიც მხოლოდ რეალურად უმჯობესდება, რადგან სამუშაოზე არ მთავრდება და უფრო უარესდება კიდეც.

7. <u>მეექვსე ეტაპი: სამსახურიდან დათხოვა. მობინგის პროცესის შეჩერების გარეშე</u> საბოლოო შედეგი არის მსხვერპლის სამსახურიდან დათხოვა ან მისი სურვილით გადადგომა (თვითგანთავისუფლება). ასეთ რთულ მდგომარეობაში ყველაზე მძიმე გამოვლინებებია თვითმკვლელობა, აკვიატებული აზრები, მკვლელობა ან აგრესორისკენ მიმართული აგრესია. ეს ეტაპი წინა ხუთი ეტაპის ბუნებრივი შედეგია: დეპრესია აიძულებს ინდივიდს იპოვნოს გამოსავალი, ან გადადგომით ან სამსახურიდან გათავისუფლებით, ან იძულებით ვადამდე პენსიაზე გასვლით. ყველაზე უარესი სიტუაციაა, როცა მობინგი იწვევს უკიდურეს ქმედებებს.

ზლატეს (2007) მიხედვით, მობინგის ეფექტი იგრძნობა ორ ძირითად სფეროში:

კომპანიაში მიმდინარეობს პროფესიული ურთიერთობების დეგრადაცია, ზარალდება ხარისხი, შეუძლებელი ხდება სწორი კომუნიკაცია, თითქმის ქრება ვალდებულების გრძნობა, მობინგის ობიექტი ხშირად ავადმყოფობს, თავს შვებულებების მოთხოვნით „შველის“, “ბზარები” უჩნდება თვით კომპანიის იმიჯს.

სოციალური თვალსაზრისით ზარალდება ოჯახი, ქვეითდება სხვა სოციალურ ჯგუფებთან ბუნებრივი ურთიერთობების შენარჩუნების სურვილი და უნარი.

5. მობინგის დროული დადგენის მნიშვნელობა, მობინგის მიზანი და უარყოფითი შედეგები

მობინგი არ არის განვითარებაზე ორიენტირებული, ჩვეულებრივი კონფლიქტი ან კრიზისში გადასული კონფლიქტი, რომელიც სწრაფად, მოკლე დროში შეიძლება დასრულდეს. დევნა და შევიწროება მეთოდურად იწყება მოიცავს თავდასხმებს და დამცირებას, ხორციელდება ნელა, დახვეწილად და გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში (ექვსზე მეტი თვე). მობინგით გამოწვეული სტრესი ძლიერი და გამომფიტავია მისი ხანგრძლივობის გამო. თუ ორგანიზაციაში დროულად გამოვლინდა, შესაძლებელია ჩარევა და შეჩერება, მისი დამღუპველი ეფექტის შემცირება როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზაციულ დონეზე. ამით თავიდან იქნება აცილებული ან შეწყდება დაზარალებულის ოჯახზე ზემოქმედება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მსხვერპლი განიცდის და სტრესს გადასცემს მეუღლეს, შვილებს, მშობლებს. ოჯახი ადრე თუ გვიან ამოწურავს მოთმინების რესურსებს და შედის კრიზისში. მსხვერპლი ხდება საფრთხე ოჯახის მთლიანობისა და ჯანმრთელობისთვის. გართულებების შემდეგ ეტაპზე ოჯახი გადადის თავის დაცვაზე და წინააღმდეგობას უწევს მსხვერპლს, რის შედეგადაც ადამიანი ხდება ორმაგი მსხვერპლი, რადგან უკვე ოჯახის გაგება და დახმარებაც აკლდება. ოჯახი თავს იცავს და ბრძოლაში აღარ ან ვეღარ უჭერს მხარს საყვარელ ადამიანს.

მობინგის ადრეული ნიშნების აღმოჩენამ შესაძლოა მსხვერპლს თავიდან ააცილოს ბევრი პრობლემა:

- ჯანმრთელობის პრობლემები (სომატიზაცია და ნერვული დაძაბულობა, პალპიტაცია, ტრემორი, სუნთქვის გაძნელება, ექსპრესია, კუჭისა და საჭმლის მომნელებელი პრობლემები, უძილობა, ძილის პრობლემები: კოშმარები, შეწყვეტილი ძილი; ინტელექტუალური დისფუნქციები: კონცენტრირება და სირთულეების დამახსოვრება, თავბრუსხვევა და სისუსტე),
- ფინანსური პრობლემები (მედიკამენტები, ფსიქოთერაპია, სამუშაოს დაკარგვა და შესაბამისად ყოველთვიური შემოსავლის დაკარგვა),
- სოციალური პრობლემები (სოციალური იმიჯის განადგურება, მეგობრების და კოლეგების დაკარგვა)

დასკვნა

კომპანიაში არსებული უმართავი მობინგი დამანგრევლად მოქმედებს თვით ორგანიზაციისთვისაც, განსაკუთრებით ეკონომიკურად. მობინგის ადრეულ ეტაპზე გამოვლენამ უნდა გააძლიეროს მობინგის პრევენცია (Niedl, 1996). თუ ორგანიზაციის მენეჯმენტი არ ჩაერევა და არ აღკვეთს მობინს, თვით მობინგის ობიექტის ეფექტიანობა შეიძლება შემცირდეს 40%-მდე. მცირდება ორგანიზაციის პროდუქტიულობაც (Ege, 2000). სოციალური შედეგებიც მძიმდება. ყველა თანამშრომელი ხომ ვერ ეგუება სხვის დამცირებას და დამძიმებულ სამუშაო ატმოსფეროს? ამ უკმაყოფილების შესახებ კომუნიკაცია კომპანიის გარეთ გადის, ორგანიზაციის იმიჯი ზარალდება. შესაძლოა, კონკურენტმა კომპანიებმა ამით ისარგებლონ. ჩნდება შემდეგი შრის დაზარალებული - თვით საზოგადოება.

მობინგის ყველანაირი გამოვლინება დესტრუქციულია. მიზანია მსხვერპლის პროფესიული, ფსიქოლოგიური და სოციალური განადგურება.

ზოგიერთი ავტორი (Groeblinghoff, 1996) აცხადებს, რომ „მობინგმა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ავადმყოფობა, პროფესიული და შრომითი ინვალიდობა, სოციალური გარიყულობა და თვითმკვლელობაც კი“.

მობინგის დროს მსხვერპლი თანდათან კარგავს თავის გავლენას, სანდოობას, სხვების პატივისცემას, ჯანმრთელობას, სამუშაოს. კლებულობს ენთუზიაზმი, თავდაჯერებულობა, ღირსება, გადაწყვეტილების მიღების ნებელობა, მეგობრები, მკვეთრად უარესდება გარემო ოჯახში.

სწორ დროს შეჩერებული ფენომენი არ იწვევს ზემოხსენებულ დამანგრეველს ეფექტს ინდივიდუალურ, საყოფაცხოვრებო, ორგანიზაციულ და სოციალურ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Duffy, M., & Len Sperry, L. Ph.D. (2014). Overcoming Mobbing : A Recovery Guide for Workplace Aggression and Bullying. Oxford University Press.
- Ege, H. (2000) Il terrore psicologico sul posto di lavoro e le sue conseguenze psicofisiche sull`individuo, Leadership Medica, 3 Retrieved from http://www.edscuola.it/archivio/antologia/mobbing/mob_hege.htm
- Groeblinghoff, D. (1996) A case study of mobbing and the clinical treatment of mobbing victims, European Journal of Work and Organizational Psychology, 5(2) Retrieved from http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13594329608414859
- Leymann, H. (1990), Mobbing and psychological terror at workplaces, Violence and Victims, 5(2), 119-126.
- Leymann, H. (1996) The content and development of mobbing at work, European Journal of Work and Organizational Psychology, 5(2), Retrieved from http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13594329608414853
- Niedl, K. (1996), Mobbing and well-being: Economic and personnel development implications, European Journal of Work and Organizational Psychology, 5(2). Retrieved from http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13594329608414857
- SHVARDAK, M., HALUS, O., POPOVYCH, O., IVANOVA, V., & MOLNAR, T. (2021). Anti-mobbing Technology in the Conditions of an Educational Institution in Ukraine. BRAIN: Broad Research in Artificial Intelligence & Neuroscience, 12(3), 343–362. https://doi-org.ezproxy.aum.edu.kw/10.18662/brain/12.3/235
- Tomescu, C. (2010) Studiu asupra fenomenului de mobbing i a unor forme de discriminare la locul de munc în România, Bucuresti: Romania Vartia, M. (2001), Consequences of workplace bullying with respect to the well-being of its targets and the observers of bullying, Scandinavian Journal of work, Environment & Health, 27 Retrieved from http://www.jstor.org/discover/10.2307/40967116?uid=3738216&uid=2&uid=4&sid=21101438590747
- Zlate, M. (2007) Tratat de psihologie organiza ional-managerial . Ia i: Polirom. vol.2.

სამხედრო ფსიქოლოგიის მეცნიერული ასპექტები

რამაზ ჩიჩუა
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
თავდაცვა და უსაფრთხოების მიმართულების
ასისტენტ პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

სამხედრო სპეციფიკიდან გამომდინარე, სამხედრო კოლექტივის ფსიქოლოგიისა და ჯარიკაცების ფსიქიკის კვლევისათვის და შესწავლისათვის მიგვაჩნია, რომ კვლევებისათვის გამოყენებული იყოს მეცნიერული მიღწევები, მათ შორის სამხედრო ფსიქოლოგიაში, რაც უპირველეს ყოვლისა განაპირობებს პერსონალის საბრძოლო, მორალურ და პოლიტიკურ მომზადებას. ნაშრომში საუბარია კვლევის მეთოდოლოგიის სხვადასხვა დონეებზე: ფილოსოფიურ, ზოგადმეცნიერულ და სპეციფიკურ სამეცნიეროზე, ასევე სამხედრო ფსიქოლოგიის პრაქტიკულ საქმიანობაზე. განვიხილავთ ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შემეცნების სისტემას, განვსაზღვრავთ მასში ფსიქოლოგის, როგორც მკვლევარის ადგილსა და როლს, ნათელს მოვფენთ სათანადო ფსიქოლოგიური მეთოდების ჩამოყალიბებას და ვისაუბრებთ დღეს მიღებული სამხედრო ფსიქოლოგიური კვლევის ტექნოლოგიაზე. აგრეთვე, სტატიაში მოყვანილია სხვადასხვა მკვლევარების ექსპერიმენტები და თეორიები. განხილულია პრაქტიკულად ნებისმიერი ქმედება, ყოველდღიური ცხოვრება, სამსახური, სამხედრო პერსონალის სხვადასხვა სახის სამხედრო საქმიანობა, როგორც მათი ურთიერთქმედების პროცესი.

საკვანძო სიტყვები:
სამხედრო ფსიქოლოგია, ფაქტორული ანალიზი, ფსიქოლოგიური მეთოდები, ექსპერიმენტი.

SCIENTIFIC ASPECTS OF MILITARY PSYCHOLOGY

Ramaz Chichua
Assistant Professor of Defence and Security Program
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Social Science

Abstract

Having consideration for military specificity, we believe that scientific achievements should be used for research and study of the psychology of military personnel and the psyche of soldiers, including in military psychology that primarily determines the combat, ethical and political training of personnel. The paper deals with different levels of research methodology like philosophical, general scientific and specific scientific levels as well as practical activities of military psychology. It discusses the knowledge system about the world around us, determines the place and role of the psychologist as a science worker in it, sheds some light on the development of appropriate psychological methods and deals with the technology of military psychological research adopted today.

In addition, the article provides the experiments and theories of various scholars and actually discusses any action, everyday life, working practice, and various types of military activities of military personnel as processes of their interaction.

Key words:
military psychology, fact analysis, psychological methods, experiment.

შესავალი

სამხედრო ფსიქოლოგი თავის პრაქტიკაში იყენებს გარკვეულ მეთოდებს ფსიქოლოგიური კვლევის მიზნის მისაღწევად. საკუთარი საქმიანობის ორგანიზების გზები დამახასიათებელია ნებისმიერი სპეციალისტისთვის, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ იშვიათად ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ წარმოიქმნება ისინი, როგორ და რატომ არის ადეკვატური იმისა, რისი გაკეთებაც გვინდა, შეიძლება თუ არა მათი რეკომენდაცია სხვებისთვის. მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკა განსხვავდება ყოველდღიური სპონტანურობისგან, რომელიც განსაზღვრავს იმ პრინციპებსა და ტექნიკას, რომლითაც ხელმძღვანელობს სპეციალისტი თავის საქმიანობაში. ასეთ დოქტრინას მათი აგების მეთოდების, ტექნიკისა და პრინციპების შესახებ მეთოდოლოგია ეწოდა. რადგანაც მეთოდოლოგიური საკითხები მოიცავს როგორც შემეცნების ყველაზე ზოგად პრინციპებს, ასევე კონკრეტული საგნის დამუშავების საკმაოდ სპეციფიკურ მეთოდებს.

ძირითადი ნაწილი

სამხედრო ფსიქოლოგია ეკუთვნის გამოყენებით მეცნიერებებს და მისი მთავარი ამოცანაა სამხედრო პრაქტიკის პრობლემების გადაჭრა. სამხედრო მოქმედების პროცესში სამხედრო მოსამსახურეები შეიძლება წააწყდნენ სირთულეებს, რომელთა გადაჭრა ფსიქოლოგიურ ცოდნას მოითხოვს. თუ სამხედრო ფსიქოლოგია მოცემულ დროს არ არის განსაკუთრებული ცოდნის საგანი, მაშინ საჭიროა მისი მოპოვება კვლევის გზით. ფსიქოლოგიური კვლევის ჩასატარებლად საჭიროა დარგის სპეციალისტი. რა ფუნქციები უნდა შეასრულოს მან? სამხედრო ფსიქოლოგიის პრაქტიკოსების მიერ დაფიქსირებული ფენომენები შემთხვევითი და სიტუაციურია. მათი მრავალფეროვნება და შემთხვევითობა, პირველ რიგში, განზოგადებას და სისტემატიზაციას მოითხოვს. ცალკეული ფენომენების სისტემად დაყვანა სხვა არაფერია, თუ არა თეორიის განვითარება. ამიტომ ამ ფუნქციის განმახორციელებელ სპეციალისტს პირობითად თეორეტიკოსს უწოდებენ. თეორეტიკოსის ამოცანაა გარდაქმნას პრაქტიკოსთა შემთხვევითი იდეები, რეალობის ფენომენების შესახებ არაშემთხვევად. მეორე მხრივ, აუცილებელია ხაზი გავუსვათ კონკრეტული მეცნიერებების თეორეტიკოსებსა და ფილოსოფოსებს შორის ურთიერთობას. ფილოსოფოსი ეწევა არსებული რეალობის შესახებ ყველა ცოდნის ინტეგრირებას და სამყაროს ზოგად სურათს ქმნის.

შემეცნების სოციალურმა და კულტურულმა ღირებულებამ და სხვა წინაპირობებმა შეიძლება მიიყვანოს თეორეტიკოსი არა მხოლოდ პრაქტიკოსის საქმიანობის ანალიზამდე, არამედ ფილოსოფიური თეორიის აღრიცხვამდე და ხელმძღვანელობამდე. მეცნიერის მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულებები, ღირებულებითი ორიენტაციები, რა თქმა უნდა, აისახება მის მიერ მეცნიერული თეორიის აგებასა და თავად კვლევის ორგანიზებაში. ადამიანის ფსიქიკაზე იდეალისტური შეხედულებები არა მხოლოდ მკვეთრად ზღუდავს ინდივიდის ცნობიერების შესწავლის მეთოდებს, არამედ აფერხებს მკვლევარის ურთიერთქმედებას საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებთან. შედეგად, ჩვენ გამოვავლინეთ შემეცნების სოციალური პროცესის ძირითადი სუბიექტები: პრაქტიკოსი, თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი. სამეცნიერო საქმიანობის სპეციალიზაცია წარმოიშვა და განვითარდა ღირებული კვლევის შედეგების მოპოვების სირთულესა და შრომატევადობასთან დაკავშირებით. მეცნიერს რჩება ვიწრო სპეციალისტის როლი და ცოდნის სხვა დარგების შედარებით ზედაპირული ცოდნა. თუმცა, კვლევის მეთოდებზე შედეგის დამოკიდებულების გაცნობიერება თეორეტიკოსს აიძულებს მიმართოს სხვა მეცნიერებათა მეცნიერებს. წარმატებული კვლევითი საქმიანობის საჭიროება იწვევს მეცნიერული ცოდნის სხვა დარგის თეორეტიკოსებთან გაცვლის აუცილებლობას. ამიტომ კონკრეტული მეცნიერების (ამ შემთხვევაში სამხედრო ფსიქოლოგიის) თეორეტიკოსი, რათა შეესაბამებოდეს კვლევის მეთოდებისა და საშუალებების ცოდნის თანამედროვე დონეს, უნდა გაეცნოს კვლევითი საქმიანობის გამოცდილებას სხვა სამეცნიერო გუნდებში, ე.ი. სხვა მეცნიერებათა თეორეტიკოსთა გამოცდილებას. მაგალითად: თუ ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ფაქტორული ანალიზის მეთოდები ფსიქოლოგიის პრობლემების გადასაჭრელად, ეხლა ამ მეთოდების უნივერსალურობა სულ უფრო აშკარა ხდება.

დღესდღეობით ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მრავალი ნაშრომი, რომლებიც ასახავენ ფაქტორული ანალიზის გამოყენებას ეკონომიკაში, სოციოლოგიაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, გეოლოგიაში და ა.შ. თუ აქამდე შემეცნების სოციალური პროცესის დასაწყისს განვიხილავდით პრაქტიკოსის პრობლემებიდან და მისი "მომსახურებიდან" თეორეტიკოსის მიერ, ეხლა აუცილებელია, პასუხის გაცემა კითხვაზე, უნდა იმუშაოს თუ არა პრაქტიკოსი თეორეტიკოსისათვის, თუ მას აქვს თეორია და კონცეფცია არა ემპირიულ მასალაზე, არამედ თეორიულ კონსტრუქციაზე დაყრდნობით. ცხადია, ყოველთვის არ არის ძალაში არა მხოლოდ სუბიექტური, არამედ ობიექტური მიზეზები. პრაქტიკოსი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, აღმოაჩენს თუ არა ახალ ფენომენს. გარდა ამისა, მას არ გააჩნია სიახლის კრიტერიუმი. საუკეთესო შემთხვევაში, მან იცის თეორია. ამასთან დაკავშირებით, ჩნდება ძიების ახალი ტიპი - ექსპერიმენტული. ჩნდება ახალი სახე - ექსპერიმენტატორი. ექსპერიმენტატორი ან მიზანმიმართულად ელოდება ახალ ემპირიულ მასალას, ან ქმნის სიტუაციას, ან აშენებს ობიექტს, რომელზედაც შესაძლებელია თეორიის მიერ გათვალისწინებული ფენომენის რეპროდუცირება. მეცნიერებაში თეორეტიკოსისა და ექსპერიმენტატორის თანაფარდობა დამოკიდებულია ექსპერიმენტების ჩატარების უნარზე. მაგალითად, ფიზიკა ამჟამად იყოფა თეორიულ და ექსპერიმენტულად. ფიზიკის ექსპერიმენტებმა ხელი შეუწყო ამ მეცნიერების სწრაფ

განვითარებას. ამავდროულად, ასტრონომია, ისტორია და მრავალი სხვა მეცნიერება უფრო თეორიულია, ვიდრე ექსპერიმენტული.

სამხედრო ფსიქოლოგიის დისერტაციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმეტესობა ეფუძნება ექსპერიმენტულ კვლევებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს საფუძველი სამხედრო ფსიქოლოგები თეორეტიკოსებად და ექსპერიმენტატორებად დავყოთ. შემდგომში ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს მკვლევარი ამ აქტივობის აღსანიშნავად. შემეცნებითი პროცესის სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების ზემოთ განხილული დინამიკისა და მათ შორის მოცირკულირე სამეცნიერო ან ემპირიული ინფორმაციის ბუნების საფუძველზე, შეიძლება განვასხვავოთ სამხედრო ფსიქოლოგის კვლევითი საქმიანობის შემდეგი ძირითადი ქვესისტემები: "სამხედრო ფსიქოლოგია" და "სამეცნიერო ინფორმაცია" (იხ. სურათი 1.). ფუნქციური ქვესისტემების განაწილება საშუალებას გვაძლევს ახალი თვალით გადავხედოთ ფსიქოლოგის კვლევის მეთოდებს. **კვლევა ტრადიციულად განხილული მეთოდებით:** დაკვირვება, დოკუმენტის ანალიზი, გამოკითხვა, საუბარი, აქტივობის ანალიზი, ექსპერიმენტი, ასევე მოიცავს მეთოდებს: ინფორმაციის მოძიება, შენახვა და გადამუშავება, პრაქტიკული რეკომენდაციების განხორციელება. ავიღოთ მოკლე ექსკურსია ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების გაჩენის ისტორიაში.



სურ. 1 სამხედრო ფსიქოლოგის კვლევითი საქმიანობის ფუნქციური საინფორმაციო ქვესისტემები.

ფსიქოლოგიის წინასამეცნიერო ეტაპი დასრულდა მე-19 საუკუნის ბოლოს **ვილჰელმ მაქსიმილიან ვუნდტის**[1] პირველი ექსპერიმენტული ლაბორატორიის გაჩენით. მანამდე ფსიქიკა ან სული უფრო მეტად იყო არა სამეცნიერო კვლევის ობიექტი, არამედ ფილოსოფიური ინტელექტუალური რეფლექსიის საგანი. ამიტომ, ფილოსოფიური ანალიზის ფარგლებში, არ შეიძლება არსებობდეს ფსიქიკის შესწავლის კონკრეტული მეთოდები. ისინი მოდიოდნენ სხვა მეცნიერებებიდან, კერძოდ ფიზიოლოგიიდან. 1834 წელს გამოქვეყნდა ფიზიოლოგ **ერნსტ ჰენრიჰ ვებერი**[2]**-ის** ნაშრომი კანისა და კუნთების მგრძნობელობის ექსპერიმენტულ შესწავლაზე, რომელშიც მან მათემატიკურად ჩამოაყალიბა კავშირი ფიზიკურ სტიმულებსა და სენსორულ პასუხებს შორის. ამ კლასიკური ექსპერიმენტის არსი შემდეგი იყო: ექსპერიმენტატორი ესთეზიომეტრის[3] გადაადგილებული ფეხებით ეხება გამოკვლეული პირის კანის სხვადასხვა უბნებს და თანდათან აშორებს მათ, სანამ სუბიექტს არ ექნება ორი შეხების შეგრძნება და შემდეგ აერთიანებს მათ, სანამ ერთი შეხება არ გამოჩნდება. მგრძნობელობის ზღურბლები დაფიქსირდა ესთეზიომეტრის ფეხებს შორის მანძილის ერთეულებში. ამის საფუძველზე გაკეთდა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დასკვნა მომავალი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისთვის ფსიქიკური ფენომენების მთელი ველის რაოდენობისა და ზომაზე დაქვემდებარების შესახებ, მათ პირობითობაში ფიზიკურზე. შემდგომი მუშაობა ამ მიმართულებით, რომელმაც მიიღო ფსიქოფიზიკის სახელი, ჩაატარა **გუსტავ თეოდორ ფეხნერი**[4]**-მა,** რომელმაც შეიმუშავა მგრძნობელობის საზომი ერთეული-**ძლივს შესამჩნევი განსხვავება** და გამოიტანა ზოგადი ფორმულა, შეგრძნების ინტენსივობა პროპორციულია სტიმულის ლოგარითმითან **(ვებერ-ფეხნერის ფსიქოფიზიკური კანონი)**. შემდგომში ეს კანონი დაზუსტდა და განისაზღვრა მისი გამოყენების საზღვრები. შედეგად, ფსიქოლოგიამ დაიწყო მათემატიკური ენით საუბარი, ჯერ შეგრძნებებზე, შემდეგ

1 http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C.

2 http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2_%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%B0.

3 ესთეზიომეტრი ანუ ვებერის ფარგალი

4 http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%95_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A0.

კი რეაქციების დროზე. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ფიზიოლოგებმა გამოიყენეს **ჰიპის**[5] ქრონოსკოპი რეაქციის დროის გასაზომად. ეს მოწყობილობა შედგებოდა ორი ციფერბლატისაგან: ზედა აჩვენებდა მეათასედს, ქვედა მეათედს. სტიმულთან ერთად ექსპერიმენტატორმა გაუშვა ქრონოსკოპი. სუბიექტმა, სტიმულის აღქმის შემდეგ, დააჭირა კლავიშს და გააჩერა ისრები, რომლებიც იწერდნენ **რეაქციის დროს (RT).** ჰოლანდიელმა ფიზიოლოგმა **ფ.დონდერსმა**[6] გამოყო რამდენიმე სახის რეაქცია. მან უწოდა რეაქცია **A** ისეთს, რომელშიც სუბიექტი უბრალოდ რეაგირებს სტიმულზე (მარტივი ფსიქიკური რეაქცია),ხოლო **B** რეაქციაში სუბიექტი რეაგირებდა სხვადასხვა სტიმულზე შესაბამისი რეაქციებით, რის შედეგადაც **(VR) სიჩქარის დრო** გახანგრძლივდა. **A** და **B** რეაქციებს შორის განსხვავებამ, **დონდერსის** აზრით, აჩვენა ისეთი ფსიქიკური პროცესების სიჩქარე, როგორიცაა წარმოდგენა და არჩევანი. რეაქციის **C** ტიპის შემთხვევაში, სუბიექტს უნდა მოეხდინა რეაგირება მხოლოდ ერთ წარმოდგენილ სტიმულზე. განსხვავება **C-**A აჩვენებს მგრძნობელობის დროს და განსხვავება **B-C** არის შერჩევის დრო. ეს ექსპერიმენტები ეხებოდა არა მხოლოდ ფიზიოლოგიურ პრობლემებს. ისინი პირდაპირ კავშირში იყვნენ ფსიქოლოგიასთან, შესაძლებელი გახდა დავასკვნათ, რომ ფსიქიკური პროცესები, რომლებიც განუყოფელია ნერვულისგან, ხდება დროსა და სივრცეში. ლოგიკოსებმა შემდგომში დიდი წვლილი შეიტანეს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მეთოდების დამკვიდრებაში. 1843 წელს ინგლისში გამოიცა **ჯონ სტიუარტ მილის** წიგნი **„ლოგიკის სისტემა“**[7]**.** მასში ავტორმა ლოგიკური სტრუქტურების ორიგინალურობიდან გამოიტანა ადამიანის გონების შემეცნებითი მუშაობა, სწორედ ეს სუპრაინდივიდუალური სტრუქტურები მოქმედებდნენ როგორც შემეცნების პროცესების მარეგულირებელი ინდივიდუალურ ცნობიერებაში. ამრიგად, იდეების, აზროვნების წესრიგი და კავშირი განლაგდა ლოგიკის კანონებიდან გამომდინარე. პირველად **ჯონ სტიუარტ მილმა** დასვა კითხვა, თუ როგორ რეალიზდება ლოგიკა ინდივიდის სუბიექტურ სამყაროში და თანმიმდევრულად იცავდა **პოსტულატს**[8]**,** რომ ცოდნის ერთადერთი წყარო გამოცდილებაა. აქედან გამომდინარეობდა, რომ ფსიქოლოგია უნდა გახდეს ექსპერიმენტული მეცნიერება. და ბოლოს, 1879 წელს, **ვილჰელმ ვუნდტმა** ლაიფციგში მოაწყო მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორია, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა ინსტიტუტად. ექსპერიმენტი ტარდება არა ძაღლებზე ან ბაყაყებზე, არამედ ადამიანებზე. სუბიექტებმა განაცხადეს, თუ როგორ გრძნობდნენ თავს, სხვადასხვა სტიმულების მოქმედებისას. ექსპერიმენტატორებისთვის, ძირითადად ფიზიოლოგებისთვის, ეს მოხსენებები უჩვეულო ფაქტები იყო. ისინი მიჩვეულები არიან ისეთ სამუშაოს, რომელიც მოცემულია ობიექტურად, რისი დაკვირვება, გაზომვა და ა.შ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტები იგივე რეალობა იყო, როგორც გალვანომეტრის[9] ან ტახისტოსკოპი[10] ჩვენებები. რომ ექსპერიმენტული ლაბორატორიის ფარგლებში მოხდა ინტროსპექციის (თვითდაკვირვების) საკუთარი ფსიქოლოგიური მეთოდის ჩამოყალიბება. იმისდა მიუხედავად, რომ დროთა განმავლობაში ინტროსპექცია სრულიად არაპერსპექტიული აღმოჩნდა სამეცნიერო ფსიქოლოგიური კვლევისთვის, მისი სუბიექტურობის გამო მან მნიშვნელოვანი ისტორიული როლი ითამაშა ფსიქოლოგიის საგნის გაგებაში და მის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებაში. მეორეს მხრივ, საგნის გააზრებამ და ფსიქოლოგიის საკუთარი კატეგორიული აპარატის განვითარებამ განაპირობა როგორც კონკრეტული მეთოდების, ასევე ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კვლევა მოიცავს რიგ ეტაპებს. სამხედრო მკვლევარები გამოყოფენ სამ ძირითად ეტაპს: **პრობლემის არჩევა, მეთოდებისა და კვლევის არჩევა, მიღებული შედეგების პრაქტიკაში განხორციელება.** ყოველი ფსიქოლოგიური კვლევა სამხედრო ფსიქოლოგიის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე შეიცავს სამ ტიპის მოდელს: **კონცეპტუალურს, პროცედურულს, ემპირიულს** (იხ. სურათი 2.).



სურ. 2. კვლევის მოდელების ურთიერთობა.

5 https://www.hse.ru/war/t_vperyod/announcements/514122727.html.
6 https://www.qwelly.com/group/psychology/forum/topics/dargebi.
7 ჯონ სტიუარტ მილი „ლოგიკის სისტემა“ (ტ. 1-2, 1843)
8 მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე.
9 სუსტი ელექტრული დენის საზომი ხელსაწყო.
10 მოწყობილობა, რომელიც საშუალებას გაძლევთ თვალყური ადევნოთ

კონცეპტუალური მოდელი (კმ) - არის ცნებების, კატეგორიების, კანონების და ა.შ., ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ავლენს მოცემული ფენომენის არსს და საშუალებას აძლევს მას აღწეროს, ახსნას ან პირდაპირ გააკონტროლოს იგი.

პროცედურული მოდელი (პმ) - არის კონკრეტული მეცნიერების გარკვეული წესები, ალგორითმები, ტექნიკა და მეთოდები ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავებისთვის. **ემპირიული მოდელი (ემ)** - არის ჩვენთვის საინტერესო ფენომენის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ინტეგრალური სისტემა სივრცე-დროის კონკრეტულ ჩარჩოში. მოდელებთან კორელაცია ერთმანეთთან აშკარად ჩანს კოორდინატებში „თეორია-პრაქტიკა“ და „დრო“.(იხილეთ სურ. 2)

ბუნებრივია, ყველაფრის საფუძველია კონცეპტუალური მოდელები, მათზეა აგებული პროცედურული და ემპირიული. ამიტომ, კონცეპტუალური მოდელების შემუშავების შეფერხება დაუყოვნებლივ აისახება კომპიუტერების დანერგვის ეფექტურობაზე. ფსიქოლოგიური კვლევის პროცესში ფიქსირდება სხვადასხვა ფაქტები, ფსიქოლოგიური ფენომენების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. ეს ყველაფერი წარმოადგენს ემპირიულ მოდელს, ან უფრო ფართო გაგებით, კვლევის საინფორმაციო ბაზას. საინფორმაციო ბაზის გამოყენების ეფექტურობის რადიკალურად გაზრდისთვის აუცილებელია მისი შექმნისა და გამოყენების პროცესის ავტომატიზაცია, ე.ი. შეიქმნას სისტემა, რომელიც ახორციელებს ინფორმაციის ავტომატურ შეგროვებას, შენახვას, ძიებას და მკვლევარისთვის მიწოდებას. პროცედურული მოდელები შეიძლება იყოს ორი სახის:

1. **პმ1** არის პირველადი ინფორმაციის შეგროვების მეთოდები, წესები.
2. **პმ2** არის პროცედურები, ემპირიული ინფორმაციის დამუშავების ალგორითმები.

აღსანიშნავია, რომ ასეთი დაყოფა პირობითია და მიზნად ისახავს კვლევის მეთოდების უკეთ გააზრებას. ვინაიდან **ემ** შეიძლება შედგებოდეს (და ძირითადად შედგება) არა პირველადი, არამედ მეორადი, როგორც წესი, შეკუმშული, ე.ი. დამუშავებული ინფორმაციისაგან, შემდეგ **პმ1** მოიცავს დამუშავების (შეკუმშვის) მეთოდებს. ხოლო **პმ2**-ის სტადიაზე, განსაკუთრებით საპილოტე კვლევის დროს, შეიძლება ყოველთვის იყოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია, ე.ი. მისი კოლექცია. პროცედურული მოდელები არსებითად წარმოადგენს დიალოგის ორგანიზებას მკვლევარსა და რეალურ სამყაროს შორის. თუ **პმ1** არის დიალოგის ორგანიზაცია სუბიექტსა და სამხედრო ფსიქოლოგს შორის, მაშინ **პმ2** არის დიალოგი ობიექტის ემპირიულ მოდელსა და მკვლევარს შორის. მკვლევარი სვამს კითხვებს და ცდილობს მოძებნოს მეთოდები, რომლებიც მას პასუხების მიღების საშუალებას მისცემს. მეცნიერულ ცოდნაში კითხვები იბადება წინა ცოდნის შედეგებიდან და სწორად დასმული კითხვების საფუძველზე, თუ რისი შესწავლაა საჭირო უცნობის სფეროში. მეორე ტიპის **პმ2** პროცედურული მოდელები ეფუძნება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს და უნდა გასცეს პასუხები შემდეგ საკვლევ კითხვებზე: როგორია ნიმუშის რიცხვითი მახასიათებლები? არსებობს თუ არა კავშირი ნიმუშის ინდიკატორებს (ან ობიექტებს) შორის? როგორია ამ ურთიერთობის ფორმა (სახეობა)? არის თუ არა კვლევის შედეგები სანდო?[11]

დასკვნა

მოცემული ნაშრომი მცდელობაა თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ სამხედრო ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება მიუხედავად იმისა რომ იგი ფსიქოლოგიის ქვედარგია,ასევე ხაზი გავუსვათ მის მნიშვნელობას,განსაკუთრებით სამხედო მოსამსახურეების ცხოვრებაში, ვინაიდან იგი იყენებს როგორც თეურიულ ასევე პრაქტიკულ კვლევებს,რაც საშუალებას იძლევა უფრო არსებითი კვლევის შედეგებზე გასვლისა.ზოგადად,ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხები საშუალებას გვაძლევს, საწყისი მონაცემების საფუძველზე მივიღოთ ემპირიული კანონი მათემატიკური ფორმულების სახით. აქ საჭიროა შემდეგი განმარტებების გაკეთება. მიღებული კანონები ასახავს ემპირიული მოდელის კანონებს. ასეთი კანონების ძალა არ არის დიდი. საკმარისია მხოლოდ იმ განმეორებითი ამოცანების გადასაჭრელად ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც ობიექტის მდგომარეობა კვლევის მომენტში მისი მდგომარეობის იდენტურია. ამ ემპირიული კანონების სიღრმეში ჩნდება ახალი ტიპის **კმ1**-ის ცოდნა, ემპირიული კანონები გარდაიქმნება აბსტრაქტულ-ანალიტიკურ კანონებად. ამის მაგალითია ადრე განხილული ფსიქოფიზიკური ვებერფეხნერის კანონი. კონცეპტუალური მოდელი **(კმ)** არის ცნებების, კატეგორიების, კანონებისა და კანონების ინტეგრალური სისტემა. აქვე გვინდა ავღნიშნოთ,რომ სამხედრო ფსიქოლოგიას არა მარტო პრაქტიკული დანიშნულება აქვს არამედ სამეცნიერო კუთხითაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან მომიჯნავე მეცნიერებები მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიასთან, შესაბამისად სამხედრო ფსიქოლოგიასთან, როგორებიცაა: ფილოსოფია, ფიზიოლოგია, ბიოლოგია და ა.შ.

11 ბარაბანშიკოვი ა. ბ. „Методика исследования проблем военной педагогики и психологии“ - М.: ВПА, 1987წ. - გვ.10;

გამოყენებული ლიტერატურა:

- http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C;
- ბარაბანშიკოვი ა. ბ. „Методика исследования проблем военной педагогики и психологии“ - М.: ВПА, 1987წ. - გვ.104;
- http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2_%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%B0;
- http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%95_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A0;
- https://www.hse.ru/war/t_vperyod/announcements/514122727.html;
- https://www.qwelly.com/group/psychology/forum/topics/dargebi.
- ჯონ სტიუარტ მილი „ლოგიკის სისტემა“ (ტ. 1-2, 1843წ.)

მატრიცული გამოთვლების ზოგიერთი პარალელური ალგორითმი

ლევან ჭოლიკიძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ინფორმატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გიორგი საზანდრიშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა მაგისტრი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ერთპროცესორიანი და მრავალპროცესორიანი სისტემების არქიტექტურა. აღწერილია ტრადიციული მარტივი ალგორითმიდან პრალელელურ ალგორითმზე გადასვლის მეთოდოლოგია. განხილულია ალგორითმის იარუსების სიმაღლე და სიგანე. განხილულია დაწყვილების სქემა, რომელიც, თავის მხრივ, ახდენს გარკვეული მოქმედებების გაერთიანებას ერთ მოქმედებად.

პარალელური ალგორითმების გამოყენებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა არის დატვირთვის დაბალანსება. ხშირ შემთხვევაში, ადვილია ამოცანის განაწილება ხელმისაწვდომ პრო-ცესორებს შორის, მაგრამ ზოგიერთმა პროცესორმა შეიძლება მეტი სამუშაო მიიღოს, ზოგმა კი დამუშავება უფრო ადრე დაასრულოს და უმოქმედო გახდეს.

განაწილებული ალგორითმების სახელით ცნობილი ხვადასხვა პარალელური ალგორითმები სპეციალურად შემუშავებულია კლასტერებზე[1] განაწილებულ გამოთვლით სისტემებში გამოსაყენებლად ასეთი დამუშავების მთელი რიგი მახასიათებლების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები:
ერთპროცესორიანი სისტემა, მრავალპროცესორიანი სისტემა, პარალელური ალგორითმი, ალგორითმის შეწყვილება. იარუსი, სიგანე.

1 კომპიუტერთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია მაღალსიჩქარიანი არხებით

CERTAIN PARALLEL ALGORITHMS FOR MATRIX COMPUTATIONS

Levan Cholikidze
Associate Professor of Informatics Program
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Computer Science

Giorgi Sazandrishvili
Associate Professor of Informatics Program
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master of Science in Mathematics and Physics

Abstract

The paper discusses the architecture of single-processor and multi-processor systems and describes the methodology of transition from traditional simple algorithm to parallel algorithm. In addition, the article discusses the height and width of the tiers of the algorithm as well as a coupling scheme that intrinsically combines certain actions into one action.

Another problem about using parallel algorithms is load balancing. In many cases, it is easy to distribute the task among the available processors, but some processors may receive more tasks, while others may finish processing earlier and become inactive.

Various parallel algorithms known as distributed algorithms have been specially designed to be used in computing systems distributed on clusters, taking into account a number of characteristics of such processing.

Keywords:
single-processor system, multi-processor system, parallel algorithm, algorithm coupling, tier, width.

შესავალი

პარალელური ალგორითმები ძალიან მნიშვნელოვანია მულტიპროცესორული სისტემების მუ-დმივი განვითარებისა და მათი ტექნიკური პარამეტრების დახვეწასთან ერთად. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა თანამედროვე პროცესორებში ბირთვების რაოდენობის ზრდამ.

ტრადიციული თანმიმდევრული ალგორითმის სირთულე გამოიხატება გამოყენებული მეხსიერების რაოდენობაში და დროში (პროცესორის ციკლების რაოდენობა), რომელიც საჭიროა ალგორითმის შესა-სრულებლად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ბრძანებათა ლოგიკურ ერთობლიობას (ჯაჭვს). პარა-ლელური ალგორითმები, გარდა ლოგიკური ჯაჭვისა, მოითხოვს დასახული ამოცანის დაყოფას მრავალი პროცესორისთვის და მათი შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფას, პარალელური ალგორითმის შედგენის დროს გათვალისწინებული და გაანალიზებული უნდა იყოს თითოეული პროცესორის როგორც მუშაობის სისწრაფე, ისე მათ შორის მონაცემების მიმოცვლის ტექნიკური მახასიათებლები. პროცესორებს შორის კომუნიკაციის ორი გზა არსებობს: საერთო მეხსიერება და შეტყობინებების გადაცემა.

ძირითადი ნაწილი

ერთპროცესორიანი გამოთვლითი სისტემის არქიტექტურაში განიხილება შემდეგი მოწყობი-ლობები:
- მართვის მოწყობილობა
- ცენტრალური პროცესორი
- მეხსიერება
- ინფორმაციის შეტანა-გამოტანის მოწყობილობა
- ინფორმაციის გაცვლის არხები

ამ მოწყობილობების მუშაობის მექანიზმი ნაჩვენებია ნახაზზე:



ერთპროცესორიანი გამოთვლითი სისტემის ფუნქციონირების პრინციპია ბრძანებების მიმდევ-რობითი შესრულება. დასახული ამოცანის ალგორითმის აგების ძირითადი ამოცანაა ალგორითმის წარმოდგენა მიმდევრობითი ბრძანებების საშუალებით, სადაც ვითვალისწინებთ ოპერაციების რაოდე-ნობის და საჭირო მეხსიერების მოცულობის ოპტიმიზაციას.

მრავალპროცესორიან გამოთვლით სისტემებს ფორმალურად აქვთ ერთპროცესორიანი სისტემების მსგავსი არქიტექტურა:
- მართვის მოწყობილობა
- პირველი პროცესორი
- მეორე პროცესორი

.....
- K-ური პროცესორი
- მეხსიერება
- ინფორმაციის შეტანა-გამოტანის მოწყობილობა
- ინფორმაციის გაცვლის არხები

ამ მოწყობილობების ურთიერთქმედება გამოსახულია ნახაზზე:



მოყვანილ სქემებში სუსტ მხარეს წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის არხები. პროცესორის ტექნიკური მახასიათებლების სწრაფ ზრდასთან ერთად ეს პრობლემაც იზრდება, ამიტომ მრავალპროცესორიანი სისტემებისთვის პარალელური ალგორითმების დაგეგმვა უფრო აქტუალური ხდება.

მრავალპროცესორიანი გამოთვლითი სისტემების გამოყენების პრობლემები.

ძირითადი სირთულე არის ის რომ მრავალპროცესორიანი გამოთვლითი სისტემის გამართული მუშაობა მიიღწევა მაშინ, როცა ყველა პროცესორი მაქსიმალურად არის დატვირთული (ან მათი უმეტესი ნაწილი). შევნიშნოთ რომ ერთპროცესორიან სისტემაში (სესაბამისი პროგრამის შემთხვევაში) ეს პრობლემა არ გვხვდება.

როდესაც ვადგენთ ალგორითმს მრავალპროცესორიანი სისტემისთვის ვითვალისწინებთ სამ ძირითად მიმართულებას:

- ალგორითმის შეჩევა მოცემული მრავლპროცესორიანი სისტემისთვის.
- როგორი სისტემა უნდა შევარჩიოთ მოცემული კლასის ამოცანის გადასაწყვეტათ.
- როგორ და რა თანმიმდევრობით ავაგოთ ის რიცხვითი მეთოდები, რომელთა რეალიზაცია მოსახერხებელი იქნება შერჩეული სისტემისთვის.

შევნიშნოთ, რომ ბოლო ათწლეულის გამოცდილების გათვალისწინებით ყოველი ახალი სუპერკომ-პიუტერის შექმნის შემდეგ ამ სისტემის ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელი ხდება მისი დახვეწა, ახალ გამოწვევებზე მორგება და შესაბამისობაში მოყვანა ახალ გამოწვევებთან.

ალგორითმის პარალელური ფორმა

პარალელური ალგორითმის რეალიზაციისათვის საჭიროა, ჩვენს მიერ შემუშავებული ალგორითმი წარმოვადგინოთ არა ცალკეული ოპერაციების ერთობლიობის სახით, არამედ ოპერაციის ჯგუფების მიმდევრობის სახით. სადაც თითოეულ ჯგუფში ცალკეულ მოქმედებებს უნდა ჰქონდეს შემდეგი თვისება: მათი შესრულება შესაძლებელი უნდა იყოს ერთდროულად და შეუფერხებლად პარალელურ გამოთვლით სისტემაში არსებული ფუნქციონალური მოწყობილობების საშუალებით.

ვთვათ, ალგორითმში შემავალი ოპერაციები დაყოფილია ჯგუფებად, ხოლო ჯგუფების სიმრავლე ისეა დალაგებული, რომ თითოეული ჯგუფში შემავალი თვითეული ოპერაცია დამოკიდებულია ამ ამოცანის საწყის მონაცემებზე, ან ამ ჯგუფის წინა ჯგუფებში ჩატარებული გამოთვლების შედეგებზე[1].

ეს წარმოდაგენს ალგორითმის პარალელურ ფორმას.

ოპერაციების თითოეული ჯგუფი წარმოადგენს იარუს, ხოლო ასეთი იარუსების რაოდენობა-პარალელური ფორმის სიმაღლეს.

განვიხილოთ მაგალითი1.:

უნდა გამოვთვალოთ

$$(a_1a_2 + a_3a_4)(a_5a_6 + a_7a_8)$$

1,1 ფორმა

მონაცემები $a_1, a_2, a_3, a_4, a_5, a_7, a_7, a_8$

I იარუსი $a_1a_2, a_3a_4 \; a_5a_6, a_7a_8$

II იარუსი $a_1a_2 + a_3a_4 \; a_5a_6 + a_7a_8$

III იარუსი $(a_1a_2 + a_3a_4)(a_5a_6 + a_7a_8)$

ამ პარალელური ფორმის სიმაღლეა 3, ხოლო სიგანე 4.

განხილულ მაგალითში პირველ ეტაპზე დატვირთულია 4 პროცესორი ხოლო მეორე ეტაპზე მხოლოდ ერთი.

1 https://core.ac.uk/download/pdf/38468671.pdf

1.2. მეორე პარალელურ ფორმას აქვს სახე:
მონაცემები $a_1, a_2, a_3, a_4, a_5, a_7, a_7, a_8$
I იარუსი $a_1a_2 \quad a_3a_4$
II იარუსი $a_5a_6 \quad a_7a_8$
III იარუსი $a_1a_2 + a_3a_4 \quad a_5a_6 + a_7a_8$
IV იარუსი $(a_1a_2 + a_3a_4)(a_5a_6 + a_7a_8)$

1.3. მესამე პარალელურ ფორმას აქვს სახე:
მონაცემები $a_1, a_2, a_3, a_4, a_6, a_6, a_7, a_8$
I იარუსი $a_1 \cdot a_2 \quad a_3 \cdot a_4$
II იარუსი $a_1 \cdot a_2 + a_3a_4 \quad a_5 \cdot a_6$
III იარუსი a_7a_8
IV იარუსი $a_5a_6 + a_7 \cdot a_8$.
V იარუსი $(a_1a_2 + a_3a_4)(a_5a_6 + a_7a_8)$
ცხადია, რომ მეორე პარალელურ ფორმის სიმაღლეა 4, მესამესი კი-5, ორივე პარალელური ფორმის სიგანეა 2.
მაგალითი 2. გამოვთვალოთ n რიცხვის ნამრავლი. ვტქვათ, $n = 8$. უნდა გამოვთვალოთ რიცხვები a_1, a_2, a_3, a_8, a_8

2.1. მიმდევრობითი გამრავლების ჩვეულებრივ სქემას აქვს სახე:
მონაცემები $a_1, a_2, a_3, a_4, a_5, a_6, a_7, a_8$
I იარუსი $a_1 \cdot a_2$
II იარუსი $(a_1a_2) \cdot a_3$
……
VII იარუსი $(a_1a_2a_3 \cdots a_7) \cdot a_8$
ცხადია რომ ამ ფორმის სიმაღლეა 7,ხოლო სიგანე1.

2.2. იარუსების რაოდენობის შემცირება შესაძლებელია დავიწყოთ ალგორითმის საშუალებით, რაც შემდეგში მდგომარეობს:
მონაცემები $a_1, a_3, a_3, a_4, a_5, a_6, a_7, a_8$
I იარუსი $a_1 \cdot a_2, a_3 \cdot a_4, a_5 \cdot a_6, a_7 \cdot a_8$
II იარუსი $(a_1a_2)(a_3a_4), \quad (a_5a_6)(a_7a_8)$
III იარუსი $(a_1a_2a_3a_4) \cdot (a_5a_6a_7a_8)$
ამ პარალელური ფორმის სიმაღლეა 3, ხოლო სიგანე4. ეს წარმოადგენს დაწყვილების სქემას.
მაგალითი 3. ვთქვათ უნდა გამოვთვალოთ $I = \int_a^b f(x)dx$ ინტეგრალის მნიშვნელობა
$I(N) = \sum c_i f(x_i)$
კვადრატული ფორმულის საშუალებით,სადაც $x_1, x_2, \ldots, x_N$ კვანძითი წერტილებია, $x_i \in [a,b]$, $i = 1,2,\ldots,N$, ხოლო c_i კვადრატული ფორმულის კოეფიციენტებია, ჩავთვალოდ, რო ეს კოეფიციენტები ცნობილია.
ვტქვათ, $N = 8$.
I იარუსი $f(x_1), f(x_2), f(x_3), f(x_5), f(x_5),$
$f(x_6), f(x_7), f(x_8),$
(ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლა კვანძის წერტილებში)
II იარუსი $c_1f(x_1), c_2f(x_2), c_3f(x_3), c_4f(x_4), c_5f(x_5),$
$c_6f(x_6), c_7f(x_7), c_8f(x_8),$
III იარუსი $c_1f(x_1) + c_2f(x_2), c_3f(x_3) + c_4f(x_4), c_5f(x_5) + c_6f(x_6),$
$c_7f(x_7) + c_8f(x_8),$
IV იარუსი $\sum_{i=1}^{4} c_i f(x_i) \quad \sum_{i=5}^{8} c_i f(x_i)$
V იარუსი $\sum_{i=1}^{8} c_i f(x_i)$
ამ პარალელური ფორმის სიმაღლეა 5, ხოლო სიგანე-8. იგი იყენებს დაწყვილების სქემას.

დასკვნა

1. n რიცხვის მამრავლების შეწყვილების სქემის შესაბამისი პარალელური ფორმის სიმაღლეა $h = \left[\log_2^n\right] + 1$
2. შეწყვილების სქემით n რიცხვის შეკრების პარალელური ფორმის სიმაღლეა $h = \left[\log_2^n\right] + 1$.
3. შეუზღუდავი პარალელიზმის კონცეფციის შემთხვევაში $A(n \times n)$ მატრიცისა და $\vec{x} \in R^n$ ვექტორის გამრავლებისთვის შეიძლება აიგოს პარალელური ფორმა, რომლის სიმაღლეა $h = \left[\log_2^n\right] + 2$, ხოლო სიგანე $w = n^2$.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://learn.microsoft.com/ru-ru/cpp/parallel/concrt/parallel-algorithms?view=msvc-170
- https://coderlessons.com/tutorials/akademicheskii/vyuchit-parallelnyi-algoritm/parallelnyi-algoritm-kratkoe-rukovodstvo
- https://tproger.ru/translations/cpp-parallel-algorithms/
- https://core.ac.uk/download/pdf/38468671.pdf

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 25

ISBN-978-9941-8-5018-9